

უილიამ შექსპირი



თარგმანი გივი ბაჩუჩილაძისა



ილუსტრაციები ოლენია თაყაიძისა

მოქმედი პირები

მეფე ჯონი.

უფლისწული ჰენრი, მისი ვაჟი.

ართური, ჯეფრის ძე, ბრეტონის მთავარი, მეფის ძმისწული.

კამბრუკის გრაფი

ესემის გრაფი.

სოლზბერის გრაფი.

ლორდი ბიგოტი.

პიუბერტ დე ბარბი.

რობერტ ფოკონბრიჯი, სერ რობერტ ფოკონბრიჯის
ვაჟი.

ფილიპ ბასტარდი, მისი ნახევარ-ძმა.

ჯეიმზ გარნი, ლედი ფოკონბრიჯის მსახური.

პიტერ კომფრეტელი, მისანი.

ფილიპი, საფრანგეთის მეფე.

ლუი, ლოფინი.

ლიმონი, ავსტრიის მთავარი.

კარდინალი კანდოლფი, პაპის ლევატი.

მელანი, ფრანგი დიდებული.

შატილიონი, საფრანგეთის ელჩი.

დალოვალი ელინორი, მეფე ჯონის დედა, მეფე ჰენრი
მეორის ქვრივი.


კონსტანსა, ართურის დედა.

ბლანკა მსკანელი, მეფე ჯონის დისწული.

ლედი ფოკონბრიჯი.

დიდებულები, ქალბატონები, ანჟერის მოქალაქე-
ნი, შერიფი, ვფირები, ასისტანტები, ჯარისკაცები,
შიკრიკები და მსღებრლები.

მოქმედების ადგილი — ინგლისი და საფრანგეთი.



მოქმედება პირველი

სურათი პირველი

სახელმწიფო დარბაზი სასახლეში.

შემოდან მეფე ჯონი, დედოფალი ელიზორი, პემბრუკი, ესექსი, სოლზბერი და სხვები შატლიონის თანხლებით.

ჯონი

მამ მოკვახსენე, შატლიონ, რა სურს ფრანგთ მეფეს?

შატლიონი

ღიახ, ხელმწიფე ფრანგებისა მოგიძღვნით საღამს და ჩემი პირით უთვლის აქ თქვენს დიდებულებას, ინგლისის მეფის მიტაცებულ დიდებულებას...

ელიზორი

ვბრა სიტყვაა: „მიტაცებულ დიდებულებას!“

ჯონი

იწუხეთ, დედავ: ვათქმევინოთ თავის სათქმელი.

შატლიონი

ფილიპი, მეფე ფრანგებისა, განსვენებული შენი ძმის ჯეფრის შვილის, ართურ პლანტაგენეტის სახელითა და ჭეშმარიტი კანონის ძალით, ითხოვს უფლებას ამ მშვენიერ კუნძულის მიმართ; ირლანდიისა, ჰუატიეს, ანუეს, ტურენის და შენის მიმართ მასთან ერთად, და სურს აგრეთვე მოიღო ხმალი, ამ მხარეთა მიმტაცებელი, და ჭაბუკ ართურს შენი ნებით გადაუღოცო, როგორც ძმისწულს და კანონიერ მეუფეს შენსას.

ჯონი

და რა მოჰყვება ამას, თუკი არ დაეცაბულდით?

შატლიონი

სისხლისმღვრელი და მკაცრი ომი, სასტიკი ომი მიტაცებული უფლებების კვლავ აღსადგენად.

ჯონი

ომის წილ ომი და სისხლის წილ სისხლის დანთხევა, ძალის წილ ძალა: ასეთია ჩვენი პასუხი.

შატლიონი

მიიღეთ ჩემგან გამოწვევა ჩემი მეფისა, ჩემი ელჩობის უშორესი ეს არის ზღვარი.

ჯონი

ჩემიც გადაეც შენს მეფეს და წალი მშვიდობით. ვითარცა ელვა გაექანე საფრანგეთისკენ, თორემ პასუხის მიტანამდე მე იქ მივასწრებ, ჩემი ზარბაზნის ქუხილს უმაღლ გაიგონებენ! გასწი და ჩვენი მრისხანების საყვირი იყავ და აღსასრულის თქვენის შავი მანუწებელი. პატივისცემით მოეპყარით ამ ელჩსა, პემბრუკ; თქვენ დაივალეთ. შატლიონ, გზა მშვიდობისა.

(გადასწრებულად შატლიონი და პემბრუკი.)

ელიზორი

ზომ ხედავ, შვილო! განა მე არ გეუბნებოდი — არ მოისვენებს ვა ამაყი კონსტანსა-მეთქი, ვიდრე ფრანგებს და მთელ ქვეყანას არ აგვიჯანყებს.

თავისი შვილის უფლებათა დასაბრუნებლად?
ამის თავიდან აცილება შეგვეძლო ადრე
სიყვარულისა და მოყვრობის იოლი სიტყვით.
ახლა კი ორი სახელმწიფოს უთანხმოება
სისხლით გააოხილ ბრძოლის ველზე უნდა გადაწყდეს.

ჯონი

ჩვენ მხარეს არის უფლებაცა და ძალაც შეგვეწევს.

ელინორი

უფრო ძალაა თქვენს მხარეზე, ვიდრე უფლება?
ასე არ იყოს, საქმე ცუდად წაგვივიდოდა.
სწორედ ამგვარად, ჩამწურჩულებს სინდისი მეცა,
ეს გვესმის მხოლოდ მე და შენ და მოწმედ გვყავს ზეცა.
(შემოდის შერიფი და ესეკს რაღაცას უჩურჩულებს.)

ესეკსი

ჩემო მეუფე, უცნაური რაღაც საჩივრით
მოსულან სოფლით მომჩივანნი აქ თქვენ წინაშე;
სამართალს გთხოვენ. ბრძანებთ, ახლავ შემოვიყვანო?

ჯონი

შემოიყვანეთ!

(შერიფი გადის.)

სააბატონი ჩვენი და თვით საფანეებიც
ამ ლაშქრობისთვის გაიღებენ ხარკს.

(შემოდან შერიფი, რობერტ ფოკონბრიჯი და ფილიპი, მისი უკანონო ძმა ბასტარდი.)

რა ხალხი ხართ?

ბასტარდი

თქვენი ერთგული ქვეშევრდომი და აზნაური;
ნორთემპტონშირში დავიბადე და, მე მგონია,
გახლავართ რობერტ ფოკონბრიჯის უფროსი შვილი,
იმ ჯარისკაცის, რომლისთვისაც თვით რიჩარდ

ლომგულს

ბრძოლისა ველზე რაინდობა უბოძებია.

ჯონი

შენ ვინ ხარ?

რობერტი

მე ვარ იმავე ფოკონბრიჯის ძე და მემკვიდრე.

ჯონი

ის უფროსია და მემკვიდრე შენა ხარ განა?
როგორც ეტყობა, ერთი დედის არ ხართ შვილები.

ბასტარდი

არა, ხელმწიფე, ერთი დედის ძენი გახლავართ.
ეს ცნობილია; ერთი მამის ძენიცა, ვგონებ,

თუმცა სიმართლე ამის გამო მართოდენ ზეცამ
და დედაჩემმა თუ იცან; მე კი, ისევე
როგორც ყველა შვილს, შეიძლება ეჭვიცა მქონდეს.

ელინორი

ლაფი დაგესხას, გაუთლელი! დედაშენს არცხვენ
და ურწმუნობით სწორედ ჩირქს სცხებ დედის

ღირსებას.

ბასტარდი

მე, დედოფალო? სულ არა მაქვს ამის მიზეზი;
მე კი არ ვამბობ, ეს ჩემი ძმა ამტკიცებს მავას;
თუ დაამტკიცა, გამომგლიჯავს, სულ ცოტა რომ ვთქვა,
ხუთას გირვანქა შემოსავალს ყოველწლიურად.
დედის ღირსებას და ჩემს მამულს ღმერთიმც

პუარვიდეს!

ჯონი

შე დალოცვილო, ეგ შენი ძმა თუ უმცროსია,
როგორღა ხელყოფს, ერთი მითხარ. მემკვიდრეობას?

ბასტარდი

ვერ გეტყვით, როგორ, და მამულის წართმევა კი სურს,
ამისთვის ერთხელ ნაბიჭვრობაც კი დამაბრალა.
კანონიერად ვარ თუ არა შექმნილი ქვეყნად,
დედაჩემისთვის მიმინდვია ამის გარჩევა,
მაგრამ რომ კარგად ვარ შექმნილი, ჩემო მეუფე,
ერთიმეორეს შეგვადარე და თვით განსაჯე. —
ვინც ჩემთვის ასე გაისარჯა, შენდობა მის ძელებს! —
თუკი მოხუცმა სერ რობერტმა ჩვენ გაგვანინა
და იგი იყო მამაჩვენი, ეს შვილი მას ჰგავს;
მადლობას ვუთვლი მუხლმოდრეკით ზეციერ მამას,
რომ არ მამსგავსა არც მამაჩემს და არცა მამას!

ჯონი

ეს ვინ შეშლილი მოგვივლინა უფალმა ღმერთმა!

ელინორი

რიჩარდ ლომგულის მსგავსება აქვს ამ კაცის სახეს,
თვისი ხმითა და ლაპარაკით მასვე მაგონებს.
ნუთუ ვერ ატყობ ჩემი შვილის მსგავსების ნიშანს,
მხარბუჭიანი მისი ტანის ახოვანებას?

ჯონი

კარგად განჭვრიტა ჩემმა თვალმა მისი ნაკვთები:
მართლაც პირწმინდა რიჩარდია. აბა, ძმობილო,
რამ გაიძულა ძმის მამულის ხელყოფა, გვითხარ!

ბასტარდი

მას მამაჩემის ნახევარი სახე აქვს მხოლოდ.
ნახევარ სახით სურს წამართვას მთელი მამული,
ნახევარ ფასად დაუუფლოს ხუთას გირვანქას.

მოქ. I

რობერტი

ჩემო მეუფე, ვიდრე მამა ცოცხალი მყავდა. თქვენი ძმა დიდად იყენებდა მამაჩემს ზოლმე...

ბასტარდი

არა, მშობილო, ვერ წაიღებ ამ გზით ჩემს მამულს: შენ ის სთქვი, როგორ იყენებდა დედაჩემს იგი.

რობერტი

ერთხელ გაგზავნა მამაჩემი გერმანიაში ელჩად, რათა იქ ეთათბირა იმპერატორთან იმ დროის მაღალ სახელმწიფო საქმეთა გამო. მამის არყოფნა შინ ხელმწიფემ გამოიყენა და მამაჩემის სახლში ერთ ხანს მოიკალათა. ვით გაიმარჯვა, ამისი თქმა სირცხვილში მაგდებს, მაგრამ სიმართლე სიმართლეა: ზღვა და ხმელეთი ყოფლა მამაჩემს სწორედ მაშინ დედაჩემისგან, — გამიგონია, ეს თვითონვე უთქვამს მამაჩემს, — და სწორედ მაშინ ჩაისახა ეს ვაჟბატონიც. თვის სასიკვდილო სარეცელზე მამამ ქონება თავისი ნებით მიანდერძა და თანაც მითხრა, ეს დედაშენის შვილი მე ძედ არ მეკუთვნისო, და თუ მეკუთვნის იგი შვილად, თოთხმეტი კვირით დაიბადო ის რატომღაც ვადაზე ადრე. ამიტომ, მეფევე, გთხოვთ, მაკუთვნოთ ის, რაც ჩემია, რაც მიანდერძა მამაჩემმა — ჩემი მამული.

ჯონი

მშობილო, შენი ძმა შვილია კანონიერი, ის ქორწინების შემდგომ შობა მამის მეუღლემ და თუ მამაშენს უღალატა, ცოდვაც მისია. ამისი საფრთხე ყველას ელის და ემუქრება, ვინც კი ცოლს ირთავს. ახლა ეს სთქვი, თუკი ჩემი ძმა, რომელმაც, როგორც შენ მითხარი, შენი ძმა შექმნა, მოსთხოვდა თავის შვილს მამაშენს, რას მიიღებდა? დაიხაც, ჩემო მეგობარო, მამაშენს ჰქონდა ნება, არვისთვის არ დაეთმო თავის ძროხის ხბო. დაიხაც ჰქონდა: ჩემი ძმისაც რომ ყოფილიყო, ჩემი ძმა მაინც ვერ მოსთხოვდა; ვერც მამაშენი, თუნდ მამამისიც რომ არ იყოს, ვერ უარჰყოფდა მაგის შვილობას. ეს გექნებათ აწ განჩინებად: დედაჩემის შვილს მიუცია მამაშენისთვის შემკვიდრე ვაჟი; მას ეკუთვნის მამის ქონებაც.

რობერტი

მაშ, მამაჩემის ანდერძს იმის ძალა არა აქვს, უცხო კაცის შვილს არ არგუნოს თავის მამული?

ბასტარდი

არა აქვს ძალა ჩამომართვას შემკვიდრეობა, როგორც არ ჰქონდა ჩემი შექმნის ძალა, მე ვგონებ.

ელინორი

რა გირჩევნია, ფოკონბრიჯის გვარს ატარებდე და, ვით შენი ძმა, მფლობელობდე შენს მიწა-წყალსა, თუ იყო შვილი ლომგულისა სახელგანთი, არა მამულის, — შენი თავის პატრონი მხოლოდ?

ბასტარდი

ძმა რომ მე მგავდეს, დედოფალო, და მე მას ვგავდე, და მეც რომ მქონდეს სერ რობერტის მსგავსება მისებრ, ჩემი კანჭებიც რომ მისებურ ჰგავდეს ორ მათრახს, ჩემი მკლავები — გველთევზების ფიტულს და სახე ისე გამხმარი მქონდეს, რომ ყურს უკან ვარდიც კი ვეღარ გავიბრტო ისე, ხალხმა რომ არ გამქირდოს: »ერთი უყურეთ, საით მიდის ეგ სამი ფარა!« და თან ამ სახის პატრონს მქონდეს მთელი მამული! — თუ ის არ დაეთმო, — ვეღარ გავდგა აქედან ფეხი, მთელი მამული თუ არ მივცე, დამეცეს მეხი, ოღონდ ისეთად დაერჩე, რაც ვარ, და მას არ ვგავდე.

ელინორი

მომწონხარ ფრიად. ხომ არ გინდა შენს ძმას დაუთმო შენი ქონება და გამომეყვე? ავმხედრებულვარ, მივემგზავრები საფრანგეთის დასალაშქრავად.

ბასტარდი

ძმაო, წაიღე მიწა-წყალი, მე ჩემს ბედსა ვცდი. ხუთას გირვანქას უმაღლოდ საკუთარ სახეს, თუმც ხუთ გახვრეტილ პენადაც კი არ უღირს მნახველს. მე გამოგყვებით, დედოფალო, თვით სიკვდილამდე.

ელინორი

მიჯობს იქამდე ჩემზე ადრე მიხვიდე თვითონ.

ბასტარდი

წესი ასეა, გზა დაუთმო უნდა უკეთესს.

ჯონი

რა გქვია შენა?

ბასტარდი

ფილიპე, ჩემო მეუფეო, მქვიან სახელად და სერ რობერტის მეუღლის ვარ უფროსი ვაჟი.

ჯონი

ვისი მსგავსიც ხარ, იმისივე სახელი ვერქვას: ფილიპე, მუხლი მოიყარე. მაგრამ კვლავ აღსდებ: უფრო დიადი: ვით სერ რინარდ ჰლანტაგენტი.

ბასტარდი

დედით ძმები ვართ, ძმაო ჩემო, მომეცი ხელი. შენ მამული გაქვს, მე კი მამის ღირსება მთელი, მაშ, დაილოცოს ჟამი იგი ცხოველმყოფელი, როს სერ რობერტის ნაცვლად მერგო მე სხვა მშობელი.

ელენორი

პლანტაგენეტის ჭეშმარიტი სული აქვს სწორედ! მე დიდება ვარ, რინარდ, ასეც უნდა მიწოდო.

ბასტარდი

არა სიმართლით, ბედით მერგებ; რა გაეწვობა? ცოტა მახლობლად, ცოტაც კიდევ კანონს გარეშე, კარით შევიდა, თუ სარკმელში შემოეტია? დღე ვერ გაბედა, მაგრამ ღამით მოითარეშა; ხომ ხელში იგდო, მაგრამ როგორ — ეგ სულ ერთია! როგორც ესროლე, თუ არ ასცდა, ხარ კმაყოფილი; მე მაინც მე ვარ, როგორც უნდა ვიყო შობილი.

ჯონი

წადი, ფოკონბრიჯ, შეგისრულდა სურვილი მაინც, მიწის პატრონად უქცევინხარ უმიწო რაინდს. წავიდეთ, რინარდ, დედოფალო, წავიდეთ ერთად, საჭირონი ვართ საფრანგეთში ჩვენ ახლა მეტად.

ბასტარდი

მშვიდობით, ძმაო, და ყოველთვის გწვალობდეს ბედი, პატოსანი გზით რომ ქვეყნის ჭიშკარში შედი!⁸

(გაღიან ყველანი ბასტარდის გარდა.)

სულ მომემატა ერთადერთი ფუტი ღირსება, მაგრამ მრავალი ფუტი მიწა დამაკლდა ამით. ახლა ყოველი ჯენი ძალმიძს გაგხადო ლედი⁹. „სერ რინარდ, თქვენი გამარჯვება!“ „გმაღლობ, ყმაწვილო“,

და თუ სახელად ჯორჯი ჰქვია, პიტერს ეუწოდებ: ახლად გამომცხვარ ვაჟბატონებს სხვების სახელი სულ ავიწყლებათ. აღზევებას გულმა ვიწყობა უფრო უზღებ. ვთქვათ, მესტუმრა მე მოგზაური, გავემალე სუფრა და ღამიზად გავუმასპინძლდი. სადილის შემდეგ ამოიღებს ის კბილის საჩინქს¹⁰. და მეც რაინდულ კუჭს რომ კარგად ამოვიყორავე, გავამწლაკუნებ მერე პირსა და გამოვკითხავ ჩემს გადამთიელ რჩეულ სტუმარს: „სერ, ჩემო

კარგო“, —

ასე, იდაყვზე დაყრდნობილი, დაუწყებ ბაასს, — „ერთი მიბრძანეთ ეს, გეთავა“, და ჩემს შეკითხვას ის მოაყოლებს ანბანივით დაწყობილ პასუხს. „ო, სერ“, მომიგებს, „მზად ვარ მუდამ თქვენს

სამსახურად,

გამომიყენეთ როგორც გნებავთ თქვენი მორჩილი“. „არა, სერ“, ვეტყვი, „მე ვარ თქვენი მსახური, ო, სერ“. და ასე შემდეგ სტუმრის პასუხს მოჰყვება კითხვა, ქათინაურებს არ დაეკლებთ ურთიერთს თავანთი, ვილაპარაკებთ ალბებსა და აჰენინებზე, პირენეისა და მდინარე პოს ამბებს ვიტყვით, და საუბარში ვახშობასაც მივატანთ ბოლოს. ასეთი გახლავთ მაღალი წრის წესი და რიგი

და ის ჩემს მაღალ მისწრაფებებს შეეფერება; თავისი ღროის უკანონო შვილად დარჩება იგი, ვინც ამ ღროს ვერ აუღებს ალღოს და გუმანს. მეც ხომ აგრე ვარ, ღროს ავუღებ ალღოს თუ ვერა. თან არა მართო ჩვეულება უნდა გადილო, ან გარეგნობა, მიხრა-მოხრა, ტანისამოსი, არამედ გულიც შეიცვალო და სულ ანთხიო ამ საუკუნის ტკბილი, ტკბილი, ტკბილი სამსალა. ვისწავლი ამას, არა ვინმე რომ მოვატყუო, არამედ თვითონ რომ არ დავრჩე მოტყუებული და აღზევების საფეხური რბილად დავიგო.— ეს ვილა მორბის შემოსილი სამოგზაუროდ? რაო, ეს ქალი შიკრიკია? ქმარი არა ჰყავს, გაისარჯოს და რქის საყვირით წინ წამოუძღვეს?¹¹

(შემოდან ლედი ფოკონბრიჯი და ჯეიმზ გერნი.)

დედაჩემია, ვაგლახ! რაო, რამ გაიძულათ კარს მოაშუროთ, ქალბატონო, აგრე საჩქაროდ?

ლედი ფოკონბრიჯი

სად არის, სადა, ის შენი ძმა, ის მაწანწალა, ქვეყნის სათრევად რომ გახადა ჩემი ღირსება?

ბასტარდი

ჩემი ძმა რობერტ? მოხუცი სერ რობერტის ვაჟი? დევკაცი კოლბრანდ¹², ეს დიდი და შემძლე ვაჟაკი? თქვენ აქ დაემებთ, ქალბატონო, სერ რობერტის შვილს?

ლედი ფოკონბრიჯი

სერ რობერტის შვილს! გაუზრდელი ყმაწვილო, დიახ, სერ რობერტის შვილს. რას დასცინი სერ რობერტს ვითომ?

ის სერ რობერტის შვილი გახლავს და შენც ასევე.

ბასტარდი

ჯეიმზ გერნი, გთხოვთ, ერთი წუთით დაგვტოვოთ მარტოდ.

გერნი

კარგი, ფილიპე.

ბასტარდი

ფილიპეო!¹³ ჯერ შენ რა იცი, ჯეიმზ, აქ სხვა რამ დატრიალდა. მერე გაიმბობ.

(გერნი გაღის.)

მე, ქალბატონო, სერ რობერტის შვილი არა ვარ. რაც კი მას ჩემში წილი უდევს, წითელ პარასკევს რომ შეეჭამა, არ გასტეხდა მარხვას, მერწმუნეთ¹⁴. სერ რობერტს ბევრი რამ შეეძლო, მაგრამ გამოტყდით, შეეძლო ჩემი გაკეთება? არამც და არა. ჩვენ ვიცით მისი ნახელავი; ამიტომ, დედი, ვის დავეუმაღლო, ეს მიბრძანე, ამ მკლავებისთვის? ამისთანა ფეხს სერ რობერტი ვერ გამოთლიდა.

მეფე II

ლელი ფოკონბრიჯი
შენ და შენი ძმა გაერთიანდით? განა თვითონვე
არ მოიგებდი, რომ დაგეცვა ჩემი ღირსება?
რაგბსა მკადრებ, ეს რას ნიშნავს? თქვი, არამზადავ!

ბასტარდი

მე რაინდი ვარ, დედაჩემო, ვით ბაზილისკო¹⁵.
ღიახ და მხარზე დამკრეს კიდეც ამისთვის ხელი.
მაგრამ არა ვარ სერ რობერტის შვილი, დედილო;
მე უარი ვთქვი სერ რობერტზეც და ჩემს მამულზეც;
კანონიერი წარმოსობაც, სახელიც — გაქრა.
ახლა მიბრძანეთ, დედაჩემო, ვინ მყავდა მამად?
ალბათ ვაჟკაცი ღირსეული; მაგრამ ვინ იყო?

ლელი ფოკონბრიჯი

მამ უკუაგდე ფოკონბრიჯის სახელი განა?

ბასტარდი

სწორედ ისევე უკუაგდე, ვითარცა ეშმა.

ლელი ფოკონბრიჯი

შენი მშობელი იყო მეფე რიჩარდ ლომგული;
თავამოდებით დიდი ხანი მდია მან, ვიდრე
არ დამითანხმა სარეცელი გამეფო მისთვის:
ზეცასა ვვედრებ, მომიტევეს დანაშაული!

დამიმორჩილა ვაჟკაცურმა მისმა ბუნებამ
და შენც ამქვეყნად გაგაჩინა ჩემმა ცდუნებამ.

ბასტარდი

ვფიცავ დღის ნათელს, ხელმეორედ რომც ვშობილიყავ,
არ ვისურვებდი, ქალბატონო, უკეთეს მამას.
ზოგიერთ ცოდვას სათნოების ღირსება ახლავს,
და თქვენი ცოდვაც ასეთია; დანაშაული
თქვენი არ იყო სისულელე: უნდა დაგეთმოთ
ეგ თქვენი გული, ვითა ხარკი ქვეშევრდომული,
თქვენი მბრძანებლის ტრფიალისთვის, მისთვის, ვინც
ძალით

და სიმამაცით იყო მართლაც სწორუბოვარი,
მისთვის, ვინც ღომი უშიშარი ბრძოლაში სძლია
და თავის ხელით ამოართვა მეფური გული¹⁶.
ვინც იძულებით ართმევს გულებს უშიშარ ღომებს,
მას სულ აღვილად ძალუძს ქალის გულის მოგებაც.
მადლობელი ვარ, დედაჩემო, ასეთ მამისთვის
თუ შენს გაკილვას ამის გამო ვინმე გაბედავს,
ჯოჯოხეთისკენ გავისტუმრებ მას უსწრაფესად.
მამ, წამობრძანდი, ქალბატონო, გაგაცნობ მოყვრებს,
გეტყვიან, ჩემი შობა ცოდვა იყო თუ არა, —
ცოდვა უარი იქნებოდა; თუ ვინმე მოჰყვეს
შენს კაცხვას მაინც, მე ვუწოდებ მას მატყუარას.

(გაღიან.)

მოქმედება მეორე

სურათი პირველი

საფრანგეთი, ანჟერის გალანის წინ.

შეზღიან, ერთი მხრით, ავსტრიის მთავარი თავისი
ლაშქრით; მეორე მხრით, საფრანგეთის მეფე ფილიპი თავის
ლაშქრით, ლუი, კონსტანსა, ართური და
ამალა.

ფილიპი

ავსტრიის მთავარს ანჟერის წინ მიუძღვნი სალამს.
ართურ, რიჩარდი, შენი დიდი წინამორბედი,
რომელმაც გული ამოართვა ღომსა მკერდიდან
და ბრძოლით თავი ისახელა პალესტინაში,
ამ მამაც მთავრის¹⁷ ხელმა ადრე აწვია საფლავს.
რათა ეს ცოდვა მოაცილოს შთამომავლობას,
ის ჩვენი თხოვნით აქ მობრძანდა და სურს გაშალოს
დროშები თვისი, ჩემო კარგო, შენი სახელით;
სურს დაგებრუნოს ის უფლება, რაც ბიძამშენმა

ბოროტმა ჯონმა ჩამოგართვა, ინგლისის მეფემ.
გადაეხვიე, შეიყვარე. უძღვენ სალამი.

ართური

უფალმა ღმერთმა მოგიტევეთ ლომგულის მოკვლა,
რადგან სიცოცხლე შთამომავალს მიეცით მისას
და შეიფარეთ მეომარი ფრთების ქვეშ იგი.
მოგესალმებით აქვე ჩემი უძღური ხელით,
მაგრამ ხალასი სიყვარულით აღსაესე გულით:
ანჟერის ბჭესთან მობრძანებას თქვენსას მშვიდობა!

ფილიპი

კეთილო ყრმაო! შენს უფლებას ვინ არ დაიცავს?

ავსტრიის მთავარი

შენს ღაწვსა ზედა მე აღუბეჭდავ ჩემს ერთგულ ამბორს,
ვითარცა ბეჭედს სიყვარულის ამა საბუთზე,
ნიშნად იმისა, რომ შინ ისე არ დავბრუნდები,
ვიდრე ანჟერი და უფლება შენი კუთვნილი,
რაც საფრანგეთში გაგაჩნია, და ის ნაპირი,

თეთრსახოვანი, უფერული ნაპირი იგი⁴, რომელიც ქუსლით უკუაგდება მქუხარე ზვირთებს და ჰყოფს სხვა ქვეყნის მცხოვრებთაგან კუნძულის მცხოვრებთ,

ვიდრე ინგლისი, ოკეანით გარშემორტყმული, ციხე-სიმაგრე წყლის ზღუდეებში მოვლებული და მით დაცული უცხოელთა შემოსევისგან, ვიდრე ეს კუთხე უშორესი დასავლეთისა⁵, არ გაღიარებს თვის ხელმწიფედ, ყრმაჲ მშვენიერო, ხმაღს არ ჩაუგებ მე მანამდე და შინ არ წავალ.

კონსტანსა

ო, ჯერ მიიღეთ დედამისის, ქვრივის მადლობა, ვიდრე მარჯვენა თქვენი მძლავრი მისცემდეს ძალას, ეგ სიყვარული ღირსეულად გადაგიხადოთ.

ავსტრიის მთავარი

ციურ მშვიდობას მოიპოვებს იგი, ვინც მახვილს აღმართავს ასეთ მართალსა და სამადლო ომში.

ფილიპი

კმარა, შევედგეთ საქმეს: ჩვენი ზარბაზნის ლულა ურჩ ქალაქს შუბლში დაეუმიზნოთ აქვე პირდაპირ. საუკეთესო მხედართმთავრებს აქ მოუწოდეთ, რომ უკეთესად მოისაზრონ შეტევის გეგმა. ამ ქალაქის წინ დავალაგებთ ჩვენსაჲ მეფურ ძელებს, ფრანგების სისხლში თუნდ გავტოპავთ მის მოედნამდე, მაგრამ ამ ჭაბუკს ანუერს მაინც დაეუმორჩილებთ.

კონსტანსა

ჯერ მოუცადეთ გაგზავნილი ელჩების პასუხს, ტყუილუბრალოდ არ შედებოთ სისხლით მახვილი. იქნებ მოგვიტანს ინგლისიდან შატილიონი მშვიდობით იმას, რაც აქ ომით უნდა ვეძიოთ. სანანებელი გავვიხდება ყოველი წვეთი სისხლი, ბრძოლაში დაქცეული ამ აჩქარებით.

(შემოდის შატლიონი.)

ფილიპი

საოცრებაა, ქალბატონო! თქვენ მოისურვებთ და გამოცხადდა კიდევ ჩვენი შატილიონი! აბა, ინგლისი რას გვიბრძანებს, მოკლედ გვითხარი; მოგვლოდებით დამშვიდებით. სთქვი, შატილიონ.

შატლიონი

მაშინ მოხსენით ეს უმწეო ალფა ამ ქალაქს და მიაპყრით თქვენი ძალა უფრო დიდ მიზანს. სამართლიანი თქვენი თხოვნით რისხვამორეულ ინგლისს აუსხამს იარაღი. მობრუნებისას პირქარმა გზაში დამაყოვნა და ერთი გახდა ჩემი აქ მოსვლა და იმისი ლაშქრის გადმოსხმაძც. ამ ქალაქისკენ მოიჩქარის მისი ლაშქარი; ძალა დიდი აქვს, ერთგული ჰყავს ჯარისკაცები;

თან ახლავს დედა— დედოფალი, ვითარცა ატე⁶, და მოუწოდებს მას ბრძოლისა და სისხლისღვრისკენ. დედოფალს ბლანკა ესპანელიც მოსდევს, დისწული, განსვენებული მეფის ბუშიც, ვინმე ბასტარდი, და მთელი ქვეყნის ხალხი თავზეხელაღებული, ფიცხი და შმაგი, აწყვეტილი მოხალისენი, ქალურ სახეთა და ურჩხულის ზნეთა მქონენი. გაუყინიათ ყველაფერი, რაც შინ ებადათ, ჩამოძვრობის უფლებები აუკიდნიათ, და წამოსულან აქ ქონების მოსაპოვებლად. მოკლედ: იმათზე უფრო მეტად მამაცი ხალხი, ვინც ინგლისელთა ზომადღებმა დღეს მოგვაყენა, ჯერ არასოდეს ზღვის მოქცევას არ მოჰყოლია ქრისტიანობის სარბევად და შესამუსრავად⁷.

(დაფდაფების ხმა მოისმის გარედან.)

მათი უხეში დაფდაფების ხმა აღარ მაცლის, ჩემი სათქმელი დავამთავრო. მოსულან კიდევ. აწ მოემზადეთ ან საომრად ან სათათბიროდ.

ფილიპი

მოულოდნელი არის მართლაც მათი ლაშქრობა.

ავსტრიის მთავარი

მით უფრო გემართებს, რაც უფროა მოულოდნელი, თავდასაცავად სიმამაცით ავენთოთ ყველა. გარემოება კაცსა ჰმატებს გამბედაობას. მშვიდობა მაგათ მობრძანებას, მზად ვართ დაეუხვედეთ. (შემოდინ მეფე ჯონი, ელინორი, ბლანკა, ბასტარდი, დიდებულები და ლაშქარი.)

ჯონი

მშვიდობა ფრანგებს, თუ ისინი ნებას დაგვრთავენ მშვიდობიანად შევალწიოთ ჩვენს კუთვნილ ქალაქს; თუ არა, მაშინ საფრანგეთი სისხლით მოიწყვის, მშვიდობა ზეცას მიაშურებს და, ვით ღვთის რისხვა, მშვიდობის მღვენელთ მკაცრად დავსჯით სიამაყისთვის.

ფილიპი

მშვიდობა ინგლისს, თუ ეს ჯარი დაუბრუნდება უკანვე ინგლისს, რომ მშვიდობით იცხოვროს კვალად. ინგლისი გვიყვარს და მისივე სიყვარულისთვის ვიღვერებით ოფლად მძიმე აბჯრით დატვირთულები. ამ ჩვენი გარჯის შესრულება შენვე გმართებდა, მაგრამ ინგლისის სიყვარულს შენ ისე განუდექ რომ დაგიჩაგრავს მეფე მისი კანონიერი, მეგვიდრეობის ძაფი მისი გაგიწყვეტია, ყრმის მიმართ ძალა გიხმარია და შევილახავს მეფის გვირგვინის უბიწობა ქალწულებრივი. აი, შეხედე, ეს შენი ძმის ჯეფრის ასლია; მისი თვალები, მისი შუბლი მას მოგაგონებს; აი, ეს მცირე ნაწილაკი შეიცავს იმ დიდს, რაც ჯეფრის სახით წაიშალა. და დროის ზელი ამ ნაწყვეტისგან ისეთსავე დიად წიგნს დაწერს.

პოქ. II

ჯეფრი უფროსი იყო შენზე და ეს ყმაწვილი მისი შეილა. ეკუთვნოდა ინგლისი ჯეფრის და ეს კი ჯეფრის მემკვიდრეა. ღვთის გულისათვის, როგორ მოხდა, რომ შენ დაგერქვა ინგლისის მეფე, როცა ცოცხალი სისხლი კვლავ სჩქეფს იმ საფეთქლებში, მეფის გვირგვინი რომლისგანაც მოგიგლეჯია?

ჯონი

ვინ მოგცა ნება, ერთი მითხარ, ფრანგების მეფევე, რომ გამომართე აქ სამსჯავრო და პასუხსა მითხოვ?

ფილიპი

ამისი ნება უმაღლესმა მსაჯულმა მომცა, ხელისუფალთა გულში კეთილ ფიქრებს ვინც აღძრავს და ითხოვს მართლის დამჩაგვრელზე თვალი გვეჭიროს. მსაჯული იგი ამ ყმაწვილის დაცვას მავალებს. მისი სახელით ბრალსა ვდებ და ცოდვილადა გთვლი, მისი წყალობით განზრახვა მაქვს დაგსაჯო კიდეც.

ჯონი

ვაგლას! იჩემებ მიტაცებულ ხელისუფლებას.

ფილიპი

ხელისუფლების მიმტაცებლის დამხობა მინდა.

ელინორი

ვის იხსენიებ მიმტაცებლად, ფრანგების მეფევე?

კონსტანსა

ნება მიბოძეთ, ვუპასუხო: შენს შეილს, მოძალეს.

ელინორი

იქით, თავხედო! შენი ბუში გსურს მეფედ დასვა, შენ დელოფალი გინდა გახდე, ქვეყანა მართო?

კონსტანსა

მე შენი შეილის სარეცელის ერთგული ვიყავ, ვით შენ — შენი ქმრის სარეცლისა, და ეს ყმაწვილი მამამის ჯეფრის უფრო მეტად ჰგავს, ვიდრე ჯონი შენა გგავს, თუმცა ჰგავხართ ურთერთს, ვითარცა წვიმა წყალსა ჰგავს, როგორც ეშმაკი ჰგავს მის მშობელ ეშმას.

შენი ბუშიო, გაიგონეთ? — სულს გეფიცები, არ ჩასახულა მასზე უფრო პატიოსნურად თუი მამამისიც, თუ შენ იყავ მისი მშობელი.

ელინორი

ხედავ, ყმაწვილო, რა დედა გყავს! მამას გილანძღავს.

აკსტრიის მთავარი

წყნარად!

ბასტარდი

უსმინეთ გზირს!

აკსტრიის მთავარი

ვინა ხარ, ვინ ეშმაკი ხარ?

ბასტარდი

მართლაც, სერ, ის ვარ, ვინც ეშმაკად მოგვევლინებათ, თქვენცა და თქვენს ქურქს, ერთიანად როცა გაგქაჩავთ. თქვენ ხართ კურდღელი, რომლის გამოც ანდაზა ამბობს, დიდ ვაჟკაცობას ჩემულობსო მკვლარ ლომთან იგი. მე გამოვიყვან ბოლში თქვენს ქურქს, როცა დაგიჭერთ; ღმერთს გეფიცებით, ვაჟბატონო, ღმერთს გეფიცებით!

ბლანკა

იმას ამშვენებს, მას უხდება ქურქი ლომისა, ვინც ლომს გახადა და თვის ტანზე მოირგო იგი.

ბასტარდი

მართლაც და მის ზურგს ლომის ქურქი ისე უხდება, როგორც ალკიდეს⁹ გარეგნობა ვირს დაამშვენებს. მაგრამ ტვირთს მოგხსნი, ვირო, რათა ისუნთქო შვებით, ან და აგკიდებ ისეთს, რომ მთლად მოგწყვიტოს მხრები.

აკსტრიის მთავარი

ეს რა მოშლილი წისქვილივით ფქეავს და რახრახებს და ყურთასმენა მიაქვს თავის როშვა-ტარტარით? ხელმწიფევე, ლუი, გადაწყვიტეთ, როგორ მოვიქცეთ.

ფილიპი

ჩუმაღ, ქალებო და ბრიყვებო, კმარა ლაყობა! მეფე ჯონ, სიტყვა საბოლოო ეს არის ჩვენი: ინგლისი, ანჟუ, ირლანდია, ტურენი, მენი ეკუთვნის ართურს და მოვიითხოვ მისი სახელით. ამბობ თუ არა უარს მათზე და ჰყრი იარაღს?

ჯონი

თუ სიცოცხლეზეც ვიტყვი უარს. ბრძოლაში გიწვევ დაძნებდი, ართურ ბრეტონელი, ჩემს ხელთ გადმოდი, და მეტს მიიღებ სიყვარულის ჩემის წყალობით, ვიდრე ფრანგების ლაჩარ მეფეს ძალუქს მოიგოს. დაძნებდი, ყრმაო.

ელინორი

მიდი, შეილო, დიდდაშენთან!

კონსტანსა

მიდი, შეილიკო, მიდი, ბავშვო, დიდდაშენთან; მიეც სამეფო დიდდაშენს; სამაგიეროდ დიდდაშენი მოგცემს ქლიავს, ალუბალს, ლელესაც; დიდდაშენი კეთილია.

ა რ თ უ რ ი

დამშვიდდი, დედავ!

მერჩინა ჩემთვის ვწოლილიყავ ცივ სამარეში;
სულაც არ ვღირვარ ამოდენა არეულობად.

ე ლ ი ნ ო რ ი

საბრალო ბიჭი, დედამისის სირცხვილსა სტირის.

კ ო ნ ს ტ ა ნ ს ა

სირცხვილსა სტირის თუ არ სტირის, სირცხვილი

თქვენდა!

დიდედამისის ცოდვა, არა დედის სირცხვილი,
ამ თვალ-მარგალიტს აფრქვევინებს საბრალო თვალებს;
ისე მიიღებს, ვით სასყიდელს, ზეცა ამ ცრემლებს.
და გამჭვირვალე მძივით ისე მოისყიდება,
რომ მას დაიცავს, თქვენ კი გიზღავთ სამაგიეროს.

ე ლ ი ნ ო რ ი

რა შესაზარად სწამებ ცილსა ზეცას და მიწას!

კ ო ნ ს ტ ა ნ ს ა

რა შესაზარად შეურაცხყოფ ზეცას და მიწას!
ცილისმწამებელს ვერ მიწოდებ; თქვენ ისაკუთრებთ
ამ დაჩაგრული ბავშვის ტანტსა და სამფლობელოს;
შენი უფროსი ვაჟიშვილის შვილია იგი.
და, თუკი ქვეყნად ნახა რამე უბედურება,
ამის მიზეზი მართოდენ შენა ხარ, შენა.
საბრალო ბავშვი შენი ცოდვის გამო დასჯილა,
თავს დასტეხია უფლის რისხვა ბავშვის ცხოვრებას —
იგი მეორე თაობაა მხოლოდ და მხოლოდ,
შენი ცოდვილი წიაღიდან წარმოშობილი.

ჯ ო ნ ი

შემლილო, კმარა!

კ ო ნ ს ტ ა ნ ს ა

ერთსაც ვიტყვი და გავათაყებ,
ამ ქალის გამო არა მარტო იტანჯება ყრმა,
არამედ ღმერთმა ქალი ტანჯვის იარაღადაც
გადააქცია: იტანჯება შთამომავალი
წინაპრის ნაცვლად: ერთადერთი დანაშაული
რაც ბავშვს მიუძღვის, ამ დედაბრის ცოდვები გახლავთ,
ამ ცოდვებისთვის დასჯილა საბრალო ბავშვი
დედაბრის ნაცვლად. ჭირი მას და არ გადარჩენა!

ე ლ ი ნ ო რ ი

გესმის, კაპასო დედაკაცო! მე შემძლია
ჩემი ანდერძით ჩამოვართვა შენს შვილს წოდება.

კ ო ნ ს ტ ა ნ ს ა

ვინ დაეჭვდება? ანდერძითო? უნამუსობით!
ქალის ანდერძით, გადამღრმევალი ბებრის ანდერძით!

ფ ი ლ ი პ ი

წყნარად, მიღედი! შეიკავეთ თავი როგორმე,
ამგვარი ხალხის კრებას სულ არ შეეფერება
უსიამოვნო ყვირილი და აყალმაყალი.
გვიჯობს ნალარა დაჯკრათ ახლავ, რომ გალავანზე
გადმოდგნენ ჩვენ წინ ანუერელი მოქალაქენი.
ვკითხვოთ ვის ცნობენ, ართურის თუ ჯონის უფლებას!
(ისმის საყვირის ხმა. მოქალაქენი გადმოდგებიან ქალაქის
გალავანზე.)

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე

ვინ მოგვიწოდებს?

ფ ი ლ ი პ ი

საფრანგეთის მეფე გეძახით

ინგლისის გამო.

ჯ ო ნ ი

ინგლისელთა მეფე გეძახით,

ანუერელებო, ჩემო კარგო ქვეშევრდომებო...

ფ ი ლ ი პ ი

ანუერელებო, ართურისა ქვეშევრდომებო,
ჩვენმა საყვირმა მოგიწოდათ აქ სათათბიროდ...

ჯ ო ნ ი

ჩვენი საქმისთვის. ამიტომაც ჯერ ჩვენ გვისმინეთ.
ასე იცოდეთ: ეს დროშები საფრანგეთისა,
თქვენს თვალწინ, თქვენი ქალაქის წინ ლაღად

გაშლილნი,

მოუტანია ფრანგის ლაშქარს თქვენს საზიანოდ.

ეს ზარბაზნები, დატენილნი რისხვით და ცეცხლით,
თქვენ გიმინებენ, ანუერელნი, და მზად არიან
ამოანთხიონ რკინის რისხვა თქვენს გალავანზე.

ფრანგს უნდა ალყა სისხლიანი გარს შემოგარტყათ
და დაუნდობლად მოგეკიდოთ; ის ემუქრება
თქვენი ქალაქის ბჭეებს, — ამ თქვენს დახუჭულ

თვალებს;

და მართოდენ ჩვენმა სწრაფმა მოახლოებამ
შეუშალა მას ხელი, რათა მძინარე ქვეები,
მაღალ კედლებად სარტყელდევით გარს რომ გერტყმიან,
ზარბაზნის ცეცხლით ამ ძალიდან გამოეყვანა,

ამოეყარა მათი კირის საწოლებიდან
და თქვენს გარღვეულ ზღუდეთ შორის მშვიდობიან

ხალხს

შემოსეოდა სისხლიანი მისი ლაშქარი.

მაგრამ გვიხილა მეფე თქვენი კანონიერი,

ვინც, დიან დიდად დამაშვრალმა ლაშქარი თვისი

ამ კარიბჭემდე მოიყვანა თქვენს დასაცავად,
რომ ქალაქს მტერმა ჭრილობა რამ არ მიაყენოს.

შეშინებული ფრანგი, ხედავთ, თათბირს თხოულობს
და ახლა ცეცხლში გახვეული ტყვიების ნაცვლად,

მოქ. II

ზღუდეთა თქვენთა რომ შეჰყრიდა ციებ-ცხელებას,
კეამლში გახვეულ მშვიდობიან სიტყვებსდა ისვრის,
რათა თქვენ გულში ჩაგინერგოთ ჩვენი ღალატი.
ისე მიიღეთ ეს, კეთილნი მოქალაქენო,
როგორც მას პფერობს, და შეუშვით თქვენი ხელმწიფე,
ესოდენ სწრაფი სიარულით მეტად დაღლილი,
რათა ქალაქის ზღუდეთ შიგან ჰპოვოს საგანე.

ფილიპი

ოდეს მეც ვიტყვი, გვიბასუხეთ მაშინ ორივეს.
შეხედეთ, აი ამ მარჯვენით, რომელიც იცავს
ამ ყრმის უფლებას ღვთაებრივი ფიცის თანახმად,
მიპყრია ხელი ახალგაზრდა პლანტაგენეტის.
იგი ამ კაცის უფროსი ძმის ვაჟიშვილია,
მეფეა მისი და ყველასი, რაც მას ეკუთვნის.
ამ გათელილი სიმართლისთვის ვთელავთ ჩვენც ბალახს
თქვენი ქალაქის წინ საომრად აღჭურვილები.
სულაც არა ვართ თქვენი მტრები; ჩვენ მოგვიწოდებს
და გვაიძულებს ღვთაებრივი მოვალეობა,
დავიცვათ ესდენ დაჩაგრული ბავშვის უფლება.
კეთილ ინებეთ, მოიხადოთ თქვენ ჭეშმარიტად
იმ ახალგაზრდა უფლისწულის წინაშე ვალი.
და მაშინ, როგორც პირაკრული დათვი, ეს ჯარი
სახით საშიში, უვნებელი გახდება თქვენთვის,
დაიხარჯება ზარბაზნების რისხვა ამაოდ,
მიუწვდომელი ცის ღრუბლების მიმართ ნასროლი.
ღამშიდებული, ღირსეული უკანდახვეით
დაუჩლუნგებელ ხმლებით, მთელი მუზარადებით,
შინვე წაიღებთ ხელუხლებლად ჩვენს მზურვალე

სისხლს,

რომელიც თქვენი ქალაქის წინ უნდა გვეღვარა;
თავს დაგანებეთ თქვენც, თქვენს შვილებს და თქვენს
ცოლებსაც.

მაგრამ ჩვენს სიტყვას თუ უარყოფთ დაუფიქრებლად,
თქვენი ბებერი გალავანი ვეღარ დაგიცავთ,
ომის შიკრიკებს ჩვენსას ვერსად დაემალებით,
თუნდ ომში გაწვრთნილ ინგლისელთა მთელი მხედრობა
თქვენს კედლებს შორის იყოს ერთად შეფარებული.
სოქვით, სცნობს თუ არა მას პატრონად თქვენი ქალაქი,
ვისთვისაც ჩვენი იარაღი აღგვიმართია?
თუ არა, მაშინ კარს გაუღებთ ჩვენს მრისხანებას
და სისხლში ტოპვით შევალთ ჩვენსავ სამფლობელოში.

პირველი მოქალაქე

მოკლედ რომ მოგჭრათ, ვართ ინგლისის ქვეშევრდომები
და ეს ქალაქიც მას ეკუთვნის, მისი მომხრეა.

ჯონი

მაშინ ხელმწიფე აღიარეთ და შიგ შემიშვით.

პირველი მოქალაქე

არ შეგვიძლია. ხელმწიფობას ვინც დაიმტკიცებს,
მას დაეუმტკიცებთ ერთგულებას; მაგრამ იქამდე
დაკეტილია ჩვენი კარი ყველას წინაშე.

ჯონი

განა გვირგვინი ინგლისისა თქვენთვის არ კმარა?
თუ არა, მაშინ მოწმეებსაც მოგიყვანთ კიდევ —
ორჯერ თხუთმეტი ათას ნამდვილ ინგლისელს გულს...

ბასტარდი

ბასტარდებს და სხვებს.

ჯონი

ჩვენი წოდება რომ სიცოცხლით დაგვიდასტურონ.

ფილიპი

ამდენივე გვეყავს, ვისი სისხლიც ამდენსვე ფასობს...

ბასტარდი

ცოტაოდენი ბასტარდებიც.

ფილიპი

რომ წინ აღუდგნენ აშკარად მის მოთხოვნილებას.

პირველი მოქალაქე

ვიდრე გადაწყვეტთ, რომელი ხართ მეფობის ღირსი,
ჩვენ ორივესგან შორს ვიდგებით; მერე ღირსს ვიცნობთ.

ჯონი

მაშ, ღმერთმა ყველას მიუტყვოს ყოველი ცოდვა,
ვინც მიაშურებს თვის სამყოფელს სამარადისოს
ჩვენი სამეფოს პატრონისთვის სასტიკ ბრძოლაში,
ვიდრე მიღამოს დაეცემა მიმწუხრის ნამი!

ფილიპი

ამინ! მხედრებო, მამ ამხედრდით! იშიშვლეთ ხმალი!

ბასტარდი

წმიდა გიორგი, შენ, რომელმაც მოჰკალ ურჩხული
და შემდეგ ცხენზე სამიკიტნოს კარის წინ ზიხარ¹⁰,
გვასწავლე ბრძოლა! (ავსტრიის მთავარს.) შენ ძმობილო,
რომ ვყოფილიყავი

ახლა შენს სახლში, შენს ძუ ლომთან ერთად ქვაბულში,
ხარის რქოსან თავს დაგადგამდი ლომის ფაფარზე,
გადაგაქცევდი შენც ურჩხულად.

ავსტრიის მთავარი

გაჩუმდი, კმარა!

ბასტარდი

ლომის ღრიალი გესმის უკვე; ო, ძრწოდე მარად!

ჯონი

ველზე გავიდეთ, უკეთესად გავშლით იქ ლაშქარს და ჩვენს მხედრობას იქ დაეაწყობთ საომარ წესზე.

ბასტარდი

მაშინ ავჩქარდეთ, დაეჭიროთ მარჯვე ადგილი,

ფილიპი

მაშ, აგრე იყოს. (ლუის.) იმ გორაკზე მაშველი ჯარით დადექ, ჩვენთან არს უფალი და უფლება ჩენი!

(გადიან. მოძრაობა და ხმაურობაა, შემდეგ ჯარის გაყრის ხმა. შემოდის ფრანგი გზირი ბუკით ხელში, მიდის ქალაქის კარიბჭესთან.)

ფრანგი გზირი

ანჟერელებო, აწ გახსენით კარიბჭე თქვენი და გზა მიეცით ჭაბუკ ართურს, ბრეტონის მთავარს; ის საფრანგეთის მეფის ხელით ბევრს გაისარჯა და დღეს მრავალი ინგლისელის დედა ცრემლს

დაღვრის,

ვისი შვილებიც სისხლით მორწყულ მიწაზე წვანან; მრავალი ქვრივის ქმარი პირქვე დაემხო მკვლარი და ჩაეხუტა მკლავგაშლილი უფერულ მიწას. ეს გამარჯვება, მცირე მსხვერპლით მოპოებული, დღეს საფრანგეთის მოფრიალე დროშებს დაჰხარის; ფრანგი მხედრებიც აქ არიან, რომ საზეიმოდ გამარჯვებულნი შემოვიდნენ და ყრმა ართური ინგლისისა და თქვენს ხელმწიფედ გამოაცხადონ.

(შემოდის ინგლისელი გზირი ბუკით ხელში.)

ინგლისელი გზირი

ანჟერელებო, გიხაროდეთ, რეკეთ ზარები, ინგლისისა და თქვენი მეფე ჯონი მოსულა, ამ ცხარე ბრძოლის, ამ სასტიკი დღის მბრძანებელი. ის საჭურველი, ვერცხლისფრად რომ ბრწყინავდა ადრე, ფრანგების სისხლით მოოქვრილი ბრუნდება უკან. ინგლისელების მუზარადზე ერთი ბუმბულიც არ შერხეულა, ფრანგის რახტით შეტოკებული; ჩვენი დროშები უკან მოაქვთ იმავე ხელებს, რომელთაც ეპყრათ მაშინ, როცა ველზე გავედით. ვითარცა გუნდი გალაღებულ მონადირეთა, ინგლისელები ბრუნდებიან უკანვე ლაღად; მტრის სისხლით წითლად შეღებილა მათი ხელები!! განახვენთ ბჭენი, გზა მიეცით გამარჯვებულებს.

პირველი მოქალაქე

გზირებო, ჩვენი კოშკებიდან ჩვენც დავინახეთ თქვენი ჯარების შეტაკების თავი და ბოლო, მათი შეხვედრა, შემდეგ გაყრა; მაგრამ ვის დარჩა დღეს გამარჯვება, ჩვენმა თვალმა ვერ გაარჩია; სისხლი სისხლის წილ დავინახეთ, ბრძოლის წილ —

ბრძოლა,

ექიშპებოდა ძალას ძალა, ლაშქარს — ლაშქარი, ერთნაირნი ხართ, ერთნაირად ორთავ მოგვწონხართ,

მაგრამ ვიდრე არ დაირღვევა წონასწორობა, მანამდე ვერც ერთს ვერ გავულებთ ქალაქის კარებს.

(სხვადასხვა მხრით შემოდინ ორთავ მეფენი თავიანთი ლაშქრით.)

ჯონი

ფრანგების მეფე, კიდევ გინდა დაღვარო სისხლი? ჩვენს უფლებათა ნაკადს მაინც ვზას აღარ მისცემ? გამმაგებული შენგან შექმნილ დაბრკოლებებით იგი მშობლიურ კალაპოტსაც კი გადალახავს, ზედ გადაუვლის მაგ შემზღულდველ სანაპიროებს, თუ არ დააცლი მის ვერცხლისფერ ტალღებს იდინონ მშვიდობიანი გზით უსახლვრო ოკეანისკენ.

ფილიპი

ინგლისის მეფე, შენზე მეტი არც ერთი წვეთი არ დაგვიღვრია სისხლი ფრანგებს ცხარე ბრძოლაში. პირიქით, შენი დანაკარგი ბევრად მეტია. ვფიცავ მარჯვენას, რომელიც ამ მიწა-წყალს მართავს, რომ არ ჩავაგებთ სიმათლისთვის აღმართულ მახვილს, ვიდრე არ დაგცემთ შენ, ვისთვისაც აღემართეთ იგი, ანდა მკვლართა რიცხვს მივუმატებთ მეფის ცხედარსაც, შევამკობთ ომის დანაკარგთა მომთხრობელ ნუსხას, გაეაორკეცებთ ომში მკვლარი მეფის სახელით.

ბასტარდი

ჰეი, რა ძალა დაჰფრენ თურმე, მეფის დიდებაე, როცა ძარღვებში ადუღდება მეფური სისხლი! სიკვდილმა ყბები ამოივსო ფოლაღით, რკინით და გაიხადა ჯარისკაცთა ხმლები კბილებად. ახლა ნადიმობს, უთვალთვალებს კაცის ხორცს იგი, გახარებული ხელმწიფეთა უთანხმოებით. რაღას დამდგარა უმოქმედოდ ორი ლაშქარი? „ხოცვა-ჟლეტა-თქო!“ დაიძახეთ, მეფენო, ბარემ! სისხლიან ველზე გადით ისევ, ძალთანასწორნო, აღმოდებულნო; მოუტანოს ერთის შეკრთომამ ზავი მეორეს; მანამდე კი — სისხლი, სიკვდილი!

ჯონი

ვის მხარეზე ხართ, მოგვანსენეთ, მოქალაქენო?

ფილიპი

მოქალაქენო, სთქვით, ვინ არის თქვენი ხელმწიფე?

პირველი მოქალაქე

ინგლისის მეფე, როდესაც ვცნობთ, ვინ არის იგი.

ფილიპი

მაშინ ჩვენ გვცანით, უფლებათა მისთა დამცველი.

ჯონი

ჩვენ, რომელიც ვართ საკუთარი თავის ნაცვალი, და ჩვენ საკუთარ პიროვნებას თვით წარმოვადგენთ!?, თავისი თავის, ანჟერის და თქვენი ბატონი.

მოქ. II

პირველი მოქალაქე

ამას უარყოფს ჩვენზე უფრო დიადი ძალა,
ვიდრე უძველეს არ გახდება ეს ყოველივე,
ჩვენს მტკიცე ბჭეთა უკან დაუკავთ ძველსავე ეჭვებს.
ჩვენივე თავის მეფეები ვიქნებით მანამ,
ვიდრე ხელმწიფე რომელიმე შიშს არ გაგვიქრობს.

ბასტარდი

მასხრად გიგდებენ, მეფეებო, ანუერელები;
ამ ქონგურებზე არხინად გადმომდგარები
ვით წარმოდგენას შესცქერიან სისხლიან ბრძოლას,
ოფლისღერის სურათს და სიკვდილის სანახაობას.
მეფეო, მინდა ერთი რჩევა შემოგთავაზოთ:
იერუსალიმელ მოჯანყებს ემსგავსეთ წუთით,
გახდით მცირე ხნით მეგობრები¹³, საერთო ძალით
თავს დაატეხეთ თქვენი რისხვა თავგასულ ქალაქს.
აღმოსავლეთით გადათხარეთ დასავლეთამდე
ინგლისელმა და ფრანგმა ერთად ზარბაზნით იგი;
ესროლეთ, ვიდრე ზარდამცემი ზარბაზნის ჭეკა
არ ჩაუღწავს თავხედ ქალაქს კაჟიან ნეკნებს.
მე ამ ჯავლაგებს ვუჩვენებდი თავის თამაშას,
ამ ქვის ზღუდეებს მოვარდევინდი და დავტოვებდი
ღელიშობილა, ამ შიშველი სივრცის ამარა.
ამას როცა იქმთ, კვლავ გაყარეთ თქვენი ლაშქარი,
ერთი მეორეს დააშორეთ თქვენი დროშები,
უპირისპირეთ ერთმანეთის მახვილს მახვილი.
მაშინ ფორტუნა ამოიჩვენებს სასწრაფოდ რჩეულს
და ბედნიერის მხარეს უცებ დაიჭერს იგი;
ამ დღეს ფორტუნა უწყალობებს რჩეულ ბედნიერს
და მიულოცავს გამარჯვებას თვისი ამბორით:
სწორუბოვარნო, როგორ მოგწონთ ეს ჩემი რჩევა?
ცოტაოდენი პოლიტიკის სუნი არა გცემთ?

ჯონი

ვფიცავ ცის ტატნობს, თავს რომ გვადგას, მომწონს
გვ რჩევა;

ფრანგების მეფე, შევაერთოთ ჩვენი ჯარები
და ეს ანუერი მთლად ავგავოთ მიწის პირისგან!
მერე კი ბრძოლით გადავწყვიტოთ, ვინ იყოს მეფე.

ბასტარდი

თუკი მეფური სიმამაცე გიღვივის გულში
და გრძნობ ქალაქმა მოგაყენა შეურაცხყოფა,
შემოაბრუნე ზარბაზნითა ლულები მისკენ;
მის თავხედ კედლებს ჩვენს ზარბაზნებს ჩვენც
მივაყენებთ,

და როცა კარგად გავასწორებთ მიწასთან ქალაქს,
გამოვიწვიოთ ერთმანეთი ბრძოლაში ჩვენცა
და მოვიპოვოთ ჯოჯოხეთი ან თვითონ ზეცა.

ფილიპი

მაშ, აგრე იყოს. თქვენ რომელი მხრიდან შეუტევეთ?

ჯონი

დასავლეთიდან შევუგზავნით ნგრევას და მუსვრას
ამ ქალაქს გულში.

ავსტრიის მთავარი

მე - ჩრდილოეთით.

ფილიპი

მეხს დავატეხთ ჩვენ სამხრეთიდან.
ყუმბარისა და ტყვიის წვიმას დავადენთ თავზე.

ბასტარდი

გონიერება! სამხრეთიდან ჩრდილოეთამდე
ტყვიას დაუშენს ერთურთს ფრანგი და ავსტრიელი.
მეც წავაქეზებ, რას ვუყურებთ! დავიწვით ბარემ!

პირველი მოქალაქე

ჯერ შეიცადეთ, მოგვისმინეთ, დიდნო მეფეო,
მშვიდობისა და მეგობრობის გზას დავანახებთ:
უმტკიცენეულოდ, უბრძოლველად აიღებთ ქალაქს,
მისცემთ საკუთარ სარეცელში სიკვდილის ნებას
მას, ვინც მოსულა ომში თავის გასაწიავად.
ნუ გაკერპდებით, მომისმინეთ, დიდნო მეფეო.

ჯონი

ვეითხარ, რაც გინდა; აჰა, მზად ვართ კვლავ
მოგისმინოთ.

პირველი მოქალაქე

აი, აქ გახლავთ ესპანეთის ასული ბლანკა,
ინგლისის მეფის ნათესავი; ნახეთ, ვით ფერობს
თვისი ასაკით ფრანგთ უფლისწულს ნაზი ასული.
თუ ვნებიათ სიყვარული მშვენიერებს ეძებს,
სადღა იპოვის ის ბლანკაზე უფრო მშვენიერს?
თუ გულმოდგინე სიყვარული სიკეთეს ეძებს,
სადღა იპოვის ის ბლანკაზე კეთილს და სათნოს?
და თუ ამაყი სიყვარული ეძებს წოდებას,
ვისა აქვს სისხლი, მასზე უფრო კეთილშობილი?
სილამაზითა, სიკეთით და შთამომავლობით,
ფრანგთ უფლისწული სწორედ მისი თანატოლია.
ერთში არ არის მისი ტოლი: ის ვაჟკაცია;
ასულიც იგი უნაკლოა და მხოლოდ ერთი
აკლია მასაც: ის ქალია და არა კაცი.
უფლისწულია სრულყოფილი მხოლოდ ნახევრად
და ქალთან ერთად ჰპოვებს ნამდვილ სრულყოფილებას.
ასულიც მხოლოდ სანახევროდ სრულყოფილია
და უფლისწულთან ერთად ჰპოვებს ისიც სისრულეს.
ორი ასეთი ვერცხლის წყარო რომ შეერთდება,
დაამშვენებენ სილამაზით თავის ნაპირებს.
ამ ნაპირებად, ორ ნაკადულს რომ შეაერთებს,
ასეთ საზღვრებად, მეფეებო, თქვენ ჩაითვლებით,
თუ ამ მშვენიერ ორ უფლისწულს დააქორწინებთ.
კუეპირი ესე იქმს მეტს, ვიდრე ზარბაზნის ლულა,
ჩვენი დანშული კარიბჭისთვის დამიზნებული.

მით უფრო სწრაფად, ვიდრე თოფის წამლის
 მძლავრობით,
 გავახსნევენებთ პირს განივრად ქალაქის ბჭეებს
 და შემოვიშვებთ. მაგრამ თუ ამ კავშირს არ შეჰკრავთ,
 განრისხებული ზღვა ისეთი ყრუ არ იქნება,
 ლომი — უნდობი უფრო მეტად, მთანი და კლდენი —
 უფრო უძრავნი, ვიდრე ჩვენ ვართ. თვით სიკვდილიც კი
 ისეთი მტკიცე არ იქნება თავის საქმეში,
 ვით ამ ქალაქის დაცვისას ჩვენ.
 ბ ა ს ტ ა რ დ ი

კვლავ დაბრკოლება
 სიკვდილის დამპალ ჩონჩხს გამობერტყს მისი ძონძიდან
 ეს არის მართლაც დიდი პირი, რომელიც სიკვდილს,
 მთებსა და კლდეებს, ზღვას და ხმელეთს ადვილად
 ანთხევს,
 ღრიალა ლომზე ლაპარაკობს შინაურულად,
 როგორც ცამეტი წლის გოგონა პატარა ლეკვზე.
 თუ მეზარბაზნემ გააჩინა, აგრე იოლად
 რომ ლაყბობს ცეცხლზე, ზარბაზანზე, კვამლზე,
 ბრძოლაზე?

რა ლაწალუწი აგვიტეხა თავისი ენით!
 მთლად ყურთასმენა არ წაიღო! მისი სიტყვები
 უკეთ გვირტყამენ, ვიდრე ფრანგთა მეფის მუშტები.
 დალაზვროს! სიტყვით ასე არვის არ ვუცემივარ,
 რაც კი ძმის მამას დაუუძახე მამა პირველად.

ე ლ ი ნ ო რ ი (განზე მეფე ჯონს)
 შვილო, ისმინე რჩევა; მიეც შენი დისწული
 და მას მზითევიც ღირსეული თან გაატანე.
 მათი კავშირი განამტკიცებს უფრო სარწმუნოდ
 უფლებას შენსას, — უმტკიცარსა, — სამეფოს მიმართ.
 ამ უმწიფარ ყრმას მოაკლდება მაშინ მზის სხივი,
 მისი ყვავილი ძლიერ ნაყოფს ვერ გამოიღებს.
 თანხმობის ნიშანს ვხედავ ფრანგთა გამოხედვაში.
 ნახე, ჩურჩულიც წამოიწყეს: პატივმოყვარე
 გრძნობა ვიდრე ფლობს მათ სულს, ამ აზრს ნუ
 მოეშვები,

თორემ იმათი მისწრაფება, რომ გაულხვია
 სიბრალულის და სინანულის ქარის ცხელ სუნთქვას,
 კვლავ გაგრილდება და ყინულად გადაიქცევა.

პ ი რ ვ ე ლ ი მ ო ქ ა ლ ა ქ ე
 რატომ არაფერს ბრძანებს ორი დიდი ხელმწიფე
 ჩვენი ქალაქის მეგობრული რჩევისა გამო?

ფ ი ლ ი პ ი
 ინგლისის მეფევე, ჯერ შენ ბრძანე: შენ ხომ პირველმა
 დაუწყე ქალაქს ლაპარაკი; აბა, რას იტყვი?

ჯ ო ნ ი
 თუ უფლისწული, შენი შვილი, ამ სილამაზის
 წიგნში მისდამი ტრფიალებას ამოიკითხავს,
 ქალის მზითევი სადღეოფლო იქნება სწორედ.
 ანჟუ, ტურენი, პუატიე, მენი და ყველა,

რაც კი გვეკუთვნის მიწა-წყალი ზღვის იმ ნაპირზე,
 ალყაშემორტყმულ ამ ქალაქის გარდა ყოველი,
 რაც კი ჩვენს გვირგვინს და წოდებას ემორჩილება,
 მოავარაყებს საქორწინო სარეცელს მისას.
 ჩვენ მდიდარსა ვყოფთ მას პატივით, ყველა წოდებით,
 ვით არის იგი სილამაზით, სისხლით და აღზრდით
 ტოლი და სწორი მთელი ქვეყნის მეფის ასულთა.

ფ ი ლ ი პ ი
 შენ რაღას იტყვი, შვილო? აბა, შეხედე ასულს.

ლ უ ი
 ვუყურებ, მეფევე, და საოცარ სასწაულს ვხედავ:
 ჩემი აჩრდილი მის თვალებში გამოისახულა.
 თუმცა ეს არის თქვენი შვილის აჩრდილი მხოლოდ,
 იგი მის თვალში ბრწყინვალე მხედ გადაქცეულა
 და მზის წინაშე თქვენი შვილი აჩრდილად მოჩანს.
 მე ვგრძნობ მანამდე ჩემი თავი არ მეყარებია,
 ვიდრე არ ვნახე ანარეკლი ამ მამებელ
 სჯულის ფიცარზე მის თვალებში გადაღებული.
 (ეჩურჩულება ბლანკას.)

ბ ა ს ტ ა რ დ ი
 სჯულის ფიცარზე მის თვალებში გადაღებული!
 ჩამოხრჩობილი მის შეჭმუხვნილ წარბზე ძალათი,
 მისსავე გულში შემდეგ ოთხში ამოღებული!
 დოფინის ნდობა — სიყვარულის არის ღალატი:
 მის გადაღება-ამოღებას იმიტომ ვტირი,
 რომ მშვენიერ ქალს ხელში იგდებს დიდყურა ვირი.

ბ ლ ა ნ კ ა
 ბიძის სურვილი გახლავთ ჩემი ნება-სურვილი¹⁴.
 თუ იგი ხედავს თქვენში ისეთ რასმე, რაც მოსწონს,
 ყოველივე ის, რაც კი იწვევს მის მოწონებას,
 ძალმიძს ადვილად ჩემს სურვილად გადავაქციო.
 მაგრამ, თუ გნებავთ, უფრო ნათლად ვილაპარაკო,
 გეტყვით: ყველაფერს ჩემს სიყვარულს დაუემორჩილებ.
 მე არ დაგიწყებთ პირფერობას, უფალო ჩემო,
 რომ ყოველივე სიყვარულის ღირსი გაქვთ-მეთქი,
 რასაც მე ვხედავ, მაგრამ გეტყვით, ვერაფერს ვხედავ,
 თუნდაც რომ ძუნწი აზრი იყოს თქვენი მსაჯული,
 თქვენში რამ ისეთს, სიძულვილის ღირსი რომ იყოს.

ჯ ო ნ ი
 კიდეც რას იტყვით, ვმაწვილებო? ბრძანე, დისწულო!

ბ ლ ა ნ კ ა
 პატიოსნება ჩემი მხოლოდ ვალდებულია
 ის გააკეთოს, რასაც თქვენი სიბრძნე უბრძანებს.

ჯ ო ნ ი
 რას იტყვით, დოფინ, შეიყვარებთ თქვენც ამ
 ქალბატონს?

მოქ. II

ლუი
სჯობს ისა მკითხოთ, შევძლებ კია არ შევიყვარო?
მე იგი უპავე უაღრესად გულწრფელად მიყვარს.

ჯონი
მაშინ მიიღე მასთან ერთად ვექსენი, მენი,
ანჟუ, ტურენი, პუატეი — ეს ხუთი მხარე,
და ამას გარდა ოცდაათი ათასი მარკა
ინგლისის ფულად დამატებით წაიღე ჩემგან.
ფრანგთა ხელმწიფე, თუ ამითი ხარ კმაყოფილი,
უბრძანე ქალ-ვაჟს გაუწოდონ ხელი ერთმანეთს.

ფილიპი
მობარული ვარ. შეაერთეთ ხელები, შეილნო.

აკსტრიის მთავარი
და ბაგეებიც. დაგიმტკიცებთ, თუ გნებავთ, ფიცით,
მეც ასე ექენი, როს პირველად შევიკარ ფიცით.

ფილიპი
ანერედებო, აწ განახვნეთ ქალაქის ბჭენი,
შეუშეთ შიგნით ისინი, ვინც თქვენ დაამოყვრეთ,
წმიდა ღვთისმშობლის საყდარში რომ გადავიხადოთ
და აღვასრულოთ ქორწინების ზეიმის წესი.
ლედი კონსტანსა სადღა არის, რატომ არა ჩანს?
ვატყვობ, წასულა, თორემ ვიცი, მისი აქ ყოფნა
ამ ქორწინებას უსათუოდ ხელს შეუშლიდა;
ხად არის ის და მისი შეილი? აბა, ვინ მეტყვის?

ლუი
ღაღონებული და მწუხარე ზის თქვენს კარავში.

ფილიპი
ვფიცავ, კავშირი, რომელიც აქ ეს არის დავდეთ,
მის მწუხარებას ნუგეშად ვერ მოეკლინება.
ძმალ მეუფეც ინგლისისა, რით ვანუგეშოთ
საბრალო ქერივი ქალბატონი? ჩვენ აქ მოვედით
მისი უფლების დასაცავად და, იცის ღმერთმა,
ბედითს გზას ჩვენდა სასარგებლოდ გადაუხვებით.

ჯონი
მე ჩვენ მოგვანდე. ჭაბუკ ართურს ჩვენ მივანიჭებთ
გრაფი რინმონდის და ბრეტონის მთავრის წოდებას,
მასვე გადავცემთ სამფლობელოდ ამ მდიდარ ქალაქს.
კაცი გაგზავნეთ, აქ მობრძანდეს ლედი კონსტანსა,
ზეიმს დაესწროს. იმედი მაქვს, მის ნება-სურვილს
მთლიანად თუ ვერ შევასრულებთ, მაინც იმდენად
დაეცხრობთ, რათა შევაჩეროთ მისი გოლება.

მაშ, მივაშუროთ ერთად ზეიმს დაუყოვნებლივ,
მოუმზადებელ, მოულოდნელ ამ დღესასწაულს.
(გაღიან ვველანი გარდა ბასტარდისა. მოქალაქენიც სტოვებენ
ქალაქის ვალავანს.)

ბ ა ს ტ ა რ დ ი

ჭრელი საწუთრო, ჭრელი საქმე. ჭრელი მეფენი!
ნებსით დაუთმო ართურს ერთი მცირე ნაწილი
და დაირჩინა ჯონმა ამით მთელი სამეფო.
ფრანგების მეფეს, ვისაც ხელში თითქოს სინდისმა
ააღებინა იარაღი, ვინც სიბრალულმა
და ერთგულებამ ბრძოლის ველზე გამოიყვანა,
ვითარცა უფლის ჯარისკაცი — სულ ერთი სიტყვა,
ერთადერთი რამ ჩასჩურჩულა ყურში ეშმაკმა,
შუამავალმა, რომელიც სტეხს აღთქმას და რწმენას
და აიძულებს დღენიდაღ გატეხონ ფიცი
მეფეთ, მათხოვართ, მოხუცთ, ჭაბუკთ, უმანკო
ქალწულთ,

რომელთაც თუკი არა აქვთ რა დასაკარგავი,
გარდა ქალწულის სახელისა, ამასაც ართმევს.
ეს შემპარავი ვაჟბატონი სარგებლობაა,
ეს მომზიბლავი წინამძღვარი მთელი ქვეყნისა.
ქვეყანა მთელი, თავისთავად დარბაისელი,
მძიმედ და სწორად მიდის ხოლმე თავის სწორ გზაზე,
ვიდრე მეგზური იგი, ავის ჩამოგონებელი,
ეს მოძრაობის წამმართველი, ეს სარგებლობა
არ აიძულებს დაივიწყოს სიღარბაისლე,
და ჩამოშორდეს მიზანს, ზრახვას, მიმართულებას;
ამ სარგებლობამ, მბრძანებელმა კაცის ზრახვათა,
ამ მაჭანკალმა, მეძავეთა შუამავალმა,
ამ ქვეყანაზე ყოველივეს შემცველმა სიტყვამ,
წინ გაუელვა საფრანგეთის უპირო მეფეს
და ათქმევინა მის განზრახულ დახმარებაზე
და გადაწყვეტილ, პატიოსან ომზე უარი,
დააღებინა სამარცხვინო, მდაბალი ზავი.
მაგრამ რას ვერჩი, რისთვისა ვგმობ ამ სარგებლობას?
მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ მე არ გამრიგებია.
განა მეყოფა ძალა, მუშტი რომ შევაგებო,
ანგელოზები მისნი ხელს რომ გამომიწვდიან?¹⁵
რადგანაც ჩემს ხელს ეს ცდუნება ვერ არ უნახავს,
როგორც ღატაკი მათხოვარი მდიდარსა ვკიცხავ.
ვიდრე ღატაკი ვარ, ვაგინებ მდიდარს და ვიტყვი,
არ არის-მეთქი სიმდიდრეზე მძიმე რამ ცოდვა.
და თუ გაემდიდრდი, მაშინ მარტო იმასდა დავძენ,
სიღატაკეა უმძიმესი ცოდვა ამქვეყნად.
ფიცის შესლამდე ანგარებას მეფენიც მიჰყავს;
მაშ, სარგებლობავ, აწ შენ ჩემი ღვთაება იყავ!
(გაღის.)

მოქმედება მისამი

სურათი პირველი

საფრანგეთის მეფის კარავი.

შემოდინ კონსტანსა, ართური და სოლზბერი.

კონსტანსა

მაშ, ქორწილია! მაშ, ზავია კიდევ შეკრული!
 ცრუ სისხლი ცრუ სისხლს უერთდება, უმეგობრდება!
 ლუი მიიღებს ბლანკას, ბლანკა კი სამთავროებს?
 აგრე არ არის, შეგეშალა, ვერ გაგიგია.
 აბა დაფიქრდი და ნათქვამი გაიმეორე.
 არ შეიძლება ეგ რომ მოხდეს, ვერ იტყვი მაგას.
 ვერა, შენს ნათქვამს ვერ ვენდობი: შენი სიტყვები
 არის უბრალო მოკვდავისა სუნთქვა ამო;
 მერწმუნე, რომ შენს ნათქვამს სრულად ვერ
 ვერწმუნები,

მე შემომფიცა მეფემ მაგის საპირისპირო.
 შენ დაისჯები ჩემი ასე შეშინებისთვის;
 მე ავადა ვარ, ავადმყოფურ შიშით მოცული;
 დაჩაგრული ვარ და ამიტომ შიშით აღსავსე;
 ქერივ-ოხერი ვარ, შიშს ადვილად ვემორჩილები,
 და, როგორც ქალი, ვარ შიშისთვის დაბადებული.
 ახლა ისიც რომ აღიარო, გაგეზუმრეო,
 ჩემს აღშფოთებულს სულს აწ მაინც ვერ დავამშვიდებ,
 მთელი დღე უნდა ვიცახცახო და ვიკანკალო.
 რას ნიშნავს შენი თავის ქნევა, რის თქმას აპირებ?
 რატომ უყურებ ჩემს შვილს ასე მწუხარე თვალით?
 ან გულზე ხელი, მითხარ, რისთვის დაგვიკრეფია?
 რატომ გადმოსჩქეფს შენს თვალთაგან სევდის ნაკადი,
 როგორც მდინარე, თვის ნაპირთა გადამლახველი?
 იქნებ შენს სიტყვებს ეს ნიშნები ადასტურებენ?
 მაშ, კვლავ სთქვი: არა წელანდელი მთელი ამბავი,
 არამედ ესა, მართალი სთქვი წელან, თუ არა?

სოლზბერი

ისე მართალი ვთქვი, ვით თქვენ სთვლით მატყუარებად,
ვინც მიზეზია ამ უბირი სინამდვილისა.

კონსტანსა

თუ მე მასწავლი, ვით ვირწმუნო ეს მწუხარება,
 მწუხარებასაც ის ასწავლე, თუ როგორ მომკლას.
 რწმენა სიცოცხლეს შეერკინოს ისე მძვინვარედ,
 ვით ორი სასოწარკვეთილი კაცი ერთმანეთს,
 ამ შერკინების ჟამს ორივე რომ იღუპება.
 მაშ ლუი ირთავს ბლანკას? შენ კი სად ხარ, ბიჭუნავ?
 უმეგობრდება ინგლისელი ფრანგს. რა მომელის?
 გასწი, გამშორდი, აღარ ძალმიძს შენი ყურება,
 ამბის მოტანამ უმახინჯეს კაცად გაქცია.

სოლზბერი

რა ჩავიდინე, ქალბატონო, ასე საზარი?
მე მოგახსენეთ მხოლოდ ის, რაც სხვამ ჩაიდინა.

კონსტანსა

ოჰ, ისეთი რამ შესაზარი ჩაუდენიათ,
რომ ვინც კი მასზე იტყვის რასმე, შესაზარია.

ართური

მე გევედრებით, ქალბატონო, კმარა, დამშვიდდით.

კონსტანსა

შენ, ვინც მიბრძანებ დამშვიდებას, რომ ყოფილიყავ,
 შავი, მახინჯი, დედაშენის შემარცხვენიელი,
 მუწუკდაყრილი უსიამოდ და დალაქული,
 კოჭლი, სულელი, კუზიანი, შესაზარავი,
 გონჯი ხალებით დაფარული გულამაზრზენად, —
 არას ვეძებდი, დაცხრებოდი, დავმშვიდდებოდი,
 არ მექნებოდა სიყვარული და არ ჩავთვლიდი
 არც წინაპართა და არც მეფის გვირგვინის ღირსად.
 შენ კი ლამაზი ხარ, ბიჭუნავ, ბედს და ბუნებას
 სახელისა და დიდებისთვის გაუჩენინხარ.
 ძალგიძს ზამბახსაც შეეჯიბრო ბუნების ნიჭით
 და ვარდის კოკორს გაუფურჩქნელს? მაგრამ ფორტუნა
 გაირყვნა, სახე შეიცვალა, ზურგი გაქცია
 და ბიძაშენს ჯონს უსირცხვილოდ დაუჯდა ხასად.
 მან ოქროს ხელი საფრანგეთის მეფეს ჩასჭიდა,
 გაათელინა ფეხით მეფის დიდი ღირსება,
 დიდებულება მაჭანკლობად გადაუქცია.
 ჯონს მაჭანკლობა გაუწია ფრანგთა ხელმწიფემ,
 იმან შეჰყარა მტაცებელი ჯონი როსკოპ ბედს!
 თქვი, განა ფიცი არ გატეხა ფრანგების მეფემ?
 წადი, მოწამლე შენი სიტყვით ფიცის გამტეხი,
 მე კი გამშორდი, ჩემს ნაღველთან დამტოვე მარტო,
 რომ მარტომ ვზიდო მისი ტვირთი.

სოლზბერი

გთხოვთ, მომიტევეთ,
არ შემიძლია მეფეებთან უთქვენოდ მისვლა.

კონსტანსა

უნდა შეიძლო: წადი მარტო; არ წამოგვევები.
 ჩემს მწუხარებას სიამაყე უნდა ვასწავლო:
 იგი, ამაყი, თავის პატრონს დაიმორჩილებს.
 დაე, მეფენიც შეიკრიბონ ჩემი წუხილის
 სახელმწიფოში; ჩემი სევდა ისე ღილია,
 მხოლოდ მძლავრ მიწას შეუძლია მისი ატანა.
 აქ გვიდგას ტახტი ერთად მე და ჩემს მწუხარებას,
 უბრძანე მეფეთ, აქ მოვიდნენ და გვეცენ თაყვანი.

მოქ. III

(ჯგუფი მიწაზე შემოდიან მეფე ჯონი, მეფე ფილიპი, დევი, ბლანკა, ელინორი, ბასტარდი, ავსტრიის მთავარი და ამაღა.)

ფილიპი

ტურფა ასულო, ამ დალოცვილ დღეს საფრანგეთში დღესასწაულად მიიწვევენ ამიერიდან. რათა დღე ესე განადიდოს, თვით ბრწყინვალე მზეც შეჩერებულა გზაზე და ვით აღქიმიკოსი ფასდაუღებელ თვალთა ერთი გაელვარებით აბრწყვიალებულ ოქროდ აქცევს ამ გამხმარ მიწას. ყოველწლიური დღეთა ბრუნვა ამ ბედნიერ დღეს იხილავს მარად მარტოოდენ ვით დღესასწაულს.

კონსტანსა (დგება)

გათახსირების დღეს და არა ვით დღესასწაულს! აბა სთქვით, ამ დღემ ისეთი რა დაიმსახურა, რომ ოქროსფერი ასოებით ის ჩაიწეროს დღესასწაულთა შორის ღირსად აწ კალენდარში? განა არა სჯობს ამოვგლიჯოთ იგი კვირიდან, ფიცის გატების, ჩავკრისა და სირცხვილის ეს დღე. მაგრამ თუ დარჩა, ალოცვინეთ ფეხშიმე ქალებს, რათა არ მოსწყდეთ ამ შავბნელ დღეს ნაყოფი მუცლით და არ გაუწყდეთ იმედები მოულოდნელად. გემის დაღუპვის ეშინოდეთ ამ დღეს მეზღვაურთ; ნურავინ საქმის გარიგებას ნუ მოინდომებ; ამ დღეს დაწყებულ საქმეს ბოლო დე, მოჰყვეს ცუდი და ფუჭ სიცრუედ გადაიქცეს თვით ერთგულებს!

ფილიპი

ღმერთმანი, დედი, სრულიადაც არ გაქვთ მიზეზი დასწყევლოთ ამ დღის მშვენიერი მონაპოვარი. განა მეფური აღთქმა ჩემი თქვენივეს არ კმარა?

კონსტანსა

თქვენ მომატყუეთ ყალბი აღთქმით, რომელიც ჰგავდა მეფურსა აღთქმას, გამოცდას კი ვეღარ გაუძლო. ფიცის გამტეხი ბრძანებულხართ, ფიცის გამტეხი. მოხედით, რათა ჩემი მტრების სისხლი გელვარათ, და თქვენი სისხლით გსურთ აწ მათი გაძლიერება. ბრძოლის მხნეობა გაგინელდათ, შეკრული წარბი გაგინსნათ ზავმა შეთითხნილმა და მეგობრობამ; თქვენმა კავშირმა დაგაქცია და დაგვანულა. ფიცის გამტეხი მეფეები დასაჯე, ზეცავ! ქერივი დიაცი მოგიწოდებს, ზეცავ, ქმრად მექვეც ეს უღმერთო დღე მათ მშვიდობით არ დაუდამო. შეღამებამდე ფიცისმტეხელ მეფეებს შორის შენ შეიტანე სისხლისმღვრელი განხეთქილება! მისმინე, ზეცავ, ო, მისმინე!

ავსტრიის მთავარი

ზავი, მიღედი!

კონსტანსა

სისხლისღვრა! ომი! ზავი არა! ზავი მაშფოთებს! ლიმოყ, ავსტრიის მბრძანებელი! შეგირცხვენია შენი ნადავლი სისხლიანი. მონავ, ლაჩარო! ვაჟკაცად მცირე, ავაზაკად დიხაჯ დიდო! ძლიერო იმით, რომ ძლიერის მხარს იჭერ მუდამ! შენ ფალავანი ხარ ბედისა და მხოლოდ მაშინ გამოხვალ ხოლმე, როცა იცი, რომ ის მასხარა გვერდში ვიდგას და არ მოგელის რამ განსაცდელი. ფიცის გამტეხი ხარ შენც, ძალას ეპირფერები. მტკნარო სულელო, იკვებნიდი და იფიცავდი, მხარს დაგიჭერო; მხდალო მონავ, ცივისისხლიანი, შენ არ იყავი, მხარში მედექ თავგამოდებით, არ შემომფიცე ჩემთვის ომი? შენ არ მოთხარი, ჩემს ბედს, ჩემს ვარსკვლავთ და ჩემს ძალას დაემყარეო? ახლა კი ჩემი მტრების მხარე დაგიჭერია. ეგ ლომის ქურქი მოიხსენი, ტყუილად არცხვენ, ხბოს ტყავი უფრო მოუხდება შენს ლაჩარ მკლავებს!

ავსტრიის მთავარი

ნეტავ ვაჟკაცი მიბედავდეს ამ სიტყვების თქმას.

ბასტარდი

ხბოს ტყავი უფრო მოუხდება შენს ლაჩარ მკლავებს.

ავსტრიის მთავარი

რას ბედავ, გლახავ! ნუთუ თავი არ გებრალება!

ბასტარდი

ხბოს ტყავი უფრო მოუხდება შენს ლაჩარ მკლავებს.

ჯონი

ეს აღარ მოგვწონს; გავიწყდება შენ შენი თავი.

(შემოდის პანდოლფი.)

ფილიპი

აქ მობრძანდება რომის პაპის წმიდა ლევატი.

პანდოლფი

მშვიდობა თქვენდა, ღვთისნაცვალნო მირონცხებულნო! მეფე ჯონ, სწორედ შენთან ვარ მოვლინებული. მე ვარ პანდოლფი, კარდინალი ტურფა მილანის და რომის პაპის ინოკენტის ლევატი აქა; პაპის სახელით უნდა გკითხო: რად ეურჩები ჩვენს წმიდა დედას, ეკლესიას რომისას ასე, რად ეურჩები პაპის რჩეულს, სტეფანე ლანგტონს?, პაპმა რომ მისცა მღვდელმთავრობა კენტერბერისა, და ნებას არ რთავ შეასრულოს მოვალეობა? ზემოხსენებულ წმიდა მამის, თვით ინოკენტის სახელით ამას გეკითხები და პასუხს ვითხოვ.

ჯონი

ვინ მე-ხორციელს ძალუმს კისრად იდოს ეს საქმე,
 ღეთის მირონცხებულს გამოკითხვა დაუწყოს ასე?
 ვერც მოიგონებ, კარდინალო, პაპის სახელზე
 უფრო უღირსსა, სასაცილო, უმცირეს სახელს,
 რომლითაც გინდა საპასუხოდ გამომიწვიო.
 ეს მოახსენე, ამას გარდა ეს დაუმატე:
 ინგლისის მეფე ვითვლის, არც ერთ იტალიელ მღვდელს
 არ მიეცემ ნებას ჩემს მამულში აკრიფოს ხარკი;
 თუ ცის ქვეშეთში ჩვენ ვართ პირი უზენაესი
 და უფლებანი იქიდანვე გვაქვს ნაბოძები,
 ჩვენს ქვეყანაში, სადაც მართო ჩვენ ვემფობთ-მეთქი,
 მოკვდავი ხელის დახმარება არცა გვჭირდება.
 ეს მოახსენე რომის პაპსა; პატივს არა ვცემთ
 არც მას და არც მის მიტაცებულ ძალაუფლებას.

ფილიპი

ეგ ღვთის გმობაა, ძმაო, მეფე, ინგლისისაო.

ჯონი

თუმცა თქვენცა და ქრისტიანე ხელმწიფეს ყველას
 გიძღვით ეს მღვდელი და ცხვირსა ყოფს თქვენს
 საქმეებში,
 გაშინებთ წყველით, რასაც ფული გამოისყიდის,
 ოქროს, ნაგვისა და ტალახის ფასად მოგყიდით
 გათახსირებულ მიტევებას იმ კაცის ხელით,
 ვინც ამ ვაჭრობით თვითონ ხდება ცოდვილი უფრო,
 თუმცა თქვენცა და დანარჩენნიც ამ ცრუპენტელას
 აბლევთ თავსაყრელ გადასახადს და უფროთხილებით, —
 პაპს აღუდგები და მის მომხრეთ ჩემს მტრებად
 ჩავთვლი.

პანდოლფი

მაშინ უფლებით, რომელიც მაქვს მონიჭებული,
 წყეულიმც იფავ, განკვეთილი ეკლესიისგან!
 კურთხეულ იყოს, ვინც დაარღვევს ამ მწვალებელის
 წინაშე თვის ვაღს და აღსდგება მის წინააღმდეგ!
 თაყვანისცემის და დიდების ღირსი იქნება,
 შეირაცხება ჭეშმარიტად წმიდანთა შორის,
 ვისი მარჯვენაც საიდუმლო საშუალებით
 ბოლოს მოუღებს ამ საქულველ კაცის სიცოცხლეს.

კონსტანსა

ნება მიბოძეთ ჩემი წყევლაც ზედ მივაყოლო.
 კეთილო მამავ, კარდინალო, უბრძანე „ამინ“
 გამძვინვარებულ წყევლას ჩემსას, რადგან ჩემდენი
 არავისა აქვს აქ უფლება მისი წყევლისა.

პანდოლფი

ჩემს წყევლას ახლავს კანონიცა და რწმუნებაცა.

კონსტანსა

ჩემსასაც. თუკი უფლებას არ იცავს კანონი,
სიავეს მაინც დაბრკოლებად ნუ აღუდგება.

კანონი ჩემს შვილს მის სამეფოს ვერ დაუბრუნებს,
 ვინც ხელმწიფეა, ხელთ უპყრია იმას კანონიც, —
 ამიტომ ვიდრე თვით კანონი არის სიავე,
 ვით ძალუმს კანონს აუკრძალოს ჩემს ენას წყევლა?

პანდოლფი

ფილიპე, მეფე, ფრანგებისა, განკვეთის შიშით
 ამა მწვალებელს გამოგლიჯე გაწვდილი ხელი
 და საფრანგეთის ძლიერება თავს დაატეხე,
 თუკი თავს რომის ქვეშევრდომად არ აღიარებს.

ელინორი

რატომ გაფითრდი, ფრანგთა მეფე? ხელს ნუ წაიღებ.

კონსტანსა

უფურე, ეშმაკ, არ ინანოს ფრანგების მეფემ,
თორემ უთუოდ ჯოჯოხეთი ერთ სულს დაჰკარგავს.

ავსტრიის მთავარი

მეფე ფილიპე, შეისმინე კარდინალის ხმა.

ბასტარდი

ზბოს ტყავი მართლაც მოუხდება შენს ლაჩარ მკლავებს.

ავსტრიის მთავარი

ბრიყვო, ამჯერად მაგ უწმაწურ სიტყვებს ავიტან,
რადგანაც...

ბასტარდი

გფერობს აიტანო უწმაწურობა.

ჯონი

აბა, ფილიპე, რაღას ეტყვი ახლა კარდინალს?

კონსტანსა

რომ შეასრულებს კარდინალის ნაბრძანებ საქმეს.

ლუი

იფიქრე, მამავ, არჩევანი ასეთი გიდგას:
 ან რომის პაპის მიძიმე წყევლა უნდა მიიღო,
 ანდა ინგლისის მეგობრობას ჰკარგავ იოლაად.
 უადვილესი აირჩიე.

ბლანკა

წყევლა რომისა.

კონსტანსა

დადექი მტკიცედ, ლუი, შენ აქ ეშმა გაცდუნებს
 შენი ახალი, გაპრანჭული საცოლეს სახით.

ბლანკა

ლედი კონსტანსას სიმართლე არ ალაპარაკებს,
 არამედ მისი გასაჭირი.

კონსტანსა

რომელიც ცოცხლობს, რადგან ჩემი სიმაართლე მოკვდა, მაშინ გასაჭირს ეჭირვება იმისი დასკვნაც, რომ გაატოცხლებს ჩემს სიმაართლეს მისი სიკვდილი. თუ გასაჭირი დაეცემა, სიმაართლე დგება; სძლევს გასაჭირი, დაეცემა დაბლა სიმაართლე!

ჯონი

მეფე აღელდა და პასუხი ვერ გაუცია.

კონსტანსა

აღელდი, მეფე, საკადრისი პასუხი გაეც.

ავსტრიის მთავარი

ასე ჰქმენ, მეფე, და ამ ყოფმანს ანებე თავი.

ბასტარდი

რა მოგიხდება, ოტროველავ, მხრებზე ხბოს ტყავი!

ფილიპი

ხულ დაეიბენი, არც კი ვიცი, რა გიპასუხოთ.

პანდოლფი

რაც უნდა გეითხრა, უფრო მეტად დაგაბნევს იგი, შეჩვენებული თუ იქნები და განკვეთილი.

ფილიპი

ღირსო მამაო, ჩემს ადგილას დადექით ერთ წამს და ისე ბრძანეთ, მაშინ როგორ მოიქცეოდით: ეს არის ახლა გაუუწოდე ამ მეფეს ხელი და შეთანხმება სულიერი ჩვენი — კავშირად გადავაქციოთ; ერთმანეთზე გადავჯაჭვულვართ აქ დადებული წმიდა ფიცის ღვთაებრივ ძალით. სუნთქვამ, რისგანაც იშვა ჩვენთა სიტყვათა უღერა, აღვივებთა ზავი, ერთგულება და მეგობრობა და სიყვარული სამეფოთა და მეფეთ შორის. დაზავების წინ ეს-ეს არის ძლიერს მოვასწარით ჩამოგვერეცხა ერთმანეთის სისხლი ხელიდან, ეს არის დაედეთ სამშვიდობო ხელშეკრულება. ზეცამ ხომ იცის, ეს ხელები იყო შესერილი და დალაქული ხოცვა-ჟლეტის ყალბით, რომლითაც ხატავს მეფეთა შუღლის სურათს შურისძიება; და ეს ხელები განწმენდილნი, სისხლმორეცხილნი, ორივე მხრით მტკიცე სიყვარულით შეერთებულნი. უნდა გაშორდენ აწ ერთმანეთს და გაეყარონ! განა იქნება ვეთამაშოთ ჩვენსავე რწმენას, ვეზუმროთ ზეცას, დაუდგრომელ ბავშვებად ვიქცეთ, ერთმანეთს ხელი გამოვგლიჯოთ, გაუტეხოთ ფიცი და ამ მშვიდობის საქორწინო სარეცელზედაც გადავატაროთ სისხლიანი ჩვენი ლაშქარი, ან ჭეშმარიტი გულწრფელობის კეთილ სახეზე აღუბეჭდოთ შფოთი? ო, წმიდაო უფალო ჩემო,

ღირსო მამაო, სამაგივროდ ნუ გახდი საქმეს. შენი წყალობით იღონე რამ, მოგვეცი რჩევა, კეთილშობილი რამ გვიბრძანე, შეგვაძლებინე, შენც გამორჩილდებით და მოყვრობაც განვაგრძოთ ჩვენი.

პანდოლფი

ყოველი რჩევა ამათა, წესი — უწესო, ყველა, რაც მტრობას ინგლისისას არ შთავაგავონებს. ხელი ხმაღს იკარ! ეკლესიის მებრძოლი იყავ, ან ეკლესია, დედა ჩვენი, შენ შეგაჩვენებს, ისევე, როგორც გაუგონარ შვილს სწყველის დედა. ფრანგთა ხელმწიფე, გველის ენა რომ გეპყრას ხელით, გამძვინვარებულ ლომის თათი, ან დამშეულ ვეფხვს კბილში რომ მისწვდე — განსაცდელი ნაკლები გეღის, ვიდრე ინგლისის მეფის ხელის ჭერა გიქადის.

ფილიპი

ხელის წართმევით ვერ წავართმევ ჩემს ერთგულებას.

პანდოლფი

შენ ერთგულება ერთგულების მტრად გიქცევია და გაგიმართავს მართლაც ომი სამოქალაქო ფიცს და ფიცს შორის, შენს სიტყვასა და სიტყვას შორის.

ფიცი, უფლისთვის მიცემული შენგან პირველად, პირველად უნდა შეასრულო. აი, რას ნიშნავს, თუ გსურს იცოდე, ეკლესიის მებრძოლად ყოფნა. ის კი, რაც შემდეგ დაგიფიცავს შენ წინააღმდეგ მიგიმართია: შეგიძლია არც შეასრულო. თუ სიავის ქმნა შეგიფიცავს, მაინც არ არის იგი სიავე, თუ კეთილად ის შეიცვლება. როდესაც საქმე ბოროტისკენ გაქვს მიმართული, სიკეთეს იხამ, თუ ამ საქმეს არ შეასრულებ. მცდარი განზრახვის გასწორების საშუალება არის შეცდომა ხელახალი; თუმც უსწოროა გზა იგი, მაგრამ სისწორისკენ კი მიღის სწორედ. სიცრუეს ჰკურნავს თვით სიცრუე, როგორც დამწვარი კაცის ძარღვებში მხურვალე ცეცხლს აგრილებს ცეცხლი.¹⁰

სარწმუნოება ბრძანებს ფიცის შენახვას მტკიცედ, მაგრამ შენ ფიცი მიგიმართავს მის წინააღმდეგ, რასაც ჰფიცავდი, წინააღმდეგ შენი რწმენისა; მით განამტკიცებ დაფიცებულ სიმაართლეს შენსას, თუ ამ ფიცს გასტეხ; მაგრამ თუკი სიმაართლე არ გწამს და იფიცავ კი, ველარ შეძლებ ფიცის გატეხას: ასე არ იყოს, იქნებოდა ფიცი — დაცინვა! თუ შეგიფიცავს ძველი ფიცის გატეხა მაინც, მას უფრო გასტეხ, თუ ახალ ფიცს დაიცავ მტკიცედ. ახალი ფიცის დაცვა ძველის საპირისპიროდ შენივე თავის წინააღმდეგ ამბობება. იმაზე ღიად გამარჯვებას ვერც მოიპოვებ, თუ ყოველივე კეთილშობილს და მტკიცეს შენში თვით აამხედრებ ფუჭ და მსუბუქ ზრახვათა მიმართ.

14. შექსპირი, ტ. II.

ლოცვა- კურთხევა ჩვენი მხარში ედგება მაშინ
შენს კეთილ საქმეს; მაგრამ თუკი ამას არ იზამ,
იცოდე, ჩვენი შეჩვენება თავს დაგატყდება
იმდენად მძიმედ, რომ თავს მისგან ვერ გამოიხსნი
და ამ სიმძიმის ქვეშ მოკვდები სასომიხლილი.

ავსტრიის მთავარი

ამბობებაა, ამბობება!

ბასტარდი

ისევ შენა ხარ?

გინდა ხბოს ტყავით პირი კარგად ამოგიქოლო?

ლუი

ავმხედრდეთ, მამავ!

ბლანკა

ქორწილის დღეს გინდა ამხედრდე?

მათ წინააღმდეგ, ვისი სისხლის ქალიც შეირთე?

დახოცილებმა გაგვიმართონ უნდა ნადიმი?

ბუკის ღრიალი და უხეში დაფდაფის ცემა,

ჯოჯოხეთური მოძახილი შეგვიმოკობს ქორწილს?

მისმინე, ქმარო! ვაგლახ! როგორ სიახლითა ჟღერს

ჩემს პირში სიტყვა „ქმარი“! — სწორედ ამ სიტყვის

გამო,

რომელიც დღემდე ჩემს ბაგეებს არ წარმოუტყვამთ,

მუხლმოდრეკილი გვედრები, ნუ ამხედრდები

შენ ბიძაჩემის წინააღმდეგ.

კონსტანსა

მეც მოვიყრი მუხლს,

მეტი ჩოქვისგან გადაფეღეფილს, და შემოგვედრებ,

ხათნო ღოფინო, ნუღარ შეცვლი, ნუ ვადაუხვევ,

რაც ზეცამ აღრე გადაწვეიბა.

ბლანკა

ახლა ვიხილავ შენს სიყვარულს: რა უნდა იყოს
უფრო ძლიერი შენთვის, ვიდრე ცოლის სახელი?

კონსტანსა

რასაც ეყრდნობა დასაყრდენი შენი — ღირსება;

შენი ღირსება, გესმის, ლუი, შენი ღირსება!

ლუი

მაფიქრებს, მეფევე, გარეგანი თქვენი სიცვიე,
როდესაც საქმის გადაჭრას ვთხოვთ გარემოება.

პანდოლფი

ახლავე წყველა-შეჩვენებას დავატებ თავზე.

ფილიპი

არ დაგჭირდებათ. მე ვაყრები, ინგლისის მეფევე.

კონსტანსა

ო, განდევნილი სიღიადის შემობრუნება!

ელინორი

ო, საფრანგეთის უპირობის აღორძინება!

ჯონი

ფრანგების მეფევე, ერთ საათში ინანებ ამას.

ბასტარდი

ბებერი ჟამი, ეს მელოტი, ქაჩალი მნათე,
მეზარე იგი თუ ისურვებს, ინანებს ფრანგი.

ბლანკა

მზის დასავალი სისხლში ცურავს. მშვიდობით, დღეო,
დღევ მშვენიერო! რომლის მხარე უნდა მეჭიროს?

ორივესთან ვარ: ყოველ ლაშქარს გამოწვდილი აქვს

მრისხანე ხელი და ორივე ხელი მიჭირავს.

ორივე მისკენ მეზიდება და მგლეჯს შუაზე.

ჩემო მუღლევ, ღმერთს ვერ შევთხოვ შენს

გამარჯვებას,

და დამარცხება შენი, ბიძავ, კი უნდა ვთხოვო.

მამავ, ბრძოლაში გამარჯვებას ვერც შენ გისურვებ,

ვერც შენ, დიდედავ, აღსრულებას შენთა სურვილთა.

ვინც გაიმარჯვებს, მასთან ერთად მე დაემარცხლები,

წაგებასა ვარ, თუმც ვერ ბრძოლა არც დაწვებულა.

ლუი

ჩემთან წამოდი, ლედი, ჩემთან მოგელის შვება.

ბლანკა

სადაც მომელის შვება, იქვე სიცოცხლე ქრება.

ჯონი

წადი, ძმისწულო, მოუყარე თავი ჩვენს ლაშქარს.

(ბასტარდი გაღის.)

ფრანგების მეფევე, იმდენად ვარ გაცეცხლებული

და მრისხანების ალი ისე წამკიდებია,

რომ ვერ დააქრობს ვერაფერი მას სისხლის გარდა;

სისხლი და სისხლი, ფრანგთა მეფის ძვირფასი სისხლი.

ფილიპი

ეგ მრისხანება დაგწვავს უმაღ და ფერფლად გაქცევს,

ვიდრე მოასწრებ ჩვენი სისხლით ჩააქრო ალი.

თავს გაუფრთხილდი, დიდ ხიფათში ჩაგიდგამს ფეხი.

ჯონი

შენ უფრო მეტად. — დავატებოთ მტერს თავზე მეხი!

(ვაღიან.)

ბოქ. III

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

იქვე. მინდორი ანვერის ახლო.

ბრძოლის ხმა. შეტაკებანი. შემოდის ბასტარდი, ხელში ავსტრიის მთავრის თავი უჭირავს.

ბასტარდი

სიეოცხლეს ვფიცავ, დღე საოცრად გახურებულა, რაღაც ეშმაკი დაჰქრის ცაში ჰაეროვანი და ჭირს სთესს დაბლა! მთავრის თავო, აქ იწექ, ეიდრე სწოტავს ფილიპი.

(გემოდან მეფე ჯონი, ართური და ჰიუბერტი.)

ჯონი

ჰიუბერტ, ეს ბიჭი შენთან იყოს. ფილიპ შენ სწრაფად წადი, დედაჩემს მიეშველე, მტერი არტყია ჩვენს კარავს; ვშიშობ, ტყვედ არ იგდონ.

ბასტარდი

სამშვიდობოზე გახლავთ იგი, ფიქრი არ არის. უკვე დავიხსენ, წინ წადით, მეფე! კიდევ ცოტაც რომ გავისარჯოთ, ეს შრომა ჩვენთვის ბედნიერად დაგვირგვინდება!

(გაღიან.)

ს უ რ ა თ ი მ ე მ ს ა მ ე

იქვე.

ბრძოლის ხმა. შეტაკებანი. ჯარების გაყრის ხმა. შემოდან მეფე ჯონი, ელინორი, ართური, ბასტარდი, ჰიუბერტი და დიდებულები.

ჯონი (ელინორს)

აგრე იქნება დედოფალი, თქვენ ჩამოგვრჩებით მცველი რაზმითურთ. (ართურს.) ნურას ნადვლობ, ჩემო კმისწულო,

დიდად უყვარხარ დიდდაშენს და ბიძაშენიც ისე გულთბილად მოგეპყრობა, ვითარცა მამა.

ართური

ო, დედაჩემს კი ალბათ ჯავრი მოუღებს ბოლოს!

ჯონი (ბასტარდს)

აბა, კმისწულო, გაეშურე ინგლისისაკენ და ჩვენს მისვლამდე თავშენახულ აბატებს ჩანთა და ცლევიე კარგად; მიეც თავისუფლება ტყვეობაში მყოფ ანგელოზებს; ზავის მსუქანი

ნეკნებით უნდა დავაპუროთ მშვიერი ხალხი; გამოიყენე მთელი ძალით ჩვენი რწმუნება.

ბასტარდი

ვერ მომაბრუნებს უკან ზარი, წიგნი, სანთელი², როდესაც ვხედავ ოქრო-ვერცხლი წინ მომიწოდებს. გტოვებთ, მეფეო. უფალს შევთხოვ, დიდდაჩემო, — თუკი ღვთის შიში კვლავ ოდესმე მომევილინება, — თქვენს კარგად ყოფნას და თქვენს ხელსაც ვეამბორებო.

ელინორი

მშვიდობით, სათნო შვილიშვილო.

გზა მშვიდობისა.

(ბასტარდი გადის.)

ელინორი

აქ მო, პატარა ნათესავო, რაღაცას გეტყვი.

(ართური გაჰყავს განზე.)

ჯონი

აქ მოდი, ჰიუბერტ, ჩემო კარგო, კეთილო ჰიუბერტ, შენ იმდენი რამ დაგვაჯალე: ამ ხორცის კედლებს შუა დგას სული, რომელიც შენს მოვალედ სთვლის თავს და გადაიხდის სიყვარულის საფასურს უხვად. ჩემო კეთილო მეგობარო, რაც შენის ნებით შემოგიფიცავს, შენახულა ამ გულში ცოცხლად. მომეცი ხელი. მინდა გითხრა ერთი ამბავი, თუმცა მსურს მისთვის უკეთესი დრო შევარჩიო. ღმერთს გეფიცები, ჰიუბერტ, თითქმის მრცხვენია კიდეც

გითხრა, რაოდენ მაქვს მე შენი პატივისცემა.

ჰიუბერტი

დავალებული ვარ მე ფრიად, ჩემო მეუფე!

ჯონი

ჯერ, მეგობარო, მაგისი თქმის მიზეზი არ გაქვს; გექნება კია; თუმცა მეტად ნელა მიდის დრო, დადგება უამი და სიკეთეს მეც გადავიხდი. ერთი ამბავი მაქვს სათქმელი, თუმც მერე იყოს. მზე ჯერ ცაშია, ნათელი დღე ამპარტავანი, ამქვეყნიური შვება-ლხენით გარსშემორტყმული, მეტად სავსეა თავის საქმით, მეტად გართული. რომ მოიტალოს ჩემს სასმენად; შუაღამის ზარს ბრინჯაოს პირში რკინის ენა რომ ამოედგა და დაერღვია სვლა მთვლემარე ბნელი დამისა, რომ ვმდგარიყავით ახლა ერთად საყდრის ეზოში და შენ ათასი ვარამი თავს დაგტრიალებდეს, ან დაღვრემილი სული იგი, მეღანქოლია, რომ ადევლებდეს სქლად და მძიმედ შენს სისხლს მჩქეფარეს³, რომელიც დარბის კაცთ ძარღვებში აღმა და დაღმა

და იწვევს ხოლმე მათ თვალეში სულელურ სიცილს,
 უჭიმავს ლოყებს უზრუნველი მზიარულებით,
 რომელიც ახლა საძულველად მიმიჩნევია;
 ან რომ შეგეძლოს ჩემი ჭვრეტა უმაგთვალეზოდ,
 სმენა — უყუროდ და პასუხის გაცემა ჩემთვის
 მხოლოდ უენოდ, იდუმალი აზრის ნიშნებით,
 თვალის, ყურისა და მავნებელ სიტყვის გარეშე, —
 მაშინ კრუხივით მოდარაჯე დღეს აღარაფრად
 არ ჩავაგდებდი და ჩემს ზრახვას ჩაგაწევებდი.
 მაგრამ აჰ! არა, ვერას გეტყვი, თუმცა მიყვარხარ
 და გეფიცები, მჯერა, რომ შენც ვიყვარვარ ძლიერ.

პ ი უ ბ ე რ ტ ი

იმდენად ძლიერ, რომ რაც უნდა მიბრძანოთ, მეფევე,
 ამ საქმეს თუნდაც რომ თან მოჰყვეს ჩემი სიკვდილი,
 ზეტასა ვფიცავ, შევასრულებ.

ჯ ო ნ ი

განა არ ვიცი?

კეთილო პიუბერტ, პიუბერტ, აბა ერთი შეაკვლე
 თვალი იმ ვმანწილს. მეგობარო, აი, რას გეტყვი:
 იგი ჩემს გზაზე, როგორც გველი, წინ გადამიწვა
 და აღარ ვიცი, საით უნდა გადავდგა ფეხი,
 რომ წინ არ დამხვდეს დაბრკოლებად. კარგად გამიგე?
 შენ ხარ იმისი მცველი.

პ ი უ ბ ე რ ტ ი

და მეც ისე დავიცავ,

რომ ველარაფრით შეურაცხყოთ, ჩემო მეუფევე.

ჯ ო ნ ი

სიკვდილი.

პ ი უ ბ ე რ ტ ი

ბრძანეთ?

ჯ ო ნ ი

მიწა-მეთქი.

პ ი უ ბ ე რ ტ ი

ის არ იცოცხლებს.

ჯ ო ნ ი

კმარა, ახლა კი გავიხარებ. პიუბერტ, მიყვარხარ,
 მაგრამ არ გეტყვი ჯერ, რითი მსურს დაგაჯილდოვო.
 მაშ დაიხსომე. — დედოფალო, გტოვებთ, მშვიდობით,
 თქვენს ბრწყინვალეებას მაშველ ლაშქარს გამოუგზავნი.

პ ი უ ბ ე რ ტ ი

თან ჩემი ლოცვა გაიყოლე!

ჯ ო ნ ი

ძმისწულო, ინგლისს
 დაბრუნდი ახლაც და პიუბერტიც თან წაიყვანე.
 იგი ერთგული მსახურია. — წინ, კალესაკენ!

(გაღიან.)

ს უ რ ა თ ი მ ე ო თ ს ე

იქვე. საფრანგეთის მეფის კარავი.

შემოდან მეფე ფილიპი, ლუი, პანდოლფი და ამაღ.

ფ ი ლ ი პ ი

განრისხებულმა ქარიშხალმა ზარით, ღრიალით
 დამარცხებული ხომალდების მთელი არმადო!
 გაფანტა ზღვაზე და ერთმანეთს მოსწყვიტა ყველა.

პ ა ნ დ ო ლ ფ ი

ნუ დალონდებით, საქმე მაინც კარგად წავივათ.

ფ ი ლ ი პ ი

როგორ წაგვივა კარგად, როცა ზურგი ვიბრუნეთ?
 არ დაგვამარცხებს? არ დაგვკარგეთ განა ანჟერი?
 ართური ტყვედ არ წაიყვანეს? არ დაგვიხოცეს
 განა მომხრენი? მოსისხარი ინგლისის მეფე
 გამარჯვებული არ დაბრუნდა განა უკანვე?

ლ უ ი

რაც მოიპოვა, დაიმკვიდრა კიდევ ყოველი;
 მის მოფიქრებულ მოქმედებას ამ სიჩქარის უამს,
 სასტიკ ბრძოლაში ამ ზომიერ წესრიგს და წყობას,
 მართლაც არა აქვს მაგალითი; ვის წაუკითხავს,
 ანდა სმენია ამის მსგავსი ამბავი სადმე?

ფ ი ლ ი პ ი

აღბათ მეც კარგად ავიტანდი ინგლისის ქებას,
 ჩვენი სირცხვილის მაგალითიც რომ მომეძია.

(შემოდის კონსტანსა.)

აი, შეხედეთ, ვინ მოსულა! სულის საფლავი,
 უნებურად რომ ტყვედ უქმნია სული მარადი
 ტანჯული მკერდის ამ საზარელ საპატიმროში.
 გთხოვთ, ქალბატონო, წამობრძანდეთ აწ ჩემთან ერთად.

კ ო ნ ს ტ ა ნ ს ა

ჯერ ეს მიბრძანეთ, რით დამთავრდა თქვენი თათბირი?

ფ ი ლ ი პ ი

დამშვიდდით, ლედი, ინუგეშეთ, კონსტანსა, თავი.

კონსტანსა

უარს ვაცხადებ ნუგეშსა და ყველა რჩევასზე
 და ერთადერთ ხსნად სიკვდილილა მიმიჩნევიან;
 სიკვდილი, ღიას! საამური ტკბილი სიკვდილი,
 სურნელოვანი სიმყარაღე და სარწმუნო ღპობა!
 აღსდექ მარადი ღამის ბნელი სარეცელიდან
 შენ, ვინც სიძულვილს და შიშსა ჰგერი ბედნიერებას,
 და მე საზიზღარ შენს ძვლებს ტკბილად ვეამბორები,
 ამ ჩემს თვალებსაც ჩავილაგებ თვალის თაღებში
 და ამ თითებზეც გავიკეთებ მატლებს ბეჭდებად;
 პირს ამოვივსებ მიწით, რათა შეეწყვიტო სუნთქვა;
 დავემსგავსებ და ვიქცევი უგვანო ღეშად.
 მოდი, ღმირად ჩამოგართმევ მაგ კბილთა კრეჭას,
 გაამბორები, ვით მეუღლე! ო, უბედურთა
 ტრფალო, მოდი!

ფილიპი

მშენიერიო სევდავ, დამშვიდდი!

კონსტანსა

ვერ დავშვიდდები, ვიდრე შემწევს ძახილის ძალა.
 ჭეჭა-ჭეხილს რომ ჩემი ენა სდგომოდა პირში,
 ამ მწუხარებით მთელ ქვეყანას შეაძრწუნებდა,
 ძილს დაუფრთხობდნენ იმ საშინელ თავზარდამცემ

ჩონჩხს

რომელსაც ქალის ღაღადისი სუსტი არ ესმის
 და ჩვეულებრივ ქალის ძახილს ყურად არ იღებს.

პანდოლფი

ეს სიგიჟეა, ქალბატონო, და არა სევდა.

კონსტანსა

წმიდა არა ხარ, რადგან ასე დამწამე ცილი;
 მე არ ვარ გიჟი: თმას რომ ვიგლეჯ, ზომ ჩემი თმაა;
 კონსტანსა მქვია; მე ვიყავი ჯიფრის მეუღლე;
 ართური ჩემი შვილი იყო და აღარა მყავს!
 გიჟი არა ვარ; ნეტავ ვიყო, არ აჯობებდა?
 მაშინ უთუოდ საკუთარ თავს დავივიწყებდი;
 დავივიწყებდი, რომ შემემძლოს, ამ მწუხარებას!
 იქნებ სიბრძნე რამ მიქადაგო, რომ გიჟად ვიქცევი
 და შეგრაცხავენ, კარდინალო, წმიდანთა შორის.
 გიჟი არა ვარ, კარგად მესმის ჩემი ვარამი,
 ხულ იმის ხერხს და გზას დაეძებს ჩემი გონება,
 როგორ გავექცე ამ სატანჯველს, უბედურებას,
 მასწავლის, თავი ვით მოვიკლა, ვით ჩამოვიზრჩო.
 გიჟი რომ ვიყო, მაშინ ჩემს შვილს დავივიწყებდი,
 ან მჩურის ტიკინად ჩავთვლიდი მას გონდაკარგული.
 არა ვარ გიჟი: მეტისმეტად, მეტად კარგად ვგრძნობ
 სხვადასხვა ჭირით გამოწვეულ ტანჯვა-ვაებას.

ფილიპი

მე ღალატები დაიწანით. რამდენ სიყვარულს
 ნახავს მის ხშირ და მდიდარ თმაში ადამიანი!

შემთხვევით ერთმა ვერცხლის წვეთმა რომ გაიღვოს,
 ათი ათასი მეგობარი გარს შემოერთყმის,
 რათა ამ ერთის მწუხარება გაიზიაროს,
 ვით მეგობრებმა, ჭეშმარიტმა და განუყრელმა;
 უბედურების ჟამს იციან ხოლმე, თავმოყრა.

კონსტანსა

ინგლისში წავალ, თუ გამიშვებთ.

ფილიპი

თმა დაიწანი.

კონსტანსა

კარგი, დაიწანი, მაგრამ რისთვის, ერთი მიბრძანეთ?
 თმას რომ ვიშლიდი, ბაფთებს ვსხნიდი და თან ვამბობდი:
 ნეტავ ამ ხელებს ჩემი შვილის დახსნა შეეძლოთ,
 ისევე, როგორც ამ თმას მისცეს თავისუფლება!
 მაგრამ ახლა კი მშურს ჩემი თმის თავისუფლება
 და ისევ შევკრავ, კვლავ შევბორკავ დაუზოგავად,
 რადგან საბრალო ჩემი შვილიც უღონო ტყვეა.
 ღიას, მამათ კარდინალო, ერთხელ თქვენ ბრძანეთ,
 რომ ჩვენს მახლობელთ კვლავ ვიზილავთ საიქიოში.
 თუკი ასეა, მამ ჩემს შვილსაც ვიზილავ კიდევ.
 კაენის შემდეგ, ამ პირველი ყრმის შობის შემდეგ,
 თვით გუშინდელ დღეს შობილ ყრმამდე არ გაჩენილა
 ჩემს შვილზე უფრო სრულყოფილი, ნაზი ქმნილება.
 ახლა კი მღრღნელი სევდის მატლი შემიჭამს ჩემს

კვირტს

და მის ღაწვთაგან შორს განდევნის მშენიერებას;
 გამოფიტული აჩრდილივით გახდება იგი,
 როგორც ციებით შეპყრობილი, ფერდაკარგული,
 მოკვდება მერე და ბოლოს კი, მკვდრეთით აღმდგარი,
 როცა ზეციურ სამსჯავროზე შევხვდები კვალად,
 ველარც კი ვიცნობ; ამიტომაც ვეღარასოდეს,
 ვეღარასოდეს ვეღარ ენახავ ჩემს ღამაზ ართურს!

პანდოლფი

ასე წუხილი მეტისმეტად შესაზარია.

კონსტანსა

მაგას ის მეტყვის, ვისაც შვილი არა ჰყოლია.

ფილიპი

მე ვხედავ, შვილზე არანაკლებ გიყვართ ნაღველი.

კონსტანსა

ნაღველი მივსებს ჩემი შვილის ცარიელ ადგილს.
 მის საწოლში წევს, ჩემთან ერთად სეირნობს იგი,
 ნაღველს აქვს მისი გამოხედვა, მის სიტყვებს ამბობს,
 ის მომაგონებს ჩემი შვილის მომზიბლავ ნაკეთებს,
 შვილის ცარიელ ტანისამოსს ავსებს სხეულით;
 ამიტომ მისი სიყვარულის მიზეზიცა მაქვს.
 მშვიდობით. თქვენ რომ დაგეპარგათ ჩემსავით შვილი,

მოვახერხებდი თქვენზე უკეთ ნუგეშის ცემას.
მე არ დაეინი წესიერად ნაწნავებს თავზე,
რადგან გონება უწესრიგოდ მაქვს არეული.
ო, ღმერთო! ართურ, ჩემო ბიჭო, ჩემო შვილიყო!
ჩემო სიცოცხლე, სიხარულო, საზრდოე, ნუგეშო,
ქვრივის იმედო, მწუხარების მკურნალო ჩემო!

(გადის.)

ფ ი ლ ი პ ი

თავს არაფერი აუტეხოს! უკან გავეყვები.

(გადის.)

ლ უ ი

ვერაფერს ვხედავ ქვეყნად ისეთს რომ გამახაროს;
მომბეზრებია ეს სიცოცხლე, ორჯერ ნათქვამი
ზღაპრისა მსგავსად, მთელემარე კაცს რომ ძილს არ
ატღის.

მწარე სირცხვილმა მომიშხამა ქვეყნის სიამე
და ვედარაფერს ვხედავ სიმწრის და სირცხვილს გარდა.

პ ა ნ დ ო ლ ფ ი

განკურნების წინ სნეულება განსაკუთრებით
მძიმეა ხოლმე, სწორედ მაშინ, როს აღამიანს
კვლავ უბრუნდება ჯანმრთელობა. განშორების ჟამს
უკეთურობას ბოროტება უორკეცდება
და იკბინება შემოდგომის ბუზივით იგი.
აბა მითხარით, რა დაკარგეთ ამ დღის დაკარგვით?

ლ უ ი

ბედნიერების, ღზენისა და ღიდების ღღენი.

პ ა ნ დ ო ლ ფ ი

მათ დაკარგავდით სწორედ მაშინ, რომ გავემარჯვათ.
არა, არა; ბედს თუ კაცისთვის სიკეთე უნდა,
მრისხანე თვალთ სწორედ მაშინ დაუწყებს ცქერას.
წარმოდგენაც კი ძნელი არის, რაც ამ ბრძოლაში
ჯონმა დაკარგა გამარჯვების თვისის წყალობით.
ხომ არა ნაღვლობთ, რომ ართური მან ტყვედ ჩაივლო?

ლ უ ი

ისე გულწრფელად ვნაღვლობ, როგორც ჯონს უხარია.

პ ა ნ დ ო ლ ფ ი

ახალგაზრდული გაქეთ გონება, ისე ვით სისხლი.
აწ მოუსმინე ჩემს მისნობას, ჩემს წინათგმნობას,
ერთი შებერვით შენი გზიდან რომ მიმოფანტავს
მტკრის ყოველ ნაწილს, ჩაღის ნაგლეჯს და გაგიკაფავს
ინგლისის მეფის ტახტისაკენ მიმავალ ბილიკს.
მამ, დაიხსომე, რასაც გეტყვი: ჯონმა ართური
ტყვედ იგდო ხელში და ამიტომ ვიდრე სიცოცხლე
ფეთქავს ამ ბავშვის თბილ ძარღვებში, ართურის ტახტის
მიმტაცებელ ჯონს მოსვენების ერთი საათი,

თუნდ ერთი წამი, ერთი სუნთქვაც კი არ ექნება.
სამეფო კვერთხი, ჩაგდებული ხელში უწესოდ,
ისევე ძალით უნდა ეპყრას, როგორც ხელთ იგდო.
ის, ვინც მოლიპულ ადგილზე დგას, არ ერიდება
საზიზღარ საქმეს, რათა ფეხი არ მოუტყურდეს.
ჯონი რომ იდგეს, ძირს დაეცეს უნდა ართური.
ასე იქნება; სხვანაირად არ შეიძლება.

ლ უ ი

მერე ართურის ძირს დაცემით მე რას მოვიკებ?

პ ა ნ დ ო ლ ფ ი

თქვენ შეგეძლებათ თქვენი ცოლის ბლანკას სახელით,
რასაც ართური მოითხოვდა, ის მოითხოვოთ.

ლ უ ი

და ართურივით სიცოცხლეც და ეგეც დაკარგო.

პ ა ნ დ ო ლ ფ ი

ეკ, რა ნორჩი ხართ ამ ბებერ და ძველ ქვეყანაში!
ჯონი ხელს გიწყობთ, დრო და ჟამი თქვენს მხარეზეა.
ვინც მართალ სისხლს ღვრის და დაემებს უშიშროებას,
უშიშროებას სისხლიანსა და მტრობას კპოვენს.
ჯონის ბოროტი საქციელი გულს გაუციევს
ხალხს. და ერთგულებს გაუნელებს თავგამოდებას.
ჯონის დამხობას თუკი რამე ხელს მოუმართავს,
მას ყველა დიდი სიხარულით ჩაეჭიდება.
თუ გაჩნდა ცაში უბრალო რამ ნისლი, ღრუბელი,
ან ბუნებამ თუ რამ იზრახა, დღე მოიღუშა,
ან ამოვარდა უცებ ქარი ჩვეულებრივი, —
არ დაგიდევენ მოვლენათა ბუნებრივ მიზეზს
და დაარქმევენ მას სასწაულს, განგების სიტყვას
წინასწარ ნიშნებს, მხოლოდ იმის მომასწავებელს,
რომ ჯონს აშკარად დაატყდება შურისძიება.

ლ უ ი

იქნება ხელი არც კი ახლოს მან ყმაწვილ ართურს
და საიმედო ტყვეობაში ამყოფოს მხოლოდ.

პ ა ნ დ ო ლ ფ ი

როგორც კი ჯონი შეიტყობს თქვენს მოახლოებას,
იმ დროს ართური თუ იქნება კიდევ ცოცხალი,
მოაკვლევინებს ვისმე უმაღ და მთელი ხალხის
გული მაშინვე ამხედრდება მის წინააღმდეგ;
უცხო ცვლილებას სიხარულით შეხვდება ხალხი,
და ჯონის ხელებს, ყრმა ართურის სისხლით შეღებულს,
ის გამოსტაცებს ამბოხების და რისხვის საბაბს
მისი თითების სისხლიანი ბოლოებიდან.
ასე მგონია აჯანყებას თვალთ ეუყურებ.
იქნებ უფრო მეტ სარგებლობას გიქაღით იგი,
რაც ჩამოეთვალე: ფოკონბრიჯი, ეს ნაბიჭვარი,
ახლა ინგლისში ეკლესიას ძარცვავს უწყალოდ,

პი. IV

ღუთისმსახურებას შეურაცხყოფს; ახლა რომ გვყავდეს
იქ თუნდ თორმეტი ჯარისკაცი, გადმოიყვანდა
თავის მხარეზე ათასობით ინგლისელს მყისვე,
როგორც იქცევა თოვლის გუნდა მთის ოდენ ზევაად.
კეთილშობილო უფლისწულო! წავიდეთ ერთად,
მოეინახულოთ მეფე-მართლაც საკვირველია,
რაც შეიძლება აღმოცენდეს უკმაყოფილო

ხალხის სულიდან, პირთამდე რომ აღვისილა რისხვით.
ინგლისისაკენ! მეფეს თვითონ მე წავეპეზებ.

ლ უ ი

მძლავრ აზრებს მძლავრი მოქმედება თან მოსდევს მარად.

წავიდეთ: მეფე თქვენს „ღიახზე“ არ იტყვის „არას“.
(გაღიან.)

მოქმედება მეოთხე

სურათი პირველი

ნორთემპტონი. ოთახი ციხე-ღარბაზში

შემოდან პიუბერტი და ორი მხლებელი.

პიუბერტი

მანთები კარგად გამიხურეთ და დაიმაღლეთ
ხალიჩის უკან, როცა ფეხებს დავაბაკუნებ,
დაუფიქრებელივ გამოვარდით და სკამს მიაბით
ბაჭი, რომელიც ჩემთან ერთად იქნება მაშინ.
ფხიზლად იყავით. ახლა წადით და მომიცადეთ.

პირველი მხლებელი

ამის რწმუნება, იმედია, ნაბობები გაქვთ.

პიუბერტი

ტყუალად ეჭვობ. ფიქრი ნუ გაქვს. მაშ, მომიცადეთ.

(მხლებლები გაღიან.)

გამო, ყმაწვილო, რაღაცა მაქვს შენთვის სათქმელი.

(შემოდის ართური.)

ართური

სალამი, პიუბერტ.

პიუბერტი

გავიმარჯვოს, პატარა პრინცი.

ართური

პატარა პრინცი შეიძლება დიდადაც ვიქცე-
თუ ასე დიდი წოდება მაქვს. — მოწყვნილი ხარ.

პიუბერტი

მართლაც ამაზე მხიარული ვყოფილვარ ხოლმე.

ართური

მეგონა, მხოლოდ მე ვარ-მეთქი სულ მოწყვნილი.
მე მაგონდება, საფრანგეთში ახალგაზრდები

დაღვრემილები დადიოდნენ, ბნელ ღამეს ჰგავდნენ.
და სულ გართობის გულისათვის, ნათლობის მაღლმა.
თავისუფალი ვიყო ოღონდ, მეცხვარედ წავალ
და დღენიდაგ სულ ვიქნები გულმხიარული.

აქაც კი ლაღად ვიგრძნობდი თავს, რომ არ ვეჭვობდე,
ვაითუ ისევ ბიძაჩემი რასმე მიმზადებს.

მას ეშინია ჩემი და მეც მაშინებს იგი.
ჩემი ბრალია განა, რომ მე ჯეფრის შვილი ვარ?

არა, ოპ, ნეტავ შენი შვილი ვყოფილიყავი,
გვეყვარებოდი, ჩემო პიუბერტ, მე ვიცი დიდად.

პიუბერტი (განზე)

გრძლად რომ გაუუბა ლაპარაკი, უმანკო სიტყვით
გამოაღვიძებს იგი ჩემში ჩაკლულ სიბრალულს?
ამიტომ სწრაფად ვიმოქმედებ და გავათავებ.

ართური

ავად ხარ, პიუბერტ? კო, ფერმკრთალი მიჩანხარ
თითქოს.

მართალი ვითხრა, მინდა იყო ცოტათი ავად,
რომ მთელი ღამე გვერდით გიჯდე და შენ ვივლიდე.

მე შენ მიყვარხარ მეტად, ვიდრე შენ — მე, მეონია.

პიუბერტი (განზე)

მისი სიტყვები გულს მითუთქავს. — ეს წაიკითხე,
ჰაბუკო ართურ. (არეინებს ქალაღს განზე.) რას შემინდა
ეს ბრიყვი სურდო!

გამოათრია გარეთ ჩემი უწყალო ტანჯვა!
უნდა საჩქაროდ მოერჩე, თორემ დიაცის ცრემლი
ამ გადაწყვეტილ საქმეს, ვატყობ წამალეკინებს. —
ვერ წაიკითხე ეს ქალაღი? ცუდად სწერია?

ართური

ცუდი საქმისთვის მეტისმეტად კარგად სწერია.
მამ ცხელი შანთით ამომიწვა უნდა თვალები?

პიუბერტი

ღიახ, ყმაწვილო.

ა რ თ უ რ ი

ამომიწვავ?

პ ი უ ბ ე რ ტ ი

ღიას, უთუოდ.

ა რ თ უ რ ი

განა გული კი გიზამს? როცა თავი გტკიოდა, არ გახსოვს? შუბლზე ხელსახოცი შემოგახვიე, — საუკეთესო, მეფის ქალის ამოქარგული, — და შემდეგ უკან იგი აღარ მომიტხოვია; შუალამისას შენი თავი მეჭირა ხელით, და, როგორც საათს მსახურებენ წუთები ფხიზლად, მეც წამდაუწუმ სულ ვცდილობდი შენს გამხნეებას, გეკითხებოდი, „რა გსურს-მეთქი!“ ან „რა გაწუხებს?“ „რა სამსახური შემიძლია კვლავ გაგიწიო?“ ვინმე უბრალო კაცის შვილი თავისთვის მშვიდად წამოწვებოდა და ერთ სიტყვას არც კი ვეტყოდა: შენ კი, ავადმყოფს, უფლისწული გაყვდა მომვლელად. თუ გსურს, ჩათვალე ეშმაკობად ეს სიყვარული და ცბიერება დაუმახე. როგორც ვენებოს. თუ ზეცას უნდა, რომ ზიანი შენ მომაყენო, დაე, აგრე ჰქმენ. მაშ, დამთხარო უნდა თვალები, რომელთაც შენთვის ერთხელაც არ შეუხედაათ და არც შეგხედვენ გაჯავრებით?

პ ი უ ბ ე რ ტ ი

მე ფიცია დავედ

და ცხელი რკინით ამოგიწვა უნდა თვალები.

ა რ თ უ რ ი

ეგ შესაძლოა დღეს, ამ რკინის საუკუნეში! თვით რკინასაც კი, სიწითლემდე გავარვარებულს, ჩემი თვალების სიახლოვე ცრემლს შეასმევდა და დაცხრებოდა მოგიზგიზე რისხვა რკინისა, ოდეს ნახავდა, არაფერში მიმიძღვის ბრალი. დაუანგდებოდა ამის შემდეგ მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემს თვალთათვის მავნებელი ცეცხლი ეკიდა. ნუთუ შენ უფრო უდრეკი ხარ, ვიდრე ეს რკინა? ანგელოსიც რომ მოსულიყო და ეთქვა ჩემთვის, ჰიუბერტმა უნდა შენ თვალები ამოგთხაროსო, არ ვირწმუნებდი, მაგრამ ჰიუბერტს კი დავუჯერებ.

პ ი უ ბ ე რ ტ ი (ფეხებს აბაკუნებს)

შემოდით სწრაფად.

(შემოდან მ ხ ლ ე ბ ლ ე ბ ი თოკით, შანთებით და სხვ.)

მოიქეცით, როგორც გიბრძანეთ.

ა რ თ უ რ ი

მიშველე, ჰიუბერტ, შენ მიშველე! თვალი მიბნელებდა, მთლად დამაბრმავა ამ სისხლიან კაცთ შემოხედვამ.

პ ი უ ბ ე რ ტ ი

მომეცით შანთი, გეუბნებით, ეს კი მიაბით.

ა რ თ უ რ ი

ვაგლახ! რად გინდა ამისთანა სიმკაცრე, ჰიუბერტ? მე არ ვიბრძობებ, გავქვეადები, ვიჯდები წყნარად. ღვთის გულისათვის, ნუ მიმაბამ ჰიუბერტ, არ გინდა. მისმინე, ჰიუბერტ! ეს კაცები გარეკე იქით და მე ვიჯდები წყნარად. როგორც მორჩილი კრავი. არ გავინძრევი, კრინტს არ დავძრავ, წარბს არ შეეხბრი! და რკინასაც კი არ შევხედავ გაჯავრებული. ოღონდ გარეკე ეს კაცები და გაპატიებ, რა სატანჯველსაც უნდა მიმცე და გამაწამო.

პ ი უ ბ ე რ ტ ი

გადით, კარს იქით და დამტოვეთ მარტოდ ყმაწვილთან.

პ ი რ ე ე ლ ი მ ხ ლ ე ბ ე ლ ი

მოხარული ვარ, რომ ამ საქმეს არ დავესწრები.

(მ ხ ლ ე ბ ლ ე ბ ი გადიან.)

ა რ თ უ რ ი

ვაგლახ! მე თურმე მეგობარი გავაგდე ჩემი. მას ჰქონდა მკაცრი გამოხედვა, გული — კეთილი. დაბრუნდეს, რათა თანაგრძნობამ მისმა მოგვეკაროს შენც თანაგრძნობა.

პ ი უ ბ ე რ ტ ი

მოემზადე, აბა ყმაწვილო.

ა რ თ უ რ ი

მაშ ხსნა არ არის?

პ ი უ ბ ე რ ტ ი

არა, თვალებს გამოეთხოვე.

ა რ თ უ რ ი

ოჰ, ზეცავ! თვალში ერთი ბეწვიც რომ ჩავვარდნიოდა მარცვალი, მტვერი, კოლო, ქინქლა ან სხვა ასეთი უსიამოვნო რამ საგანი, მაშინ იგრძნობდი, ეს უმცირესი ნაწილები როგორ გტანჯავენ, და შენი ზრახვა შენ თვითონვე დაგცემდა თავზარს.

პ ი უ ბ ე რ ტ ი

ამას დამპირდი? დააჭირე მაგ ენას კბილი.

ა რ თ უ რ ი

ჰიუბერტ, ორ ენას არც კი ძალუმს თავის ეედრებით დაიხსნას ერთი წყვილი თვალი განსაცდელისგან. ნუ დაადუმებ ჩემს ენასაც, ნუ იზამ, ჰიუბერტ. ან თუ ისურვებ, შიგ ძირშივე მომჭერი ენა, ოღონდ თვალები დამიტოვე, ო, დამიტოვე

პე IV

მასთვის მაინც, რათა ისევე შენვე გიმზირო.
შეხვეწე ვეფიცავ. რკინა კიდეც გაციებულა
და კლარაფერს მკენებს უკვე.

პიუბერტი

კვლავ გავახურებ.

ართური

ჰერა, ლპერტმანი; მწუხარებით ცეცხლიც ჩამკვდარა,
რადგან შექმნილი სანუგეშოდ, გამოიყენეს
იგი უღირსი საქმისათვის; თვითონ შეხედე:
რასხუა აღარ ჩანს ამ ანთებულ ნაკვერცხლებს შორის,
დაურმა ხუნთქვა მისი ხული მთლად მიმოფანტა
და სიანულის ფერფლი თავზე გადააყარა.

პიუბერტი

ხელს შევუბერავ, გვაღვივებ კვლავ ცეცხლს,
ყმაწვილო.

ართური

თუ მაგას იზამ, ცეცხლი მხოლოდ წამოწითლდება:
მას გააწითლებს შენი საქმის სირცხვილი, პიუბერტი.
იქნებ შენ თვალშიც ნაპერწკალმა მისმა იელუოს
და როგორც ძაღლი, საბრძოლველად წაქეზებული,
იქნება თავის წამქეზებელ პატრონსვე მისწვდეს.
ჰელა, რაც კი ჩემს საზიანოდ უნდა გეხმარა,
აწ უარს ამბობს სამსახურზე; მხოლოდ შენ არ გაქვს
ის სიბრაღული, რაც რკინას და ცეცხლს აღმოაჩნდა,
თუცა არ არის სიბრაღული იმათი საქმე.

პიუბერტი

კარგი, იცოცხლე; აღარ ვახლებ ხელს მაგ შენს
თვალებს,

თუნდ ბიძაშენმა მთელი მისი განძიც მიბოძოს;
მერამ შევუციე და განზრახვაც მქონდა, ყმაწვილო,
ა, ამ შანთით ამომეწვა შენთვის თვალები.

ართური

ო, ახლა უკვე პიუბერტს ჰგავხარ. ნიღაბი გქონდა
აუარებული თურმე.

პიუბერტი

წყნარად. კმარა. მშვიდობით.

და არ შეიტყოს ბიძაშენმა, რომ ცოცხალი ხარ.
ამ ძაღლ ჯამუშებს ცრუ ცნობები უნდა აკადო.
ღამაზო ბავშვო, დაიბინე ტკბილად, უშიშრად:
გწამდეს, პიუბერტი, ქვეყნის განძიც რომ შესთავაზონ,
არაფერს გავნებს.

ართური

ო, ზეცაო! შენ გმადლობ, პიუბერტი.

პიუბერტი

ჩუმაღ! გამომეყე, უფრო მაგრად ჩამჭიდვ ხელი,
შენი გულისთვის განსაცდელი ჯერ დიდი მელის.

(გადიან.)

ს უ რ ა თ ი მ ე ო რ ე

იქვე, სახელმწიფო დარბაზი სასახლეში.

შემოდიან მეფე ჯონი, რომელსაც თავზე გვირგვინი ადვას,
პემბრუკი, სოლზბერი და სხვა დიდებულები.
მეფე ტახტზე ჯდება.

ჯონი

ისევ აქ ვზივართ, ერთხელ კიდეც თავს ვიღვამთ
გვირგვინს!

და იმედი მაქვს, თქვენს თვალებსაც ვახარებთ ამით.

პემბრუკი

მე „ერთხელ კიდეც“ თვით ინებეთ, თორემ ისედაც
გვირგვინსაკურთხი ბრძანდებოდით უკვე ადრევე.
არც არასოდეს მოგიხსნიათ მეუღის ღირსება,
არ შეუღალხავს აჯანყებას ერთგულთა რწმენა,
არ უშფოთვია ჩვენს სამეფოს უკეთეს დღეთა
ანდა სასურველ ცვლილებათა რამ მოლოდინში.

სოლზბერი

თუ გსურთ ორმაგად შეიმოსოთ კიდეც დიდებით;
უფრო დაიცვათ ეს წოდება, ისეც მაღალი;
მოავარაგოთ ოქრო; უფრო გააფერადოთ
ზამბახი; იას შეაფრქვიეთ მეტი სურნელი;
ყინულის პირი მოაკეთოთ; ან ცისარტყელას
კვლავ დაუმატოთ ერთი ფერი; ან ზეცის თვალის
გალამაზებას შეეცადოთ სანთლების სხივით, —
ეს იქნებოდა სულ ზედმეტი ხელგაშლილობა.

პემბრუკი

არ ყოფილიყო თქვენი ქცევა ნება მეფური,
ვიტყოდით, ეს ჰგავს ხელახლა თქმულ ძველ ამბავს-
მეთქი,

რომელიც, თქმული უდროო დროს, განმეორებით,
მსმენელთა შორის იწვევს მხოლოდ მოწყენილობას.

სოლზბერი

ამ საქციელმა ძველებური, დამკვიდრებული
და მიღებული ჩვეულება დაამახინჯა.
ვითარცა ქარი, ცვალებადი, აწვალებს აფრას,
იგი აზრების მდინარებას უცვლის კალაპოტს,
გვინერგავს შიშს და განცვიფრებას, საღ აზროვნებას
აჯადმყოფებს და სიმაართლეს საეჭვოსა ზღის,
სრულიად ახალ, უჩვეულო სამოსელს აცმევს.

პ ე მ ბ რ უ კ ი

თუ მუშა ცდილობს უკეთესზე უკეთ იშრომოს, თავის ოსტატურ ხელოვნებას სიხარბით ღუპავს. ზოგჯერ, თუ ვცდილობთ შეცდომისთვის ბოდიშის

მოხდას,

ბოდიშის მოხდით ჩვენს შეცდომას უფრო ვაღრმავებთ. ტანისამოსზე გამოხეულ პატარა ადგილს საკერებელი თუ დავადეთ, ნაკლის დამალვის ნაცვლად საქვეყნოდ გამოვაჩენთ მას უფრო მეტად.

ს ო ლ ზ ბ ე რ ი

ამიტომ, ვიდრე გადაწყვეტილი ახლად კურთხევას, შემოგთავაზეთ ჩვენი რჩევა, მაგრამ ინებეთ არ შეგესმინათ იგი და ჩვენც კმაყოფილნი ვართ: ყოველი ჩვენი განზრახვა და ყოველი საქმე თქვენს უზუნაეს ნება-სურვილს ემორჩილება.

ჯ ო ნ ი

ადრეც ვითხარით ამ მეორედ მეფედ კურთხევის ზოგი მიზეზი და საკმაოდ საფუძვლიანიც. სხვა მიზეზები კიდევ უფრო მეტნი არიან, რამდენად მცირეც არის ჩემი შიშის მიზეზი, და მათ შემდეგში მოგახსენებთ. ახლა კი ბრძანეთ, რა მიგაჩნიათ უმჯობესად, რა გსურთ შევცვალოთ, და დაინახავთ თქვენი თვალთ, რაოდენ მზად ვარ მოსასმენად და თქვენი თხოვნის შესაწყნარებლად.

პ ე მ ბ რ უ კ ი

მამინ მე, როგორც ხალხის აზრის გამომხატველი, ხმამაღლა ვიტყვი ყველა გულის ნაღებს და ნაზრახს: ჩემთვის ან მათთვის, მაგრამ უფრო მეტად კი თქვენთვის, უშიშროების თქვენის გამო, — რაზედაც ყველა თავგამოდებით ვზრუნავთ, — გულით გემუდარებით, თავისუფლება მისცეთ ართურს; მისი ტყვეობა უკმაყოფილო ჩურჩულსა და დრტივნებასა ჰბადებს და ამნაირი მითქმა-მოთქმის მიზეზი ხდება: რაც ხელთ გიპყრიათ თუ ამისი უფლებაცა გაქვთ, რაღა გაშინებთ? შიში, როგორც იტყვიან ხოლმე, უმართებულო საქმეს ახლავს. ციხეში რად გყავთ თქვენივე ნორჩი ნათესავი? ამ ბარბაროსულ უმეცრებაში სულს რაღა ჰხდით და სიჭაბუკეს არ აძლევთ თავის გამოჩენის საშუალებას? რათა ახლანდელ მტრებს არ ჰქონდეთ ეს ხელსაყრელი კიცხვის საბაბი, შეისმინეთ ჩვენი ვედრება: თავისუფლება მიანიჭეთ თქვენს ძმისწულ ართურს. ჩვენ არ მოვიტხოვთ ამას ჩვენი სარგებლობისთვის, კეთილდღეობა გვაიძულებს საყოველთაო თქვენთვისვე გთხოვოთ: მიეც ართურს თავისუფლება!

(შემოდის პ ი უ ბ ე რ ტ ი.)

ჯ ო ნ ი

მამ აგრე იყოს: მომინდვია ყმაწვილი თქვენთვის, თქვენ გაუწიეთ მფარველობა. პიუბერტი, რას მეტყვი? (პიუბერტი გაჰყავს განზე.)

პ ე მ ბ რ უ კ ი

ამ კაცმა უნდა სისხლიანი საქმე იკისროს: ერთ ჩემს მეგობარს მან უჩვენა ამის რწმუნებაც. მის თვალეში ჩანს შემზარავი ცოდვის ნიშანი და მისი სახის გარეგანი მოღრუბლულობა გულის სიღრმეში მიმდინარე ბრძოლას აჩვენებს; ვაითუ, უკვე ის შევხეული საქმეც აღსრულდა, რომელიც ჰქონდა ნაბრძანები, როგორც ვშიშობდით.

ს ო ლ ზ ბ ე რ ი

მეფესაც ფერი ხან მიუდის, ხან უბრუნდება: ჩანს, მის სინდისსა და განზრახვას შორის ბრძოლაა და ვით ორ ლაშქარს შორის ვზირი, ფერიც მიმოდის: ვნება მომწიფდა და საცაა გამოხეთქს კიდევ.

პ ე მ ბ რ უ კ ი

და რომ გამოხეთქს, ვშიშობ, თან არ გამოიყოლოს ნაზი ყმაწვილის მოკვდინების დანაშაული.

ჯ ო ნ ი

ჩვენს ხელს არ ძალუძს შეაჩეროს სიკვდილის ხელი: დიდებულებო, თუმც სურვილი ჩემი ჯერ ცოცხლობს, სიკვდილმა ბოლო თქვენს სათხოვარს მოულო კიდევ. მან სთქვა, ართური წუხელ ღამით მიიცივალაო.

ს ო ლ ზ ბ ე რ ი

ვშიშობდით, ართურს სენი სჭირდა განუკურნელი.

პ ე მ ბ რ უ კ ი

გაკვიგონია, როგორ ახლოს იყო სიკვდილთან, ვიდრე იგრძნობდა იგი თავის ავადმყოფობას. ამას პასუხი მიეგება სადმე, — აქ, ან იქ.

ჯ ო ნ ი

რატომ მიყურებთ შუბლშეჭმუხვებით, დიდებულებო? გგონიათ ხელთ მაქვს მაკრატელი ბედისწერისა? განა სიცოცხლის მბრძანებლობა მაქვს მონდობილი?

ს ო ლ ზ ბ ე რ ი

ეს ზომ ბინძური თამაშია, ვხედავ აშკარად! სამარცხვინოა, რომ მას მისდევს დიდებულება! მამ, გამარჯვებას გისურვებთ და მშვიდობით ყოფნას.

პ ე მ ბ რ უ კ ი

ჯერ შეიცადე, ლორდ სოლზბერი; მეც გამოგყვები, ერთად ვეძიოთ საბრალლო ყრმის მემკვიდრეობა, მცირე სამეფო მისი — მოკლულ ბავშვის საფლავი. იმისთვის, ვისაც ეკუთვნოდა მთელი კუნძული, სამიოდ ფუტი მიწა კმარა; ეჰ, ცრუ სოფელო! ამის მოთმენა არ იქნება და სიმძიმელი გამოსტეხს მალე თავის ნაჭუჭს დიდი ტკივილით.

(დი დ ე ბ უ ლ ე ბ ი გადიან.)

ჯონი
 რისხვით ელავენ. ჩემს საქციელს თვითონვე ვნანობ:
 სისხლზე ურღვევი საძირკველი არ დაფუძნდება.
 სიტოცხლეს არ ხდის საიმედოდ სხვათა სიკვდილი?
 (შემოდის შიკრიკი.)

თვალეზე გატყობ გულში შიში შემოგპარვია,
 რა იქნა სისხლი, მაგ ლოყებს რომ გილაჟღაუებდა?
 ასე ბნელი ცა უაედროდ არ გამოიდარებს.
 ბარემ დამცეცხლე: საფრანგეთში რა ამბავია?

შიკრიკი
 საფრანგეთიდან ინგლისისკენ მოდის მხედრობა.
 ჯერ არ სმენილა ამოდენა ლაშქრის თავმოყრა
 სხვა სახელმწიფოს შესამუსრად. მათ ეს სისწრაფე
 თქვენგან ისწავლეს: ჯერ მზადების მათის ამბავი
 არც კი მოსულა თქვენს ყურამდე და ცნობა მოდის,
 რომ მტრის ლაშქარი გადმომსხდარა ჩვენს სამშობლოში.

ჯონი
 ხომ არ დამთურალან მენაპირე ჩვენი მზევრავნი?
 იქნებ ეძინათ? როგორ მოხდა, რომ საფრანგეთში
 ამდენი ჯარი შეიკრიბა და დედანქმმა
 კი ვერ გაიგო?

შიკრიკი
 მეფევე, სმენა დედათქვენისა
 დახშო მიწამ; პირველ აპრილს გარდაიცვალა
 კთილშობილი დედოფალი და, როგორც ვიცო,
 ლედი კონსტანსაც ამ ამბავზე სამი დღით ადრე
 გაშმაგების ჟამს მიიცვალა; ასე ამბობენ;
 ვერ მოვახსენებთ, მართალია ეს, თუ ტყუილი.

ჯონი
 სასტიკო ბედო, შეანელე სიჩქარე შენი!
 მომეცი ხელი, ვიდრე შევძლებ უკმაყოფილო
 დიდებულების კვლავ მომხრობას. რაო, რა ბრძანე?
 გარდაიცვალა დედანქმისი მამ საფრანგეთში
 ჩემი სამკვიდროს საქმე მართლაც ცუდად ყოფილა.
 სარდლად ვინა ჰყავს საფრანგეთით მოსულ მხედრობას,
 ჩვენს ნაპირზე რომ გადმომსხდარა, როგორც მითხარი?

შიკრიკი
 ღოფინი.

ჯონი
 თაბერუ დამახვიე ავი ცნობებით.
 (შემოდან ბასტარდი და პიტერ პომფრეტელი.)
 რას ლაპარაკობს, თქვი, ქვეყანა შენს საქმეებზე?

ნუ დამიპირებ შენც ახალი ცუდი ამბებით
 ამივსო თავი, ჯავრით სავსე უამისოლაც.

ბასტარდი

თუ გეშინიათ გაიგონოთ ცუდი ამბავი,
 იგი უჩუმრად დაგატყდებათ თვითონვე თავზე.

ჯონი
 ჩემო ძმისწულო, მომიტევე. ჭირთა ნაკაღმა
 ლამის წამილო, მაგრამ სული კვლავ მოვიბრუნე,
 წყლის ზედაპირზე ამოვცურდი და შემოდლია
 აწ ყოველივე მოვისმინო. რაც გინდა, მითხარ.

ბასტარდი

მღვდლებს როგორ სწრაფად გაეუსწორდი, ამის შესახებ
 მოვახსენებენ შეგროვილი ფულის თანხები;
 მაგრამ როდესაც სწორედ თქვენკენ გამოვემგზავრე,
 გზაზედ შემომხვდა უცნაურად ატაცებული
 და შეპყრობილი მითქმა-მოთქმით, ცრუ ხმებით ხალხი,
 რომელიც შიშობს და არ იცის, რის ეშინია.
 აი მისანი, რომელიც თან წამოვიყვანე.
 იგი პომფრეტში დადიოდა, ქუნაში ვნახე,
 ზღვა ხალხი მისანს სულ ფეხდაფეხ დასდევდა უკან.
 ის უმღეროდა უთავბოლო და უხეშ ლექსებს
 ხალხს, რომ შუადღით, ამადლებს დღესასწაულზე
 მოიხსნით გვირგვინს, მეუფეო, და გადადგებით.

ჯონი

შენ, ცრუ მისანო, რად შერებოდი ამას, მიბრძანე?

პიტერი

რადგან წინასწარ ვჭვრეტ, რომ მართლაც ასე იქნება.

ჯონი

პიუბერტ, მოჰკიდე ამას ხელი, დაატუსაღე
 და სწორედ იმ დღეს, შუადღის ჟამს, როდესაც, ვითომ,
 გვირგვინზე უნდა უარი ვთქვა, ეგ ჩამოახრჩვე;
 მცველებს გადაეცე და დაბრუნდი; საქმე მაქვს შენთან.

(პიუბერტი გადის და პიტერი მიჰყავს.)

ძმისწულო ჩემო საყვარელო, არა იცი რა,
 არ გაგივია, ვინ მოგვალდა უცხოეთიდან?

ბასტარდი

ფრანგები, მეფევე. ყველას პირზე ეს აკერია;
 გარდა ამისა, შევხვდი ლორდებს ბიგოტს, სოლზბერის,
 თვალეები ჰქონდათ ანთებული ცეცხლის ალივით,
 და სხვებსაც კიდევ; მიდიოდნენ ყველანი სადღაც,
 რათა ართურის მოეძებნათ საფლავი ერთად;

ასე ამბობდნენ, თითქოს წუხელ თქვენი ბრძანებით ართური მოჰკლეს.

ჯონი

ნათესავო ჩემო კეთილო,

წადი და ახლავ შეუერთდი მაგ დიდებულებს. მე ვიცი, მათი გული როგორ მოვიინადირო. აქ მოიყვანე ოღონდ ყველა.

ბასტარდი

მე მათ მოვებენი.

ჯონი

ოღონდ საჩქაროდ, წადი ახლავ, იყავ ფეხმარდი; არ შეიძლება ქვეშევრდომი მტრად გავიზადო, როდესაც სამტროდ შემოჭრილი უცხოელები თავზარსა სცემენ ჩემს ქალაქებს მოურიდებლად, მართლაც რომ მარჯვედ მოწყობილი ამ შემოსევით. იყავ მერკური, გამოისხი ფეხებზე ფრთები⁵ და გამოფრინდი, როგორც ფიქრი, უკანვე ჩემსკენ.

ბასტარდი

ჟამთა სიავე შემასწავლის სწრაფად სიარულს.

ჯონი

ისე სთქვი, როგორც კეთილშობილ ვაჟაკს შეჰფერის.

(ბასტარდი გადის.)

უკან მიჰყევი; შეიძლება უცებ დასჭირდეს დიდებულებსა და ჩემს შორის შიკრიკი ვინმე, ეს შენ იქნები.

შიკრიკი

სულითა და გულით, მეფეო.

(გადის. შემოდის ჰიუბერტი.)

ჰიუბერტი

მეფეე, ამბობენ, ხუთი მთვარე უნახავთ წუხელ; ოთხი უძრავად იდგა, ხოლო მეხუთე მთვარე უტრიალებდა დანარჩენებს გასაკვირველად⁶.

ჯონი

ხუთი მთვარეო?

ჰიუბერტი

მოხუცები და შეშლილები

ასე ამბობენ, ეს ჩვენს შავ დღეს მოასწავებსო. თან ეს ართურის სიკვდილიც სულ პირს აკერიათ. როცა იმაზე საუბრობენ, თავს გადიქნევენ და მერე ჩურჩულს დაუწყებენ ერთიმეორეს. მთხრობელი მსმენელს ხელში უცებ ხელს სტაცებს

ხოლმე,

მსმენელი კი შუბლს შეიჭმუხვნის ელდანაცეში და იწყებს შიშით თავის ქნევას, თვალების ტრიალს. ერთი მჭედელი ასე იდგა ხელში უროთი, თუმც რკინა გრდემლზე ცივდებოდა მიტოვებული, პირდაღებული ნთქავდა ხარბად თერძის ნაამბობს; თერძიც, საზომით და მაკრატლით და სინქარისგან წაღმა-უკულმა წამოცმული ფლოსტებით ფეხზე, ჰყვებოდა, კენტში დგას მრავალი ათასი ფრანგი, გამზადებული ბრძოლის ველზე გასასვლელად. მეორე ხმელმა ხელოსანმა, დაუბანელმა, სიტყვა ჩაურთო ყრმა ართურის სიკვდილზე იქვე.

ჯონი

რად გინდა შიშის ზარი დამცე და გამაყრუო? სულ ეს ართურის სიკვდილი რას დაგიჟინია? ის შენ მოჰკალი. მე მიზეზი მქონდა მესურვა მისი სიკვდილი. შენ კი მასთან რა ხელი გქონდა?

ჰიუბერტი

რა ხელი მქონდა? განა თვითონ არ დამავალეთ?

ჯონი

დაუწყველიათ ოდითგანვე თურმე მეფენი ახლდეთ მონები, მეფის ჟინს რომ რწმუნებად თელიან, რათა სიცოცხლის სისხლიანი სახლი შელევონ, ძალაუფლების ერთი თვალის დახამხამება თავის კანონად მიაჩნიათ და მკაცრი მეფის კოპებშეკრული გამოხედვა ჰგონიათ არა განწყობილება, არამედ სჯა მოფიქრებული⁷.

ჰიუბერტი

აი აქ გახლავთ თქვენი ხელი და ზედ ბეჭედი.

ჯონი

ზეცას და მიწას შორის როცა უკანასკნელი დღე განკითხვისა ჩამოდგება, ეს ჩემი ხელი და ზედ ბეჭედი დაამოწმებს ჩვენს შეჩვენებას. თუ ვხედავთ ხოლმე ავი საქმის საშუალებას, ეს გვაქმნევიანებს სიავესაც! არა მდგარიყავ იქვე ჩემს ახლოს, დადღასმული ბუნების მიერ და სამარცხვინო საქმეთათვის ნიშანდებული, მკვლელობა იგი აზრად არც კი მომივიდოდა, მაგრამ როგორც კი გარეგნობა შეგნიშნე ბილწი და გპოვე ბნელი საქმისათვის გამოსადეგად, განსაცდელის ჟამს სამსახურის შესაფერისად, — გადავიკარი მეც ართურის სიკვდილზე სიტყვა და შენ კი, რათა მოგეძია მეფის წყალობა, თვით უფლისწულის მოსპობასაც არ მოერიდი.

ჰიუბერტი

ჩემო მეუფეე...

ჯ ო ნ ი

თავი რომ მაინც გაგვექნია ანდა დუმილით რომ გაქასუნხნა, განიშნებდი როცა ჩემს ზრახვას, ან ეჭვის თვალთ შიგ სახეში შემოგებდა, ეთომდა მთხოვდი ჩემი აზრი მეთქვა აშკარად, სიტყვილის გრძნობა ჩამიგდებდა მუცელში ენას და შენი შიში მეც მომგვრიდა შიშსა და ძრწოლას. მაგრამ შენ მყისვე გადაკრული სიტყვა გამიგე და ცოდვილ საქმეს შენც გადაკვრით გაეც პასუხი. წარბშეუხრელად, წრფელი გულით მომეც თანხმობა და შეასრულე მოსისხარი, სასტიკი ხელით საქმე, რომელიც ჩვენმა ენამ ვერც კი აღმოთქვა. გასწი აქედან და აწ თვალთ არ დამენახვო! დიდებულებმა მიმატოვეს და სამეფო ბჭეს უცხოელების ურდოები ემუქრებთან. ჩემი სხეულის ამ ხორციელ სამეფოშიც კი, სისხლის, ხორცისა და სულთქმათა სახელმწიფოში გამეფებულა შფოთი, ომი სამოქალაქო ჩემი ძმისწულის სიკვდილსა და ჩემს სინდისს შორის.

პ ი უ ბ ე რ ტ ი

შეიარაღდით თქვენ გარეშე მტრის წინააღმდეგ, თქვენს სინდისსა და თქვენს შორის მე ზავს ჩამოვაგდებ: ართური ისევ ცოცხალია. ეს ჩემი ხელი ქალწულებრივად უმანკოა და უცოდველი. მასზე ლაქები სისხლიანი არ აღბეჭდილა. თავზარდამცემი საშინელი მკვლელობის აზრი, იცოდეთ, ჩემს გულს არასოდეს გაჰკარებია და ჩემი სახით თვით ბუნებას დასწამეთ ცილი. თუმც გარეგნობა უხეში და ტლანქი მაქვს მართლაც, იგი იფარავს უკეთეს სულს და არ შემეძლო უმანკო ბავშვის სისხლისმღვრელი ვყოფილიყავი.

ჯ ო ნ ი

ნუთუ ართური ცოცხალია? ოჰ, მაშ იჩქარე, პერების რისხვა გაანელე სწრაფად ამ ცნობით და აღადგინე ამით მათი თვინიერება. შენც მომიტევე ის, რაც წელან გარეგნობაზე გითხარი ჯავრით: ჩემი რისხვა ბრმა იყო სწორედ და სისხლიანი მოჩვენების სანახაობამ ნამღვიღზე უფრო საზარ კაცად წარმოგადგინა. ნუღარას მეტყვი! დიდებულნი გაჯავრებულნი ეცადე მალე მომიყვანო ცალკე ოთახში. ირბინე უფრო სწრაფად, ვიდრე მე გევედრები. (გადან.)

ს უ რ ა თ ი მ ე ს ა მ ი

იქვე, ციხე-ღარაბაზის წინ.
კედელზე გადმოდგება ა რ თ უ რ ი .

ა რ თ უ რ ი

რა მაღალია ეს კედელი! მაინც ჩავხტები. კეთილი მიწავ, შემებრაღე და ნურას მავნებ!

არავინ მიცნობს ამ მხარეში და თუნდ მიცნობდეს, ეს გემის ბიჭის ტანსაცმელი მაინც დამმაღავს. მეშინია კი, მაგრამ მაინც უნდა გავბელო, უნდა ძირს ჩავხტე და ფეხები არ დავიმტვირო; მერე კი ათას გზას მოვნახავ, ძირს ჩავალ ოდეს, აქ დარჩენას სჯობს, რომ გავიქცე და გზაში მოვკვდე.

(ჩახტება დაბლა.)

ოჰ, ბიძაჩემის ხასიათის ყოფილან ქვები; ზეტავ, მიიღე ჩემი სული, ინგლისო, — ძვლები!

(კვდება! შემოდინ პ ე მ ბ რ უ კ ი , ს ო ლ ზ ბ ე რ ი და ბ ი გ ო ტ ი .)

ს ო ლ ზ ბ ე რ ი

ედმუნდზებერიში შევხვდები მას, დიდებულებო, ხსნა ესლა არის; ამ საშიშ დროს ის დავგვრჩენია, რომ დავეთანხმით მის მაღლიან წინადადებას.

პ ე მ ბ რ უ კ ი

ვინ მოიტანა ეს წერილი კარდინალისგან?

ს ო ლ ზ ბ ე რ ი

კეთილმა ფრანგმა დიდებულმა, გრაფმა მელენმა, თანაც დოფინის სიყვარულზე მიაბბო მეტი ჩვენს საუბარში, ამ წერილში ვიდრე წერია.

ბ ი გ ო ტ ი

მამინ ზვალ დილით შევხვდეთ ბარემ სალაპარაკოდ.

ს ო ლ ზ ბ ე რ ი

ახლავ დავიძრათ: წინ ორი დღის სავალი გვიძევს, ვიდრე მივაღწევთ მის სამყოფელს, დიდებულებო.

(შემოდის ბ ა ს ტ ა რ დ ი .)

ბ ა ს ტ ა რ დ ი

კვლავ გამარჯვება, დიდებულნი განრისხებულნი; ხელმწიფე გითვლით, საჩქაროზე მოდითო ჩემთან.

ს ო ლ ზ ბ ე რ ი

ხელმწიფემ თვითონ უარგვეო ჩვენ და მის დაძონძილ, ბინძურ მოსასხამს გარს არშიას არ შემოვაგვლებთ ჩვენი სახელით; არც მივეყვებით ფეხდაფეხ იმას, ვინც თავის გზაზე სისხლიან კვალს ტოვებს. დაბრუნდი და ასე უთხარ: უარესიც შეუტყვიათ-თქო.

ბ ა ს ტ ა რ დ ი

მაინც მგონია, ტკბილი სიტყვა სჯობდა პასუხად.

ს ო ლ ზ ბ ე რ ი

არა ზრდილობა, — მწუხარება გვალაპარაკებს.

ბ ა ს ტ ა რ დ ი

მწუხარებისთვის აღარა გაქვთ დიდი მიზეზი,
ამიტომ დროა ზრდილობაზეც იფიქროთ ცოტა.

პ ე მ ბ რ უ კ ი

სერ, სერ, თავისი უფლება აქვს მოუთმენლობას!

ბ ა ს ტ ა რ დ ი

ეგ მართალია: უფლება აქვს დაგაზიანოს.

ს ო ლ ზ ბ ე რ ი

ეს არის ციხე.

(ღანახავს ართურს.)

ეს ვიღაა აქ? ეს ვინა წევს?

პ ე მ ბ რ უ კ ი

სიკვდილო, ძალგამს იამაყო მეფურ მშვენიებით!
მიწას არა აქვს ზვრელი, რომ ეს საქმე დამალოს.

ს ო ლ ზ ბ ე რ ი

მკვლელობამ, თითქოს თავის საქმე თვითონვე სძაგდა,
შურისძიების მოწოდებად ეს მოგვივლინა.

ბ ი გ ო ტ ი

მან, ვინც გასწირა საფლავისთვის ეს სილამაზე,
ჰპოვა: მეფური სილამაზე საფლავს არ ჰფერობს.

ს ო ლ ზ ბ ე რ ი

სერ რინარდ, ანლა რაღას ფიქრობ? სთქვი, ასეთი რამ
გინახავს სადმე, წაგიკითხავს, გაგიგონია,
ან გიფიქრია? ან უჯერებ საკუთარ თვალებს?
რომ არ გენახა, ვანა ამას მოიფიქრებდი?
აი, მწვერვალი უმაღლესი, გვირგვინთ გვირგვინი,
აი მკვლელობის იარაღის შავბნელი საქმე;
აი სირცხვილი სისხლიანი, უველურესი
მხეცობა, ხანჯლის დაკვრა ზურგში უსაზიზღრესი,
არც კი ოდესმე ბრმა რისხვასა ან ბოროტებას
მოუტანია სინანულის ცრემლთა წინაშე.

პ ე მ ბ რ უ კ ი

ყველა წარსული მკვლელობანი ფერმკრთალდებიან;
მხოლოდ ეს არის ერთადერთი, სწორუპოვარი;
ეს მიანიჭებს სიწმინდეს და უმანკობას
მომავალ ჟამთა მძიმე ცოდვებს, ჯერ არ ჩადენილთ.
თვით სისხლისღვრაც კი გახუმრებად მოგეჩვენება,
თუ შევადარებთ ამ ზარდამცემ სანახაობას.

ბ ა ს ტ ა რ დ ი

ყოვლად წვეული სისხლიანი საქმეა იგი,
შეუბრძობლებლად მძიმე ხელით აღსრულებული,
თუკი ვისიმე ხელის საქმე არის ეს მართლაც.

ს ო ლ ზ ბ ე რ ი

თუკი ვისიმე ხელის საქმე არისო მართლაც?
ჩვენთვის აღრევე იყო ცხადი, რაც მოხლებოდა.
პიუბერტის ხელის სამარცხვინო საქმეა ესა,
ხოლო ბრძანება და მიზანი მეფისა განლავთ.
სულს აუუკრძალავ მორჩილებას ხელმწიფისადმი
და მუხლს მოვიყრი ამ უნაზეს ნეშტის წინაშე,
შთავებ ჩემს სულთქმას მის უსულო მშვენიერებას!
ვით წმიდა ალექმის, ჩემი ფიცის საკმეველს წმიდას,
რომ არასოდეს არ ვიგემო სოფლის სიამე,
არც ამქვეყნიურ ნეტარებას მივანდო თავი
და არ ვიცოდე მოსვენება და უქმად ვოფნა,
ვიდრე დიდებას ეს მარჯვენა არ მოიპოვებს
შურისძიების სამსხვერპლოზე აწ მიტანილი.

პ ე მ ბ რ უ კ ი, ბ ი გ ო ტ ი

ჩვენ ვადასტურებთ საზეიმოდ შენს წმიდა ალექმას.

(შემოდის პ ი უ ბ ე რ ტ ი.)

პ ი უ ბ ე რ ტ ი

დიდებულებო, თქვენს ძებნაში ჩამოვწყდი სწორედ.
ართური ისევ ცოცხალია; მეფე გეძახით.

ს ო ლ ზ ბ ე რ ი

ო, ეს თავზედი, თვით სიკვდილიც კი არ აწითლებს!
იქით მიდექი, ავაზაკო, გასწი აქედან!

პ ი უ ბ ე რ ტ ი

მე ავაზაკი არ ვარ!

ს ო ლ ზ ბ ე რ ი (ხმაღს იშიშვლებს)

კანონს გამაძარცვინებ?

ბ ა ს ტ ა რ დ ი

სერ, თქვენი ხმალი ბრჭყვიალაა; ჩააგეთ ისევ.

ს ო ლ ზ ბ ე რ ი

ქარქაშად უნდა მკვლელის ტყავი გამოვიყენო.

პ ი უ ბ ე რ ტ ი

უკან დაიწი, ლორდ სოლზბერი, დაიწი-მეთქი,
ჩემი მახვილი თქვენს მახვილზე ნაკლებ არა სჭრის,
არ მინდა თავი დაივიწყოთ, მილორდ, იმდენად,
რომ მაიძულოთ მეც დავიცვა ჩემი სიმართლე,
თორემ თქვენს რისხვას რომ ეუყურებ, სულ მავიწყდება,
თქვენი სახელიც, ღირსებაცა და წარმოშობაც.

ბ ი გ ო ტ ი

ნებვო, დიდებულს იწვევ ხმაღში? გასწი აქედან!

პ ი უ ბ ე რ ტ ი

არ ვიწვევ, მაგრამ შემიძლია ჩემი მართალი
სიცოცხლის გამო ხელმწიფესაც არ შევეპუო.

პი. IV

სოლზბერი
კაცის მკვლელი ხარ.

პიუბერტი

ჯერ არა ვარ, მაგრამ თუ ძლიერ ჩამოივლები, იქნებ გავხდეთ ვინც მაგას მწამებს, მართალს არ ამბობს და ვინც მართალს არ ამბობს, ტყუის.

პემბრუკი

მიდი, აკუნე!

ბასტარდი

წყნარად-მეთქი, მე გეუბნებით.

სოლზბერი

იქით მიდევით, თორემ თქვენვე დაგცხებთ, ფოკონბრიჯ.

ბასტარდი

ის გირჩევნია, ეშმაკს დასცხო ხმალი, სოლზბერი; ლეხა რომ დასძრა, შუბლშეჭმუხვებით რომ შემომხელო, ან ხაფიციხის უამს შეურაცხველ დაუფიქრებლად, აქვე გაგაქრობ. ვიდრე დრო გაქვს, ჩააგე-მეთქი, თორემ შენც და მაგ შენ შამფურსაც ისე დაგნაყავთ, იფიქრებ, ეშმა მოგვევლინა ჯოჯოხეთიდან.

ბიგოტი

აა, რას შვრები, ფოკონბრიჯო სახელგანთქმულო! განა ვერ ატვობ, კაცის მკვლელს და ავაზაკს იცავ?

პიუბერტი

ლორდ ბიგოტ, არ ვარ კაცისმკვლელი.

ბიგოტი

ვინ მოჰკლა პრინცი?

პიუბერტი

ერთი საათის წინ დავტოვე სალსალამათი. მე ის მიყვარდა, თავყანს ვცემდი და მის დაკარგვას მარად ვიგლოვებ ჩემი დღენი კუბოს ფიცრამდე.

სოლზბერი

არ დაუჯეროთ წყალთა დენას ცბიერ თვალთაგან, არამზადობას არ აკლია ამგვარი სითხე; ვინც ამ საქმეში გაწვრთნილია, უმანკოების და ხანაულის მდინარეებს ადვილად აფრქვევს. წამოდით ჩემთან ყველა ერთად, ვისაც გულს გირევთ ამ სასაჯლოს სიმყრალე და უსუფთაობა. ამ ცოდვის ხუნმა მე თვითონაც ლამის დამაზრნოს.

ბიგოტი

წაიღეთ, ბერის მივაშუროთ; იქ დოფინია.

პემბრუკი

იქ გვეძებე-თქო, მოახსენეთ ხელმწიფეს ასე.
(დოღებულები გადიან.)

ბასტარდი

მაშ კარგად არის ქვეყნის საქმე! ამ სიავკაცის იცოდი რამე? უსაზღვროა ღეთის მოწყალება, მაგრამ ეს საქმე სისხლიანი თუ შეასრულე, წყეულმც იყავ, გესმის, პიუბერტი!

პიუბერტი

სერ, მომისმინეთ.

ბასტარდი

აი, რას გეტყვი! წყეულმც იყავ, შენზე შავი არა იყოს რა. უფრო წყეული, ვიდრე თვითონ ლუციფერია! ჯოჯოხეთშიც კი შენზე მახინჯ ეშმას ვერ ჰპოვებ, თუკი ეს ბავშვი შენი ხელით არის მოკლული.

პიუბერტი

სულს გეფიცებით...

ბასტარდი

შენ თუ ეს ჰქმენ, ამის ჩამდენმა გადაიწყვიტო უნდა ქვეყნად ყველა იმედი; თოკი თუ გინდა, უმცირესი ძაფიც იკმარებს, — ისეთი ძაფი, ობობა რომ თავის ქსელს აბამს. — რომ შენ მოგაშთოს; ლერწამიც კი იქცევა დირედ, რომ ჩამოგაზრნოს; ან, თუ გინდა თავი დაიხრჩო, საკმარისია კოვზის პირზე დაასხა წყალი, რომ უზარმაზარ ოკეანედ გადაიქცეს იგი, რათა ასეთი ავაზაკი შთანთქოს და მოსპოს. დიდად მაეჭვებს საქციელი შენი, იცოდე.

პიუბერტი

თუ მოქმედებით, თანხმობით ან ცოდვილი ფიქრით მიძლოდეს ბრალი და მე ვიყო ნამდვილად ქურდი ნაზი სუნთქვისა, ამ მშვენიერ ნეშტში რომ იღვა, დაე, წამებაც არ მეკმაროს ჯოჯოხეთური სალსალამათი იყო-მეთქი.

ბასტარდი

წაიღე ნეშტი.

განციფრებული ვარ და ვფიქრობ, დაკვარვე-მეთქი. გზა ამა სოფლის ეკალთა და განსაცდელთ შორის. როგორ ადვილად ააჯანყე მთელი ინგლისი! აი ამ მკვდარი ყრმის მეფური, მცირე ნეშტიდან ქვეყნის ცხოვრება, უფლება და სიმაართლე ყველა ცაში ავარდა; და ინგლისსაც ის დარჩენია. რომ ღრღნას და გლიჯოს ნაწილ-ნაწილ თავისი კბილით ამ უპატრონო და მალალი ტახტის უფლება.

მოკ. V

ახლა დიდების გამოხრულ ძვალს ძაღლად ქცეული,
გაანჩხლებული ომი უტევს, ქებაბურძენული,
და შიგ თვალებში უღრენს შმაგად კეთილ მშვიდობას.
პირი შეუკრავთ ერთმანეთთან და უდარაჯებს
არეულობა, ვით დავარდნილ პირუტყვს ყორანი,
მიტაცებული ხელმწიფების მალე დაცემას.

ნეტავ მას, ვისი სარტყელი და შესამოსელიც
გრიგალს გაუძლებს. წამოიღე ეგ ბავშვი-მეთქი
და გამომყევი უკან სწრაფად; მეფესთან მივალ:
ათასი საქმე მაქვს, ათასი გულის წუხილი
და თვითონ ზეცაც გადმოგვეყურებს შუბლშეჭმუხნილი.
(გაღიან.)

გოგამედება მისუთი

ს უ რ ა თ ი პ ი რ ვ ე ლ ი

აქვე. ოთახი სასახლეში.

შემოღიან მეფე ჯონი, პანდოლფი ხელში გვირგვინით
და ამაღა

ჯონი

მომირთმევეია ჩემსავ ნებით თქვენთა ხელთათვის
გვირგვინი ჩემი დიდებისა.

პანდოლფი (უბრუნებს ჯონს გვირგვინს)

მიიღეთ უკან

ჩემთა ხელთაგან, წმიდა რომის პაპის სახელით,
ძალაუფლება და დიდება თქვენი მეფური.

ჯონი

აწ შეასრულეთ სიტყვა თქვენი: მოინახულეთ
ფრანგთა ბანაკი და ეცადეთ პაპის სახელით
ფრანგები მანამ შეაჩეროთ, ვიდრე დავიწვიოთ.
უკმაყოფილო საგრაფონი ამბობებულან,
ქვეშევრდომთ ხელი აულიათ მორჩილებაზე,
ეფიცებიან სიყვარულსა და ერთგულებას
უცხო სისხლის და უცხო მეფის ძალაუფლებას.
ამ გულისწყრომის წყაღდილობას, ამ რისხვის წარღვნას
მარტოოდენ თქვენ თუ მოუვლით და შეაჩერებთ.
ნუ დაყოვნდებით: ჟამს ისეთი სენი შეჰყრია,
თუკი ახლავე მას წამალი არ მივაწოდეთ,
მოურჩენელი სნეულება დაამზობს პირქვე.

პანდოლფი

ეს ქარიშხალი ჩემმა სუნთქვამ დაატრიალა,
ოდეს რომის პაპს თქვენ ჯიუტად ეურჩებოდით.
მაგრამ, რადგანაც შეიცვალეთ, მოთვინიერდით,
ჩემივე ენა დააწყნარებს ამ ომის ავდარს
და კვლავ მოუვლენს დარს ქვეყანას აბობოქრებულს.
ამაღლებაა დღეს, ეს კარგად უნდა გახსოვდეთ,

რადგან საქვეყნოდ დასდეთ ფიცი რომს ემსახუროთ;
მივალ, რომ ფრანგებს იარაღი დავაყრევინო.

(გაღის.)

ჯონი

ამაღლებაა დღეს? მისანმა არ სთქვა წინასწარ,
ამაღლების დღეს შუადღემდე მოიხსნის გვირგვინს
მეფე ჯონიო? მართლაც ახლა მისი ნათქვამი;
მე კი მეგონა მოხდებოდა ეს იძულებით,
მაგრამ, მაღლობა უფალს, ნებით დავთმე გვირგვინი.

(შემოდის ბასტარდი.)

ბასტარდი

კენტი მთლიანად მტერს დანებდა და ღუერის ციხე
არ ტყდება მარტო; დოფინსა და იმის მხედრობას
ლონდონი დახვდა გულკეთილი მასპინძელივით.
დიდებულები გადაგიდგნენ და მტერს ეახლნენ,
რათა თავისი სამსახური მას შესთავაზონ;
მცირერიცხოვან და საეჭვო მეგობრებს თქვენსას
რადაც ველური მოსდებია არეულობა.

ჯონი

არ დამიბრუნდნენ განა ისევ დიდებულები,
როცა გაიგეს, რომ ართური კვლავ ცოცხალია?

ბასტარდი

ქუჩაში ნახეს იგი მკვდარი, ძირს დაგდებული,
დაცლილი სკივრი, საიდანაც სიცოცხლის განძი
წყეულ მარჯვენას ვიღაცისას გაუტაცნია.

ჯონი

იმ ავაზაკმა პიუბერტმა სთქვა, ცოცხალიაო.

ბასტარდი

არა იცოდა რა ამისა, სულს გეფიცებით.
რატომ ჩაჰქინდრეთ თავი, მეფე? რამ შეგაწუხათ?

მოქ. V

განზრახვით დიდი, უნდა იყოთ დიდი საქმიანობა.
 არ დაინახოს ქვეყანამ, რომ ეჭვი და ძრწოლა
 ხელმწიფის თვალთა გამოხედვას დაუფლებია;
 მოძრავი ვით დრო, ცეცხლის მიმართ იყავით ცეცხლი,
 ვინც თქვენ გაშინებთ — შეაშინეთ და თვით მკვებარა
 საშინელებას გაუსწორეთ თვალი თამამად.
 ხელქვეითების თვალთა მაშინ, უფროსს რომ ბაძავს,
 ამ მაგალითით გამხნევდება და აინთება
 გამბედაობის უშიშარი ცეცხლით და გზნებით.
 წაიღეთ! ისე აელვარდით, ვით ომის ღმერთი,
 რომელსაც უნდა ბრძოლის ველი გაალამაზოს;
 აჩვენეთ ყველას სიმამაცე და თავის რწმენა.
 ნუთუ გაბედავს ვინმე, ღომი ჰპოვოს ბუნაგში
 და სცადოს მისი შეშინება, აცახცახება?
 ნურავინ იტყვის! მამ გამხნევდით და მტერს ეკვეთეთ,
 თქვენი კარიდან მოშორებით დაუხვდით მომხდურს
 და იქ შეებით, ვიდრე ახლოს მოვა მტარვალნი.

ჯონი

პაპის ლეგატი იყო წელან ჩემთან და უკვე
 შეკვარი კიდეც მასთან ზავი საბედნიერო;
 დამპირდა იგი, რომ დოფინის ლაშქარს უკანვე
 მიატრიალებს.

ბასტარდი

სამარცხვინო ზავი შეგიკრავთ
 ნუთუ ჩვენ თვითონ, ვისაც გვიდგას მამულში ფეხი,
 დავიწყებთ საქმის გარიგებას და დავთმობთ რასმე,
 გაემართავთ უღირს ლაპარაკს და დამამცირებელ
 ზავს დავდებთ ჩვენსავ მიწა-წყალზე შემოჭრილ
 მტერთან,

ან პირტიტველი პეწენიკი, დიბა-ატლასში
 გამოწყობილი, გაბედავს ჩვენს მებრძოლ მიწაზე
 თავისი ჟინის შესრულებას, და გაახელებს
 ჩვენსავე ჰაერს ზანტად გაშლილ ბაირაღებით
 და ვერ მიიღებს პასუხს? მეფევე, ხმალი ვიშიშვლოთ!
 იქნებ ვერც შეჰკრავს კარდინალმა ეს ზავი მტერთან,
 ან თუკი შეჰკრავს, ვათქმევინოთ ჩვენს მტერს ის მაინც,
 მიზნად ჰქონდათო ინგლისელებს დაეცვათ თავი.

ჯონი

მამ, ყოველივეს გამგებელი იყავ ამჟამად.

ბასტარდი

გაეწიოთ მედგრად, გაბედულად მოენახოთ მტერი
 და ამპარტავანს საკადრისად უსცვალოთ ფერი.

(გადაიან.)

სურათი მეორე

მინორი სენტ-ედმუნდსბერის ახლოს.
 ფრანგების ბანაკი.

შემოდან შეიარაღებული ლუი, სოლზბერი, მელენი,
 ჰემბერუკი, ბიგოტი და ჯარისკაცები.

ლუი

ეს გადასწერონ, მილორდ მელენ, და ერთი ცალი
 ამისი პირი შეინახონ ჩვენთვის სახსოვრად!
 კვლავ დაუბრუნეთ დიდებულებს ამის დედანი,
 რათა იმათაც, ჩვენთან ერთად, აქ დაწერილი
 მოყვრობის წიგნი ერთხელ კიდეც გადაიკითხონ,
 კვლავ გაიხსენონ, ზიარება რისთვის მივიღეთ,
 და შეინახონ ჩვენი ფიცი მტკიცედ, უტეხად.

სოლზბერი

ჩვენი მხრით ამ ფიცს არასოდეს ეღალატება.
 თუმცა შევფიცეთ, უფლისწულო კეთილშობილო,
 ჩვენი სურვილით, დაძალების გარეშე, ნებით
 თქვენ ვიერთგულეთ, მაინც გიტყვით, ბატონიშვილო:
 სულ არ მახარებს, რომ ამ ჟამთა დაავადებას
 მეც აჯანყების მოუქმებნი უნდა მალამო
 და ერთადერთი ძველი წყლულის განსაკურნავად
 ახალი წყლული გავუჩინო უნდა მრავალი.
 ო, ის აწუხებს ჩემს სულს, რომ მე ჩემი მახვილი
 უნდა ვიშიშვლო და ქვრივები იქ გავამრავლო,
 სიდაც სამშობლოს საპატიო მხსნელად და მცველად
 გარემოება მოუწოდებს სოლზბერის სახელს,
 მაგრამ ამ შავ დროს ისეთი რამ სენი შეჰყრია,
 რომ უფლებათა ჩვენთა ნამდვილ გაჯანსაღებას
 ვემსახურებით მარტოოდენ უსამართლობის
 და ამბოხების მრისხანე და სასტიკი ხელით.
 განა, მწუხარე მეგობრებო, მნელი არ არის,
 რომ ჩვენ, შვილები ჭეშმარიტნი ამ კუნძულისა,
 იძისთვის ვიშვით, რათა ამ შავ დღეს შევსწრებოდით?
 კულში რად მივდევთ უცხოელსა, ვით მაჩანალა
 ვთელავთ სამშობლოს კეთილშობილ მკერდსა და ვავსებთ
 მტრის რიგებს? განზე უნდა დავდგე და დავიტირო
 იძულებითი, უნებური, სირცხვილი ჩემი,
 შორეულ ქვეყნის აზნაურთა შორის რომ ვდგავარ
 და უკან მივდევ ჩემთვის უცნობ დროშებს კვალდაკვალ.
 ოჰ, ჩემო ხალხო, ნეტავ ფეხზე წამოდგებოდე!
 ნეტავ შეეძლოს ნეპტუნის? მკლავს, გარს რომ გეხვევა,
 სულ დაგავიწყოს საკუთარი თავი და უცებ
 გადაგიფვანოს ურჯულთა სანაპიროზე,
 სადაც ამ ორი ქრისტიანი ქვეყნის ლაშქარი
 შეაერთებდა თავის მტრულ სისხლს კავშირის ძარღვში
 და მეზობელი მეზობლის სისხლს არ დაანთხევდა!

ლუი

კეთილშობილი სული მოსჩანს მაგ შენს სიტყვებში.
 დიდმა ვნებებმა, რომლებიც შენს მკერდში იბრძვიან,

კეთილშობილი შეძრწუნებაც გამოიწვიეს. ო, რანაირი დიდებული ბრძოლა გვაჩვენე იძულებასა და გამბედავ ღირსებას შორის. მომეცი ნება საპატიო ნამი მოგწმინდო, მაგ შენს ლოყებზე ვერცხლისფრად რომ გაუღის ბრწყინვა.

გული დამწვია წინათ ქალის ცრემლისა მხილველს, თუმცა ეს არის წყალდიდობა ჩვეულებრივი, მაგრამ ამ უხვმა ვაჟკაცური ცრემლების დენამ, სულში ამტყდარი ქარიშხლისგან ამტყდარმა წვიმამ თვალები ჩემი შეაძრწუნა და განმაცვიფრა, — თითქოს უეცრად დამენახოს ზეცის ტატნობი მთლად მოფენილი ანთებული მეტეორებით. ასწიე თავი შენ, სოლზბერი სახელგანთქმულო, და კვლავ მხნე გულით ეგ ავდარი გადაიყარე: ეგ ნაკადული დაუტოვე ყმაწვილის თვალებს, რომელთაც ქვეყნის მრისხანება ჯერ არ უნახავთ და ბედს შებმიან მარტო ღზინის და ნადიმის ჟამს, სისხლს რომ ახურებს ლაყბობით და მხიარულებით. კარგია, კმარა; გამარჯვების მდიდრულ ქისაში ისე ღრმად ჩაყოფ შენც ხელს, როგორც თვით ლუი

და თქვენც იგივე გელით ყველას, დიდებულებო, ვისმა მარჯვენამ ჩემს ძალ-ღონეს შემატა ძალა.

(შემოდის პ ა ნ დ ო ლ ფ ი ა მ ა ლ ი თ.)

ასე მგონია, ანგელოზმა გამომიცხადა⁴: ხედავთ, აქეთკენ მოიჩქარის წმიდა ლეგატი, რათა გადმოგცევს თავის ხელით ზეცის რწმუნება, და წმიდა სიტყვით გაამართლოს საქმენი ჩვენნი.

პ ა ნ დ ო ლ ფ ი

მოგესალმები, უფლისწულო საფრანგეთისაჲ, და მოგახსენებ: მეფე ჯონი რომს შეურიგდა; მოთვინიერდა სული მისი აღშფოთებული; კერპი მეურჩე რომის წმიდა ეკლესიისა და დაუბრუნდა დედაქალაქს, ტახტსა პაპისას. დაკეცე ისევ ეგ დროშები შენი მრისხანე, მოთოკე ომის ეგ მხეცური ჟინი ველური, ისე რომ, როგორც შინაური, გაწვრთნილი ლომი, წამოწვეს იგი თვინიერად მშვიდობის ფერხითი და მარტოოდენ სახით იყოს თავზარდამცემი.

ლ უ ი

თქვენს მეუფებას მიტევენას ვთხოვ: არ დავიხვევ ვინც რომ დამბადა, მყო იმდენად წარჩინებული, მეორე კაცად ვერ ვიტყვი ვერვის წინაშე, ვერც სასარგებლო ხელქვეითად, ვერც იარაღად ამ ქვეყანაზე რომელიმე სახელმწიფოსთვის. ჩამქრალი ომის ნაკვერცხალი თქვენ გაადვივით პირველად ჩემსა და ამ დასჯილ სამეფოს შორის, და გადაასხით კიდეც ამ ცეცხლს ნავთიც საკმაოდ. ახლა ეს ცეცხლი აბრიალდა და ვერ ჩააქრობ

სუსტი შებერვით, რომელმაც ის აანთო ადრე. ჩემი უფლება დამანახვეთ, შემაგნებინეთ, ამ ქვეყნისადმი გამიღვიმეთ სწრაფვა, სურვილი, დიას, თვით აზრი ლაშქრობისა ჩამიგდეთ გულში და ახლა უცვებ მეუბნებით ჯონმა შეკრაო ზავით რომთან? რა საქმე მაქვს აბა მაგ ზავთან? მე საკუთარი ქორწინების უფლების ძალით ართურის შემდეგ მბრძანებელი ვარ ამ ქვეყნისა. და ახლა, როცა სანახევროდ დავიპყარ კიდეც, მე უნდა უკან დავიხიო მხოლოდ იმიტომ, რომ ჯონმა ზავი შეკრა რომთან? რომის მონა ვარ? ვითომ რათაო? გახვერტილი ფარა თუ მომცა რომმა, თუ ჯარი მომაშველა, ან საჭურველი? რითიმე მხარში ამომიღვა? განა მე მარტომ არ დავიკისრე ომის ტვირთი? აბა ჩემს გარდა და იმათ გარდა, ვინც ერთგული აღმოჩნდა ჩემი, ამ საქმეში ოფლს სხვა ვინა ღვრის და ვინა თოხს? ან არ მესმოდა კუნძულიდან როგორ მემახდნენ, Vive le roy-ო, მათ ქალაქებს რომ ჩავუარე. ბანქოს ქალაღი მიჭირავს ხელთ, საუკეთესო. ქვეყნის გვირგვინი სულ ადვილად ძალმიძს მოვიგო, და სწორედ ახლა დავანებო ამ თამაშს თავი? არა და არა, სულსა ვფიცავ, ეგ არ მოხდება.

პ ა ნ დ ო ლ ფ ი

თქვენ ამ საქმის არსს მარტოოდენ გარედან უმზერთ.

ლ უ ი

გარედან არის თუ შიგნიდან, მე არ დავიხვევ, ვიდრე ეს საქმე გამარჯვებით არ დამთავრდება, როგორც გულუხვად მპირდებოდა იმედი ჩემი, ვიდრე შეეკრებდი ამ გაბედულ მხედართუფროსებს, თავს მოეუყრიდი ამ ცეცხლივით მგზნებარე მებრძოლთ, რომ გამარჯვება დამრჩენოდა და ამომეგო სახელი საფრთხის და სიკვდილის ბნელი ხახიდან.

(ბუკის ხმა ისმის.)

ვისი საყვირის მძლავრი ხმაა, რომ მოგვიწოდებს?

(შემოდის პ ა ს ტ ა რ დ ი ამალით.)

პ ა ს ტ ა რ დ ი

საყოველთაოდ მიღებული წესის თანახმად გთხოვთ, მომისმინოთ: ელჩადა ვარ წარმოგზავნილი. წმიდაო მამავ მილანელო, მეფემ მიბრძანა გავიგო, როგორ გაისარჯეთ მისი გულისთვის. თქვენი პასუხით მე შევიტყობ ჩემი რწმუნების საზღვარს და ამის შესაფერად ვილაპარაკებ.

პ ა ნ დ ო ლ ფ ი

ღოფინი თავის სიტყვას ადგას თავგამოდებით და არ უჯერებს ჩემს ვედრებას და შეგონებას, ამბობს, იარაღს არ დავფრიო, გაკერპებული.

ბასტარდი

ვფიცავ სისხლს, რაც კი უმღვრევეა ოდესმე რისხვას,
 ყმაწვილს ეგ მართლაც კარგად უთქვამს. ახლა უსმინეთ
 ინგლისის მეფეს. ჩემი პირით, აი, რას გითვლით:
 მეფე მზად არის დასახვედრად, მიზეზიცა აქვს:
 ეს შემოსევა უგვანო და მაიმუნური,
 ბრწყინვალე ღრეობა, აბჯარასხმულთ ბერიკაობა,
 პირტიტველათა თაყვანობა, ბიჭბუჭა ჯარი
 მეფეს სიცილადა არა ჰყოფნის; იგი მზად არის
 ქონდრისკაცებთან საბრძოლველად და ამ ჯუჯა ჯარს
 მათარხის ცემით დაირეკავს თავის ქვეყნიდან.
 იმ კაცს, რომელმაც დაგიზილათ კეტით ფერდები
 თქვენსავ კარის წინ და ბუნავი მოვაძებნინათ,
 რომ გაიძულათ კასრებივით ჩაძირვა ჭაში,
 საჯინობოში ნეხეში გდება და ზანდუკებში
 ფარულად ჯდომა, ჩაკეტილი გირაოს მსგავსად,
 ღორებში წოლა ჩახუტებით, თავშესაფარის
 ძებნა უშიშარ აკლამებსა და ციხეებში,
 ციებ-ცხელება თქვენებური ყვავის ჩხავილის
 გაგონებაზე და იმისი ფიქრი ნიადაგ,
 ვაითუ ეს ხმა ინგლისელი მხედრის ხმააო, —
 ვითომ უმტყუნებს მას მარჯვენა ძლევა მოსილი,
 რომელმაც ჭკუა თქვენს საკუთარ სახლში გასწავლათ?
 არა! იცოდეთ, ჩვენი მეფე იარაღში ზის,
 და ვით არწივი თვის მართევეს ზედ დასტრიალებს,
 მოახლოებულ მტერს ღვთის რისხვად თავს დაატყდება.
 თქვენ კი, უგვანო, უმაღურნო მემამბოხენო,
 პირსისხლიანო ნერონებო, წიაღს რომ უთხრით
 თქვენსავე ძვირფას დედა ინგლისს, გაწითლდით მაინც!
 თქვენაც ცოლები და ფერმკრთალი თქვენი ქალები,
 ამორძალების მსგავსად დაფდაფს უკან მოსდევენ
 სათითურები შეუცვლიათ რკინის თათმანით,
 ნემსები — შუბით და გულლების სათნო სინაზე
 სისხლისმწყურვალე და მძვინვარე ჟინად ქცევითათ.

ღუი

იკმარე კვებნა და თავმთელი გაბრუნდი უკან.
 ლანძღვაში მართლაც ვერ გაჯობებთ. გზა მშვიდობისა.
 დრო მეტისმეტად ძვირად გვიღირს და ვერ დავკარგავთ
 ამ ჩხუბისთავთან ლაპარაკში.

პანდოლფი

მეც მათქმევინეთ.

ბასტარდი

არა, მე ვიტყვი.

ღუი

არც ერთ თქვენგანს ყურს არ ვათხოვებთ.
 დასცხეთ დაფდაფებს! დაე, ომის ენამ დაიცვას
 ჩვენი აქ ყოფნის და ზრახვათა ჩვენთა მიზეზი.

ბასტარდი

მართლაც დაფდაფებს თუკი დასცხეთ, ბევრსაც აძახებთ!
 თქვენც ბევრს იყვირებთ, რომ დაგცხებენ; თქვენი
 დაფდაფის

ცემით მხოლოდ ხმის გამოძახილს თუ გამოიწვევთ.
 აი აქვეა სხვა დაფდაფი გამზადებული,
 ასევე გაგცემთ ის ხმამაღალ საკადრის პასუხს.
 მეორეს დასცხებთ, სხვა დაფდაფი შეგესიტყვებათ.
 ისე ძალუმაღ დაიქუხებს, თითქოს ზეცაში
 პირდაღებული ქუხილის ხმას გამოაჯავრა.
 აქვეა იგი — არ ენდობა ამ მერყევე ლეგატს,
 ვისაც სახუმროდ მიმართა და არა საჭიროდ,
 აქა დგას ჯონი მეომარი და მის სახეზე
 გამოსახულა აჩონჩხილი სიკვდილის ლანდი,
 დღეს ათასობით ფრანგის გეამზე რომ ინადიმებს.

ღუი

დასცხეთ დაფდაფებს, ერთი ვნახოთ, სად არის საფრთხე.

ბასტარდი

ნუ ეჭვობ, დოფინ, მალე ნახავ: აქვეა, აქვე.
 (გაღიან.)

სურათი მმსამე

იქვე ბრძოლის ველი.

ომის ზავით. შემოღიან მეფე ჯონი და ჰიუბერტი.

ჯონი

მითხარი, ჰიუბერტი, როგორ არის დღეს ჩვენი საქმე?

ჰიუბერტი

ცუდად, მე ვშიშობ, მეუფეო, რა გემართებათ?

ჯონი

ციებ-ცხელება, რომელიც მჭირს დიდი ხანია,
 ისევ დამაწვა მძიმედ, გული ვერა მაქვს კარგად.
 (შემოდის შიკრიკი.)

შიკრიკი

მეუფეო, თქვენი ნათესავი ძალგულოვანი.
 ფოკონბრიჯი ვთხოვთ, ბრძოლის ველი დასტოვოთ

და ჩემი პირით შეუთვალეთ, სად წაბრძანდებით.

ჯონი

უთხარ, სუინსტედს მიაშურებს, სააბატოს-თქო.

შიკრიკი

გამხნევდით: ფრანგთა უფლისწულის დიდძალი ჯარი,
 რომელიც აქეთ მოდიოდა მოსაშველებლად,

გულდინის ქვიშამ შთანთქა უკვე სამი დღის უკან;
ამბავი რიჩარდს ეს-ეს არის შეატყობინეს.
ფრანგნი იბრძვიან უხალისოდ, უკან იხევენ.

ჯონი

ვაჰ, მე! გულს მიწვავს ეს მძვინვარე ციებ-ციხელება
და არ მანებებს გავიხარო საამო ამბით.
სუინსტედისკენ წამიყვანეთ; საკაცე ჩქარა!
გამომელია მთლად ძალ-ღონე და გული მიმდის.

(გაღიან.)

სურათი მეოთხე

იქვე, ბრძოლის ველის სხვა მხარე.

შემოდან სოლზბერი, ჰემბრუკი, ბიგოტი და
სხვები.

სოლზბერი

როდი მეგონა, ჯონს თუ ჰყავდა ამდენი მომხრე.

ჰემბრუკი

ერთხელაც ვცადოთ, გავამხნევოთ ფრანგები კიდეც;
იმათი მარცხი — ჩვენი მარცხი იქნება სწორედ.

სოლზბერი

ეს ფოკონბრიჯი, ნაბიჭვარი ეშმაკეული,
გაჯიბრებული გვიმკლავდება მთელი დღე მარტო.

ჰემბრუკი

ამბობენ, ჯონი ავად გახდა, დატოვა ველი.

(ჯარიხს კაცებს შემოჰყავთ დაჭრილი მელენი.)

მელენი

იქ მიმიყვანეთ, იმ ინგლისელ მეშფოთარებთან.

სოლზბერი

ბედნიერების უამს ჩვენ გვერქვა სულ სხვა სახელი.

ჰემბრუკი

გრაფ მელენია.

სოლზბერი

სასიკვდილოდ არის დაჭრილი.

მელენი

დიდებულებო, თავს უშველეთ, აქედან წადით!
ნაყიდიც ხართ და გაყიდულიც. ამ ამბოხებას
როგორმე თავი დააღწიეთ, შინვე დაბრუნდით.
და დაგდებული ერთგულება კვლავ აღადგინეთ.

იპოვეთ მეფე და ფეხებში ჩაუვარდით მას.

თუკი ფრანგებმა გაიმარჯვეს ამ არეულ დღეს,
ფრანგთ უფლისწული გადაგიხდით სამაგიეროს
და თავებს დაგჭრით; მან ეს კიდეც შეჰფიცა ხატზე.
მეც მასთან ერთად და მრავალმა სხვა მისმა მომხრემ,
სენტ-ედმუნდსბერის საკურთხეველის წინაშე ასე,
სწორედ იქ, სადაც მცირე ხნის წინ თქვენ შემოგფიცეთ
მეგობრობა და სიყვარული სამარადისო.

სოლზბერი

ნუთუ შესაძლო არის ესა? სიმართლეს ამბობ?

მელენი

განა ვერ ვხედავ თავზარდამცემ სიკვდილის აჩრდილს?
ბეწვისოდენა სიცოცხლედა შემომრჩენია,
ისიც იცლება სისხლისაგან, ვით ჩამოქნილი
ცივილის საგანი მოვიზიგზე ცეცხლის წინ დნება!
რა მაიძულებს, რომ ვიცრუო ახლა, როდესაც
სიცრუისაგან სარგებლობას არ გამოველი?
რატომ ვიცრუო, თუ მართალი მხოლოდ ის არის,
რომ აქ ვკვდები და იქ სიმართლემ უნდა მაცოცხლოს?
კვლავ ვიმეორებ, თუკი ღუი დღეს გაიმარჯვებს,
აღთქმას არ გასტეხს: ვერასოდეს იზილავთ თვალით
ხვალინდელი დღის გათენებას; ამავე დამეს,
რომლის მგესლავი სუნთქვა უკვე შავადა ბოლავს
ბებერ, დაქანცულ, მისუსტებულ მზის ქოჩორს ზემოთ,
ამ ბოროტ დამეს თქვენი სუნთქვა შეწყდება მართლაც
და მოლაპატეს გადაუხდით მოლალატური
თქვენი სიცოცხლით ამ ღალატის ხარკს და საფასურს,
თუ ღუი თქვენი დახმარებით დღეს გაიმარჯვებს.
ჰიუბერტ დე ბერგი მომიკითხეთ, მეფეს რომ ახლავს;
დიდი მაქვს მისი სიყვარული, ეს მაიძულებს,
აგრეთვე ისიც, ინგლისელი რომ მყავდა პაპა,
მალაპარაკებს თქვენს წინაშე ამ აღსარებას.
სამაგიეროდ გთხოვთ, აქედან შორს წამიყვანოთ;
ამ ბრძოლის ველის ღრიანცელს და ხმას მომაშორეთ,
რომ სადმე მშვიდად მოვიკრიბო ფიქრისა ნაშთი,
და ჩემი სულიც გაეყაროს ჩემს სხეულს მშვიდად
ღვთისმოშიშარი აზრითა და გრძნობით მოცული.

სოლზბერი

ჩვენ გვეჯერა შენი და დამლახვროს მაშინ უფალმა,
თუკი არ ვიყო მოხარული ესდენ კეთილი
განგების მიერ მოვლენილი ამ შემთხვევისა.
წყუელი გზიდან იგი წალმა მოგვატრიალებს
და, ვით მდინარე, კალაპოტში მობრუნებული,
ჩვენ მივატოვებთ ამ უკუღმართ გზაზე სიარულს,
შევურიგდებით უარყოფილ კალაპოტს ჩვენსას
და მივაშურებთ დამშვიდებით და მორჩილებით
ჩვენს ოკეანეს — დიდ მეფე ჯონს, ხელმწიფეს ჩვენსას.
ჩემი მარჯვენა მოგაცილებს აქაურობას;

მოქ. V

სიკვდილის სასტიკ ტანჯვას გამჩნევ უკვე თვალებში.
წინ, მეგობრებო, ახალი გზა გვაქვს ამას იქით
და ისევ ძველი სიმაართლისკენ წაგვიყვანს იგი.

(გაღიან და მელენი გაჰყავთ.)

სურათი მმხუთე

იქვე. ფრანგების ბანაკი.

შემოდინ ლუი და ამაღა.

ლუი

ასე მეგონა, მზეს არ ჰქონდა ჩასვლის ხალისი,
სულ აფოვნებდა და დასავლეთს ჰფერავდა წითლად,
როცა ლაჩრულად გაქცეულმა ინგლისელებმა
გაზომეს მიწა საკუთარი. რა დიდებულად
გაისმა ჩვენი უვნებელი სროლა ჰაერში,
ამ სისხლიანი გარჯის შემდეგ მშვიდობის ღამე
რითაც ვისურვეთ! კვლავ დავკეცეთ ჩვენი დროშები
და ლამის დაერჩით ბრძოლის ველის ბატონ-პატრონად.

(შემოდის შიკრიკი.)

შიკრიკი

ბატონიშვილი სად ბრძანდება?

ლუი

აქა ვარ, რაო?

შიკრიკი

მელენი მოჰკლეს; ინგლისელი დიდებულები,
მელენისავე ჩაგონებით, კვლავ გადაგიდგნენ
და ის მაშველი ჯარი, თქვენ რომ დიდხანს ელოდით,
გულუინის ქვიშას წამოედო და ჩაიძირა.

ლუი

აჰ, რა საზარი რამ მაცნობე! დაგლახვროს ღმერთმა!
აღარ მეგონა, თუ ამაღამ დავღონდებოდი
ესოდენ ძლიერ. ვინ ამბობდა, გაქცეულაო
ბრძოლის ველიდან მეფე ჯონი, ერთი თუ ორი
საათით ადრე, ვიდრე ღამე გაჰყრიდა ჯარებს?

შიკრიკი

ვინც მოგახსენათ, სულ ერთია; მართალი გახლავთ.

ლუი

კარგი. ამაღამ ფხიზლად უნდა გეჭიროთ თვალი.
ხვალინდელი დღის გათენებას უნდა დაეკასწრო
და ისევ ვცადო ჩემი ბედი ახალ ბრძოლაში.

(გაღიან.)

სურათი მმმქვესე

გაშლილი მინდორი სუინსტელის სააბატოს მეზობლად!

შემოდინ ბასტარდი და ჰიუბერტი სხვადასხვა
მხრიდან.

ჰიუბერტი

ვინა ხარ: ჰეი, მიპასუხე; თქვი, თორემ გესვრი.

ბასტარდი

მეგობარი ვარ. შენ ვილა ხარ?

ჰიუბერტი

ინგლისის მომხრე.

ბასტარდი

საით მიხვალ?

ჰიუბერტი

შენ რა ხელი გაქვს, საით მივალ? განა ვკითხულობ
შენს საქმეს მეცა, როგორც ჩემსას შენ მეკითხები?

ბასტარდი

ჰიუბერტი, შენა ხარ?

ჰიუბერტი

რა მშვენიერად გამოიცანი!

თუნდ სანაძლეოს დაეღებ, ალბათ მეგობარი ხარ,
რაკი ჩემი ხმა მართლაც ასე კარგად გცნობია...
მაინც ვინა ხარ?

ბასტარდი

ვინცა ვნებავს; მაგრამ თუ გინდა

მასიამოვნო ჭეშმარიტად, მაშინ ის სცანი,
რომ ნათესავად მე ვეკუთვნი პლანტაგენეტებს.

ჰიუბერტი

მეხსიერებამ მიღალატა! შენ და ბრმა ღამემ
მართლაც სირცხვილში არ ჩამავდეთ! აწ მომიტყევი,
ძალგულოვანო მეომარო, რომ ლაპარაკით
სმენამ ნამდვილი მეგობარი ვერ გამოგიცნო.

ბასტარდი

კარგი, გეყოფა ხოტბის შესხმა. რა ამბავს მეტყვი?

ჰიუბერტი

დავეხეტები მარტოდმარტო ღამის წყვილიადში
და თქვენ დაგეძებთ.

ბასტარდი

მოკლედ მოსჭერ, რა ამბავია?

პიუბერტი

ოჰ, სერ, კეთილო, ამ დამეს რომ შეეფერება: შავი ამბავი, უნუგეშო, თავზარდამცემი.

ბასტარდი

ბარემ დამკოდე მაგ საზარი ამბით, ნუ მზოგავ, ქალი არა ვარ, გული როდი შემიწუხდება.

პიუბერტი

ვშიშობ, რომ ერთმა ბერმა მეფე მოწამლა ჩვენი, ვერ აბრუნებდა პირში ენას, მე რომ დავტოვე და აქ წამოველ, რომ ეს თქვენთვის მეცნობებინა, რათა მზად იყოთ მოულოდნელ შემთხვევათათვის, მოგეცეთ ჟამი და წინასწარ შეიარაღდეთ.

ბასტარდი

როგორ მოწამლეს? ვინ იგემა სასმელი ადრე?

პიუბერტი

ხომ მოგახსენეთ, ბერმა, თავზე ხელაღებულმა; ნაწლავებიც კი გადმოყარა. მეფე ჯერ კიდევ ხმას იღებს მაინც და იქნება მორჩეს, ვინ იცის.

ბასტარდი

ვინ უვლის მეფეს? ვინ დატოვე მეფის პატრონად?

პიუბერტი

განა არ იცით, რომ დაბრუნდნენ დიდებულები და უფლისწული ჰენრი თანვე წამოიყვანეს? მეფემ დიდებულთ, უფლისწულის თხოვნით, შეუნდო, და შედონებულს ახლა ყველა თავს დასტრიალებს.

ბასტარდი

გვაკმარე რისხვა, ზეციერო ყოვლადმღიერო, და ნუ მოგვივლენ ჩვენს ძალაზე უმეტეს ხიფათს. შენ გეტყვი, პიუბერტ, ნახევარი ჩემი ლაშქარი ამაღამ შთანთქა ზღვის მოქცევამ ამ თავთხელებში. ლინკოლნის მეჩენს დაეჯახა და დაიღუპა. მე თვითონ ცხენმა ძლიერობით გამომიყვანა. წავიდეთ ბარემ! მიმიყვანე მეფესთან სწრაფად, თორემ ვაითუ ვერც მივუსწრო, ვინ იცის, ცოცხალს.

(გადას.)

სურათი მეშვიდე

ბალი სუინსტელის სააბატოში.

შემოდინ უფლისწული ჰენრი, სოლზბერი და ბიგოტი.

ჰენრი

გვიანდა არის: სისხლი მისი მოწამლულია, ხოლო გონება, შუქნათელი გონება მისი, რომელსაც ზოგნი სულის მყიფე სადგომად თვლიან, მთლად არეული; მისი ბოდვა გაუგებარი, ჩანს, მოასწავებს აღსასრულის მოახლოებას.

(შემოდის ჰემბრუკი.)

ჰემბრუკი

ხელმწიფე კიდევ ლაპარაკობს და მტკიცედ სჯერა, გაშლილ ჰაერზე საყარძელით თუ გაიყვანენ, გაუნელდება გულ-მუცელში გაღვივებული ცაცხლი, რომელიც საწამლავემა, შიგ ჩაუსახლა.

ჰენრი

გამოიყვანეთ ბაღში, აქეთ. ძალიან შფოთავს?

(ბიგოტი გადის.)

ჰემბრუკი

არა, ახლა ის უფრო გახლავთ დამშვიდებული, ვიდრე, როდესაც თქვენ წაბრძანდით. მღეროდა კიდევ.

ჰენრი

უცნაურებავ სენისაო! გაგრძელებული, სასტიკი ტანჯვა ადამიანს გრძნობას უჩლუნვებს. სიკვდილი როცა მოათაეებს გარეგან სხეულს, უჩინრად სტოვებს მას და შემდეგ შემოადგება კაცის გონებას, სჩხვლეტს და ჰკოდავს, და მრავლად უსევს

წარმოდგენათა ლეგიონებს, სულ უცნაურებს, რომლებიც გროვად, უწესრიგოდ მიისწრაფიან უკანასკნელი სიმაგრისკენ. უცნაურია: სიკვდილი მღერის. მე ბარტყი ვარ ფერდაკარგული და ავადმყოფი ამ გედისა, რომელიც სიკვდილს ხვდება საკუთარს მგლოვიარე საგალობელით და სუსტი სტვირით უმღერის ის, ღონემიხდილი, სულის და ხორცის განსვენებას სამარადისოს.

სოლზბერი

ნუ დაღონდებით, უფლისწულო. თქვენ ხართ შობილი, რათა წესრიგი დაუმკვიდროთ უწესრიგობას, მემკვიდრეობით გადმოცემულ უსახო მამულს.

(შემოდინ ბიგოტი და მხლებლები. შემოჰყავთ სავარძელში მწოლიარე მეფე ჯონი.)

ჯონი

ახლა კი ჩემს სულს გასაქანი მიეცა ფართო, ის აღარც სარკმელს და აღარც კარს არ მიაწყდება. ისეთი ცხელი ზაფხული დგას ჩემს გულ-მუცელში, რომ მთლად მტკვრად მექცა გამომშრალი შიგნეულობა. მე ვარ ნახატი, პერგამენტზე ამოჩხიბული კალმით, და ახლა ჩაგდებული მგზნებარე ცეცხლში. მთლად ვიკრუნჩხები.

ჰენრი

ხელმწიფეო, როგორ ბრძანდებით?

ჯონი

ცულად. მომწამლეს. კვდები. დავრჩი მიტოვებული. თქვენგანი ვერვინ მოუწოდებს ზამთარს მოვიდეს და გულ-მუცელში გამიყაროს ყინვის თითები; ვერც ჩემი ქვეყნის მდინარეებს ეტყვის ვერავინ გზა გაიკვლიონ დამწვარ მკერდში; არც ჩრდილოეთი დაკოცინებს თავის ცივ ქარს ჩემს გამხმარ ტუჩებს, რომ ცოტა მაინც გამაგრილოს; ბევრს არასა გთხოვთ, ცოტა სიგრილით მომიფონეთ. თქვენ კი, გულქვანო, ამაზეც უარს მეუბნებით უმაღურები.

ჰენრი

ოჰ, ნეტავ მართლაც ჩემს ცრემლებში იყოს რამ ძალა, რომ განუგეშო.

ჯონი

მხურვალეა მათი მარილი. ჯოჯოხეთი დგას გულ-მუცელში, და საწამლავი, ჩასული ჩემში, ვითა სული ეშმაკეული, აღარ ეშვება დაწყვეტილ სისხლს, აწამებს უღვთოდ.

(შემოდის ბასტარდი.)

ბასტარდი

გახურებული სირბილისგან ცეცხლი მედება, მოვიჩქაროდი, ხელმწიფეო, თქვენს სანახავად.

ჯონი

ძმისწულო! მოხველ, დამიხუჭო რათა თვალები. დამხზრეულია, დამწვარია გულის ხელსაწყო; ის ბავირები, რომ ეჭირათ სიცოცხლის აფრა, გალაქცეულან ერთ წვრილ ძაფად, ბეწვის ოღენად. ერთი სიმილა დარჩენია ჩემს გულს საბრალო და ისიც მარტო იმას უცდის, რა ამბავს ეტყვი, და ფოველივე, რასაც ხედავ, იქნება მიწა, და ხელმწიფური სიდიადის ნიშანი მკვდარი.

ბასტარდი

ფრანგთ უფლისწული ემზადება აქ მოსასვლელად და ღმერთმა იცის, რანაირად მივაგებთ პასუხს; ჩემი მხედრობის უკეთესი ნაწილი ღამით,

როცა მას ჩვენდა სამჯობინოდ ადგილს ვუცვლიდი, უოშის მეჩენს წასწყდომია და სულ უომრად, მოულოდნელად დაღუპულა ზღვის მოქცევაში.

(მეფე კვდება.)

სოლზბერი

მკვდარ სმენას ამბავს ეუბნებით მომაკვდინებელს. ჩემო ხელმწიფე! მბრძანებელო! ერთი წამის წინ ხელმწიფე იყავ და ახლა კი რა გეწოდება?

ჰენრი

მეც უნდა ასე გავიარო და შევდგე ასე. ვით ვერწმუნებით წუთისოფელს, რის იმედი გვაქვს, თუ ის, რაც წელან მეფე იყო, მტკვრია ახლა?

ბასტარდი

წახვედი კიდეც? მე დავრჩები მარტო იმისთვის, რომ შეგისრულო ვალი — მტკვრზე ვიძიო შური; მერე კი ჩემი სულიც ცაში გემსახურება ისე, ვით იყო ამ მიწაზე შენი მსახური. თქვენც, ცთომილებო, თქვენსავ სწორ გზას რომ დაუბრუნდით,

სადა გყავთ ჯარი? ერთგულება გამოიჩინეთ და ჩემთან ერთად მოტრიალდით დაუყოვნებლივ, რომ გაგაძეკოთ სირცხვილი და განადგურება შედონებული ჩვენი ქვეყნის კარიბჭის იქით. მსწრაფლ შევუტიოთ, თორემ აქეთ შემოგვიტყვენ: ფრანგთ უფლისწული განრისხებით მოგვდევს ფეხდაფეხ.

სოლზბერი

ჩანს, რაც ჩვენ ვიცით, თქვენ ჯერ კიდეც არ შეგიტყვიათ:

სახლში ისვენებს კარდინალი პანდოლფი აქვე; ის ნახევარი საათის წინ მოვიდა ფრანგთა უფლისწულისგან და დოფინის სახელით ზავი შემოგვთავაზა; პირობები საპატიოა და შეგვიძლია ღირსეულად შევწყვიტოთ ომი.

ბასტარდი

ის უკეთესად გააკეთებს ამას, რომ ნახავს, თავდასაცავად გვაქვს კუნთები მომარჯვებული.

სოლზბერი

არა, მან უკვე დაასრულა ეს ომი კიდეც. ბევრი ურემიც გაისტუმრა ზღვის ნაპირისკენ და ჩვენი ღაღის გადაჭრა და მოწესრიგება კარდინალისთვის მიუნდვია. თუ მოისურვებთ, თქვენცა, მეცა და ჩვენთან ერთად დიდებულებიც დღეს ნაშუადღევს მას შეეხვებით სალაპარაკოდ, რომ ბედნიერად დავასრულოთ ეს ჩვენი საქმე.

ბ ა ს ტ ა რ დ ი

დე იყოს აგრე. უფლისწულო კეთილშობილო,
სხვა დიდებულთა თანდასწრებით აუგებთ მამას
წესს და მოიხდით უკანასკნელ მოვალეობას.

ჰ ე ნ რ ი

ვუსტერში უნდა დაიკრძალოს მისი ცხედარი.
ასეთი იყო მისი ნება.

ბ ა ს ტ ა რ დ ი

ასეც იქნება

და ბედნიერად ჩაიბარებთ, ბატონიშვილო,
სამემკვიდრეო სამეფოს და ქვეყნის დიდებას!
თქვენი მორჩილი გვევდრებით მეც მუხლმოყრილი
მიიღოთ ჩემი სამსახური და ერთგულება,
ქვეშევრდომობა ჭეშმარიტი, სამარადისო.

ს ო ლ ზ ბ ე რ ი

ჩვენგანაც აგრე სიყვარულის აღთქმა მიიღეთ,
გრძნობა უზადო უკუნითი უკუნისამდე.

ჰ ე ნ რ ი

მინდა მადლობა მოგახსენოთ კეთილი გულით
და ცრემლებს გარდა ველარაფრით გამომიხატავს.

ბ ა ს ტ ა რ დ ი

გადაუხადოთ მწუხარებას, რაც გემართებს მხოლოდ, —
ისედაც ბევრი რამ შეეწირეთ ვარამს წინასწარ, —
დამპყრობლისათვის ინგლისს ქედი არ მოუხრია
და არც მოუხრის არასოდეს ის ქედს დამპყრობელს,
თუკი თვითონვე თავს ჭრილობას არ მიაყენებს.
ახლა, როდესაც შინ დაბრუნდნენ დიდებულები,
თუნდ სამი კუთხით მოგვესიოს მთელი ქვეყანა,
გავეუმკლავდებით და განსაცდელს ჩავაგდებთ არად,
თავის ერთგული თუ იქნება ინგლისი მარად.

(გადაიან.)

